 25 ბისაგან ნუგეშინის-ცემულ იქმნებოდეს და რომელნიმე ზუაობისაგან დას-
 ცხრებოდეს, და ყოველნივე განმტკიცნებოდეს შეურაცხებად ეშმაკისა და
 ზაკუვათა მისთა, დაუკვრდა მოცემული იგი მადლი უფლისა მიერ **ნტონისა**
 განკითხვად სულთა მათ არაწმიდათა.

შა იყენეს მათა შინა მონასტრები, ვითარცა კარგები, აღსაესენი საღმრ-
 30 თოათა კრებულისა, მგალობელნი, წიგნის-მკითხველნი, მმარხველნი, მლოც-
 ველნი, მზიარულნი მერმეთათს სასუებათა და მოქმედნი და მყოფნი ქველის-
 -საქმისა. სიყუარული და ერთობაჲ აქუნდა ურთიერთას, და იყო ჰეშმარტიად
 ხილვაჲ, ვითარცა სოფელი რამე თვისისაგან დამკვდრებულ ღმრთის-მსახუ-
 რებითა და სიმართლითა; არა იყო მუნ მაჰირვებელი, არცა სიტყუაჲ ხარკის-
 35 -მოქდელისაჲ, არამედ სიმრავლმ მონაზონთაჲ; და ერთ იყენეს ყოველნი სათ-
 ნოებისათს გონებითა.

შა თუმცა ვინმე იხილა მონასტრები იგი და ესევითართა მონაზონთა
 წესი, ვმა-მცა-ყო და თქუა: ვითარ კეთილ არიან სახლნი შენნი, **საკობ**, და კა-
 40 რავნი შენნი, **ისრაშლ**, ვითარცა ღელენი საგრილნი და ვითარცა სამოთხენი
 მდინარეთა ზედა და ვითარცა კარავი, რომელი აჰმართა უფალმან, და ვი-

¹ ეკთუ L (უქარაგმოდ).

(1) სუ ჩავ. 5,13.



ღ

თარცა ნაძვ წყლის-კიდეთა(1). ხოლო იგი, მსგავსად ჩუეულებისა, წარვიდის
 თვისსაგან თვისსავე მონასტერსა და ვანეკრძალის მარხვასა დღითი-დღე,
 სულთ-ითქუამნ და სურინ ზეცისათა (284) საყოფელთა და სურვილი აქუნ
 მისთვის და ხედავნ დღითი-დღე კაცთა ცხორებასა, მრავალ-გზის ჭამასა და
 ძილსა და სხუასა საქმარსა ჯორკთასა¹, ჰრცხუენინ და ვანიზრახვენ სულისა
 მის გონიერებასა. შრავალ-გზის მრავალთა თანა მონაზონთა, ვითარ ჭამნ, მო-
 იქსენის სულიერი საზრდელი და დაუტევის და შორს მათგან წარვიდის და
 ჰგონიენ სირცხულეული, უკუეთუ ხედიდიან სხუანი ჭამასა, ჭამნ იგი თვის-
 საგან ჯორკთა უნებლებსათვს, მრავალ-გზის ძმათა თანაცა, ჰრცხუენინ ამას ზე-
 და, ხოლო კადნიერ არნ სარგებლისათვს სიტყუათა, იტყუნ: ჯერ-არს ყოველი
 სწრაფად სულისათვს უფროს, ვიდრე არა ჯორკთა და შენდობად ჭირისათვს
 მცირედ ჟამ ჯორკთაჲ, ხოლო ყოვლადვე მოცალეებაჲ სულისათვს და ამას სარ-
 გებელსა ძიებად, რაჲთა იგი არა დამძიმდეს გულის-თქუმათაგან ჯორკთაჲჲ
 არამედ უფროსდა ჯორცნი მისთვის დამონებად, რამეთუ ესე არს, რომელ-იგი
 თქუა მაცხოვარმან: ნუ ჰზრუნავთ სულთა თქუნეთათვს, რაჲ ვჭამოთ, ნუცა
 ჯორკთა თქუნეთათვს, რაჲ შევიმოსოთ(2). ნა თქუნენ ნუ ეძიებთ, რაჲ ვჭამოთ,
 ანუ რაჲ ვსუათ, და ნუცა განსცნობით(3), რამეთუ მას ყოველსა წარმართნი
 ამის სოფლისანი ეძიებენ, ხოლო მამამან თქუნემან იცის, რაჲ-იგი ვიჭმს ამათ
 ყოველთაგანი(4). რამედ ეძიებდით სასუფეველსა მისსა², და ესე ყოველი
 მოგცეს თქუნენ(5).

(290) წმისა შემდგომად მოიწია ეკლესიათა ზედა შაქსიმიანე, და ესო-
 დენ იყო დევნაჲ, და წმიდანი მოწამენი წარიყვანნა რლექსანდრიად. მუდგა
 ივიცა, დაუტევა მონასტერი და თქუა: წარვიდეთ, რაჲთა ვილუაწოთ ჩუენცა,
 ვიწოდნეთ თუ, ანუ ვიხილნეთ მოღუაწენი, რამეთუ სურვილი აქუნდა მარტვ-
 რობად და თავით თვისით მიცენად არა უნდა და ჰმასხურებდა აღმსარებელითა
 ყოვლითა გულს-მოდგინებითა საპყრობილეთა შინა და საწყდობილეთა, და
 დიდი სწრაფად იყო მისი განკითხვასა მას შინა. ნა განაკრძალეება იგი ყო-
 ველთა წმიდათა და გულს-მოდგინე ჰყოფდა, ხოლო რომელნი-იგი იმარტვრე-
 ბოდეს, თანა-უდგა და წარჰგზავნებდა, ვიდრემდის სრულ იქმნიან. ხოლო მსა-
 ჟულმან ვითარ იხილა იგი და მისთანანი უშიშად ამისთვის და მოსწრაფედ,
 უბრძანა: ნუშეცა ვინ მონაზონთაგანი დალიქსა წინაშე იპოების, ნუცა ყოვლად
 ქალაქსა შინა.

სხუანი იგი დამალნეს მას დღესა, ხოლო წმინანი ესოდენ არა ზრუნვი-
 და, უფროსდა მან განირცხა სამოსელი თვისი და ხეალისა დღე წინაშე მა-
 დალსა ზედა დადგა კადნიერად და ეჩუენა მსაჯულსა მას ბრწყინვალედ. ყო-
 ველთავე უკვრდა ამისი, და მსაჯულიცა იგი ხედიდა. ნა შემდგომად საქმისა
 მიერ წარვიდოდა იგი, უშიშად დგა და გვჩუენებდა ჩუენ ქრისტეანეთა გულს-
 მოდგინებასა, ილოცვიდა იგი მარტვრობასა, (294) ვითარცა პირველად ვთქუ,
 და მწუხარე იყო ფრიად, რამეთუ არა იმარტვრა. ხოლო უფალმან დაჰმარხა

1 ჯრკთასა ღ (უქარავმოდ). 2 მისა ღ.
 (1) შთც. 24,5—6. (2) შათ. 6,25. (3) ზუყ. 12,29. (4) შათ. 6,32; ზუტ. 12,30. (5) შათ.
 6,33; ზუყ. 12,31.

ოგი ჩუენთს და სხუათათს სარგებელად, რაათა მონაზონებითა მით, რომელ
 ისწავა მან წიგნთაგან, იყოს იგი მრავალთა მოძღუარ, რამეთუ რომელნი ხედ-
 ვიდეს მისსა მას ცხორებასა, მრავალნი მიჰბადვიდეს. შერმე იწყო მსახურე-
 ბადვე, მსგავსად ჩუეულებისა¹ აღმსაარებელთა, და ვითარცა თანა-შეკრულ

5 იყო იგი და დაშურებოდა იგი მსახურებასა მას.
 და რაჟამს დევნა იგი დასცხრა, და იმარტვრა ნეტრეული ეპისკოპოსი
 სეტრე, განვიდა მერმე მონასტრადვე თვსად უდაბნოდ და იმარტვლებოდა
 იგი დღითი-დღე გონებითა და ილუწიდა იგი სარწმუნოებისა მისთვის სიძნე-
 10 მარადის. ღლოთ სამოსლად მისა იყო შინაგან ძაძაჲ და გარეშე ტყავი, ვიდრე
 აღსასრულამდე მისა დაიმარხა იგი, არცაღა ჯორციი სადა მწინკულისათს
 დაეხანეს, არცაღა ყოვლად ფერჯნი სადა ეხანეს, გინა თუ წყალსა და თვნიერ
 უნებლებისა შთადგნეს, არცაღა შინუელი ვის ეხილვა იგი, არცაღა ყოვ-
 15 ლადვე ჯორციი წმინისნი ეხილნეს ვის შიშუელნი, გარნა ოდეს აღესრულა,
 და დაჰფლვიდეს. და ვითარ განეშორა იგი და დაიდვა გულსა მრავალ ჟამ,
 ვითარმედ არცა გამოვიდეს (300) იგი გარე, არცა შე-ვინ-უტეოს შინა.

შარტყნიანოზ ვინნე მთავარი ერისაჲ მოვიდა და ევედრებოდა წმინის,
 რამეთუ იყო ასული მისი სნეულ ეშმაკითა. შითარ მრავალ ჟამ დგა და ჰრეკ-
 20 და კარსა, ევედრებოდა გამოსლვად მისა და ლოცვისა ყოფად ღმრთისა მი-
 მართ ყრმისა მისთვის, განდებჲა კარისაჲ არა თავს-იდვა, გარდამოხედა ზე და
 ჰრქუა მას: კაცო, რაჲსა მაწყინებ მე, კაცივე ვარ მეცა, ვითარცა-ეგვე შენ.
 აკუთეთუ გრწამს ჰრისტი, რომელსა ეჰმსახურებ მე, წარვედ და: ვითარცა
 გრწამს, ილოცე² ღმრთისა, და გეუოს შენ. და მეყსეულად ჰრწმენა მას და
 ხადოდა სახელსა ჰრისტესსა³ და წარვიდა და წარიყვანა ასულიცა იგი გან-
 25 წმედილი ეშმაკისაგან.

შრავალი სხუაეცა ქმნა უფალმან მისგან, რომელმან-იგი თქუა: ითხოეთ
 და მოგვეცეს თქუენ(!). შრავალთა ვნებულთა რომელთა გან- ვე არა -ულას
 კარი, გარეშე მონასტერსა დაადგრიან⁴ და სარწმუნოებით ილოცვედ გულო-
 30 თად და განწმდიან. შითარცა იხილა თავი თვსი შფოთსა შინა მრავალთაგან
 და ვითარ არა უტევებდეს მსგავსად ნებისა მისისა შეყენებად, ვითარ-იგი მას
 უნდა, ეშინოდა, ნუჟუჟე⁵ რომელსა-იგი უფალი იქმს მისგან, გინა მან თავი
 აიმაღლოს, გინა სხუასა ვისმე ეგონოს მისთვის, განიზრახა და წარემართა ზენა
 ძეგბიდად, სადა-იგი იცოდესვე არა.

და ვითარ მოილო ძმათაგან (304) პური, ჯდა იგი კიდესა მდინარისასა და
 35 ხედვიდა, უკუეთუ ნავი წარმოვიდეს მიერ, რაათა ავდეს და წარვიდეს მათ
 თანა. შითარ ამას განიზრახვიდა, ჳმაჲ ღმრთისაჲ იყო მის ზედა ზეციით: წმინ-
 ნი, ვიდრე ხუალ, ანუ რასა ჰზამ? ღლოთ იგი არა შეძრწუნდა, არამედ ვითარცა
 ჩუეულები⁶ აქუნდა წოდებად მრავალ-გზის, ესრჭოთ ისმინა, მიუგო და ჰრქუა,
 რამეთუ: არა მიტევებენ მე ჯდომად კაცი. ამისთვის მნებავს აღსლვაჲ ზენა

1 ჩოუელებისა ლ. 2 ილცე ლ. (უქარავმოდ). 3 ჰ-შსა ლ. 4 და დაადგრიან ლ. 5 ნუ-
 ჟუჟე ლ. 6 ჩოუელები ლ.
 (1) შთ. 7,7; ზუგ. 11,9.



ღ

მეზიდად მრავალთა ამოგან შფოთებათა, რომელნი მქონან აქა, და უფროს-
 ღა ამისთვის, რამეთუ მიმდინან იგინი უფროს ძალისა ჩემისა. **ჟოლო მან**
 პრქუა მას: დადითუ მეზიდად ახვდუ, გინა თუ, ვითარცა-ეგე გულსა მოგვი-
 და, შთასლვად ბოკულიად, უფროსი და მრჩობლი შრომაჲ გაქუს დათმენად.
მკუეთუ გინებს გულითად დაყუდებამ, წარვედ აწ შენ უდაბნოდ. **ჟოლო** 5
ნტონი პრქუა: და ვინ მიჩუენოს მე გზამ, რამეთუ უცებ ვარ ამისა? **ნამეყს**
 უჩუენნა მას სარკინოზნი, რომელთა ეგულებოდა წარსლვაჲ მას გზასა. **შოგი-**
 და და მიეახლა მათ **ნტონი** და ევედრებოდა მათ უდაბნოდ წარსლვად მათ
 თანა.

ჟოლო მათ, ვითარცა ბრძანებითა ღმრთისაჲთა, გულს-მოდგინედ შეიწყ- 10
 ნარეს იგი. **ნა** ვიდოდა სამ დღე და სამ დამე მათ თანა და მოვი-
 და მთასა ფრიად მაღალსა და პოვა წყაროჲ მთასა მას ქუეშე ე-
 თილი, ტკბილი და ცივი ფრიად, და (31^რ) ველი იყო მახლობელად და დანა-
 კისკუდოანნი¹ უღუაწად მდგომარენი მცირედ. **ჟოლო** **ნტონი**, რეცა თუ 15
 ღმრთით, აღიძრა და შეიყუარა ადგილი იგი, რამეთუ ესრეთ ეუწყა მისგან,
 რომელი-იგი ეტყოდა კიდესა მას მდინარისასა. **ჟოლო** პირველად მიიღო მოგ-
 ზაურთა მათგან პური და დაადგრა მთასა მას მარტოჲ, და არავინ იყო სხუაჲ
 მის თანა, რამეთუ, ვითარცა თვისი სახლი, იცნა. **ნა** მიერითგან აქუნდა ადგი-
 ღი იგი. **ჟოლო** მათ სარკინოზთა ვითარცა იხილეს **ნტონისი** გულს-მოდგი- 20
 ნებამ, მარადის გზასა მას წარვიდოდეს, სიხარულით მიართუმიდეს მას პურ-
 სსა. **ნა** აქუნდა დანაკისკუდთაგანცა მცირედ საზრდელი. **ნმისა** შემდგომად
 გამოიკითხეს ძმათა-ადგილი იგი და, ვითარცა შევილთა რაჲ მამისაჲ, მოიგნენს
 და უზრუნვიდეს მას მიძღუანებულ პურისა. **ვითარცა** იხილა **ნტონი**, რამე-
 თუ მიზეზითა პურისაჲთა დაშურებინან ვინმე და დიდსა შრომასა თავს-იღებენ,
 და ერიდებოდა ამისთვისცა მონაზონთა², განაზრახა თავით თვისით და მიმა- 25
 ვალთა მათ ევედრებოდა, რაათამცა მიართუეს მას სათხრელი და თოჯინა და
 იფქლი მცირედ. **ნა** ვითარცა მიართუეს ესე, მიმოვლო გარემო მთაჲ იგი და
 პოვა მცირედ ადგილი მარჯუმ³, ქმნა მცირედ მხალი, რაათა მიმავალთა მისა
 აქუნდეს ნუგეზინის-საცემელი მცირედი ნაშურალსა გზისა მისგან ძნელისა;
 სათესავი აქუნდა, დაუცხრომელად⁴ იქმოდა⁵ (31^დ) და დასთესა მან და წლი- 30
 თი-წლად ამას ჰყოფდა და აქუნდა მიერ პური სიხარულით, რაათა არავის და-
 ამძიმოს ამისთვის, და რამეთუ ყოვლადვე თავსა თვისსა⁶ დაუძმძიმებულად დაი-
 ცვიდა.

ნრამედ შემდგომად იხილნა შერმე ვინმე შემავალნი და დასთესა მცი- 35
 რედ მხალი, რაათა მიმავალთა აქუნდეს მცირედ განსასუენებელი შრომისა
 მისთვის და სიფიცხლისათვის გზისასა. **პირველად** უდაბნოსა მკეცი მიზეზი-
 თა მის წყლისაჲთა მოვიდოდეს და მრავალ-გზის ავნებდეს თესულსა მას მის-
 სსა⁷ და შრომილსა. **ჟოლო** მან განცხრომით შეიპყრა ერთი მკეცი და ეტყოდა
 ყოველთა: რად მავნებთ მე, რამეთუ მე არა ვავნებ თქუენ; წარვედით და სა-
 ხელითა შესლასითა ნუღარა მოეახლებით აქა. **შიერითგან** შემინდეს მცენ- 40

1 დანაკისკუდოანი ღ. 2 მონაზონთა ღ. 3 მარჯუ ღ. 4 დაუცხრომელად ღ. 5 იქმოდა—ღ.
 6 თვისა ღ. 7 მისა ღ.



ღ

- ზისა მისთვის და არღარა მოეახლნეს ადგილსა მას. **ჟოლო იგი მარტოა იყო-**
ფოდა შინაგან მთასა მას და ლოცვასა და მარხვასა მოცალე იყო. ჟოლო მძა-
ნი იგი, რომელ შევიდეს, ევედრებოდეს, რაათა თუედ-თუედ ჰმსახურებდენ
მას და მოართმეიდენ მას ზეთისხილსა და ცერცუსა. ჟოლო ბერცა იყო იგი
5 მიერთიგან და მუნ იქცეოდა იგი და რავდენთა დაითმენდა იგი ბრძოლათა,
ვითარცა წერილ არს, არა თუ სისხლთა და ჯორცთა, არამედ წინა-აღმდგომთა-
გან ეშმაკთა(1), რამეთუ მიმავალთაგან მისა გუესმა ესე, და მუნცა შფოთი და
წმანი მრავალნი და ბგერანი ჭურვილთანი ესმიედ. შაშინ მთად იგი ღამე საესე
10 არნ (327) ნაბერწყალითა, და ხედვიდეს მასცა, რამეთუ ჰხედავნ მიმართ და
ჰლაღავნ და ილოცავნ და შემავალთა მისა ნუტეშინის-სცემნ, ხოლო იგი თა-
ვადი ღუწოლასა³ შინა არნ და მუქლთა მოიღრევენ და ევედრებინ ღმერთსა.
შა იყო ჭეშმარიტად საკვრველ, რამეთუ მარტოა ეგოდენთა მათ უღაბნოთა
იქცეოდა და არცაღა ეშმაკთა ზედა-მისლვასა შეძრწუნდის, არცაღა ეგოდენ-
15 თა მქეცთა ოთხფერჯთა და ქუეწარმავალთათს ველისათა შეშინდის, არა-
მედ ჭეშმარიტად, ვითარცა წერილ არს: რომელნი ესვენ უფალსა, შეუბ-
რველად აქუნდა და შეურყეველად გონებად(2), უფრომხლა ეშმაკნი ივლტო-
დეს მისგან და მქეცნი ველისანი, ვითარცა წერილ არს, დაუმშუდნეს² მას(3).
შა ვითარ გალობდა ფსალმუნსა³ წნტონი, ეშმაკი იგი უმზირინ და
იღრჭენნ მის ზედა კბილთა(4), ხოლო წნტონი ნუტეშინის-ცემულ იყო მა-
20 ცხოვრისაგან და უენებელად დგა მისთა მათ ზაკუვათაგან და ფერად-ფე-
რადთა უცნებათა. შა ვითარ მღუძარე იყო იგი ღამე⁴, ყოველნი მქეცნი ვე-
ლისანი მოუტევენა, და გამოვიდეს ყოველნი აფთარნი მათ ადგილთანი ჭურე-
ლით თვისით და გარე-მადგეს მას. შა დგა იგი მარტოა შორის მათსა. ში-
25 თარ აღამტემეს პირები მათი და დატეგებნად აშინებდეს, გულისხმა-ყო მან
ბტერისა იგი მანქანებად და ჰრქუა ყოველთა მათ: უკუეთუ ჯელმწიფებად მო-
გიდებდეს ჩემ ზედა, განმზადებულ ვარ შესაჭმელად თქუნდა; უკუეთუ ეშ-
მაკთაგან აღძრულ ხართ, ნუ სდგათ, არამედ წარვედით, (324) რამეთუ მონაჲ
ვარ ჭრისტში. შითარცა ესე წნტონი ჰრქუა მათ, ივლტოდეს ყოველნი, ვი-
30 თარცა ტანჯვითა სიტყუსა მისგან, და წარვიდეს.
ხუალად მერმე მცირედისა დღისა შემდგომად, ვითარ იქმოდა, რამეთუ
შურებინცა იგი, მო-ვინმე-ვიდა კართა და განჰზიდა თხზულსა⁵ ჯელთა მის-
თასა, რამეთუ სფურითსა⁶ კერვიდა იგი, და ესე მიმავალთათს, რომელთა-
იგი მიართვან საწმარი, მისცის მათ. ლდღა და იხილა მქეცი, მსგავსი კაცისაჲ,
35 ვიდრე ბარკალ-მსხვლადმდე, ხოლო წვენი და ფერჯნი მსგავსად ვირისა. ჟო-
ლო წნტონი ჯუარი დაიწერა და თქუა: ჭრისტშ მონაჲ ვარი მე; უკუეთუ
მოვიღინე ჩემთვის, აჰა ესერა ვარ მე. ჟოლო მქეცი იგი ეშმაკითურთ ესო-
დენ ივლტოდა, ვიდრემდის სწრაფისა მისგან დაეცა და მოკუდა. ჟოლო მქე-
ციისა მის სიკუდილი დაცემაჲ ეშმაკთაჲ იყო; ყოველსავე ისწრაფდეს ყოფად,
რაათამცა იგი გარდამოიყვანეს უღაბნოჲთ, და ვერ შეუძლეს.
40 შეედრებოდეს ოდესმე მონაზონნი, რაათამცა მივიდა მათა და იხილნა,

1 ღუწოლასა ლ. 2 დაუმშუდნენ ლ. 3 ფსალმონსა ლ. 4 ღამე ლ. 5 თხზულსა ლ. 6 ასეა ლ.
 (1) ლდგ. 6,12. (2) ფს. 124,1. (3) ლბ. 5,23. (4) ფს. 34,16.



ღ

ივინი მრავლით ეხმით არა ეხილენეს და ადგილი მათი და წარმოემართა მათ
 თანა, რომელნი-იგი მისრულ იყვნეს მისა, და აქლემსა ეკიდა მათ: პური და
 წყალი, რამეთუ ურწყული იყო ღდაბნთა იგი ყოველი, და არა იყო წყალი
 ყოვლადვე, გარნა მთასა მას ხოლო, ვინაჲცა წარმოელო მათოვს წყალი, სადა-
 ცა საყოფელი მისი იყო. **¶** თითარ მოაკლდა მათ წყალი გზასა ზედა, იჭროდეს, 5
 (33ჰ) ვითარ მიმოვიდოდეს ადგილსა მას, და არა პოევს წყალი და ვერცა
 სლვად ეძლო, არამედ ყოველნი დაცვეს გუეყანასა და აქლემიცა იგი ვანუ-
 ტევს წარსლვად, ვიდრეცა უნდეს, ხოლო ივინი სულმოყლე იქმნეს. **¶** **¶**
 ბერმან მან ვითარცა იხილნა ყოველნივე ჭირსა შინა, შეწუხნა ფრიად და
 სულთ-ითქუმიდა და წარვიდა მათგან მცირედ, მოიდრივნა მუჭლნი, ჯელნი 10
 განიპყრნა და ილოცვიდა. **¶** **¶** მესს იამინა მისი უფალმან, და წყაროა აღ-
 მოქდა მიერ ადგილით, სადა-იგი დგა, და ილოცვიდა. **¶** **¶** ესრეთ სუეს და
 ყოველთა განისუენეს და თხიერნი აღავსენეს და ეძიებდეს აქლემსა მას და
 პოევს, რამეთუ საბელი იგი მისი დახუეულ იყო ლოდსა, და დგა. **¶** **¶** თითარ მო-
 იბეს იგი, ასუეს წყალი, აპკიდნეს თხიერნი იგი და წარმოემართნეს უფნებელად. 15
¶ **¶** თითარ მოვიდა გარე მონასტრებსა, ყოველნივე ვითარცა მამასა თუსსა¹ მიე-
 გებოდეს², ამბორს-უყოფდეს. **¶** **¶** მას ვითარცა საგზალი დიდი რაჲმე მოა-
 ქუნდა მათთ და ისტუმრებდა მათ ყოველთა სიტყვთა და მისცემდა სარგე-
 ბელსა. **¶** **¶** შერმე იყო სიხარული დიდი მათათა შინა და შური წარმატებისა და
 ნუგეშინის-ცემამ ურთიერთას სარწმუნოებითა. **¶** **¶** აწხაროდა მასცა, ხედვიდი 20
 რაჲ მონაზონთასა მას გულს-მოდვინებასა და დასაცა მისსა დაბერებულსა
 ქალწულებასა შინა, და წინამძღუარ იყო იგი სხუათა ქალწულთა.

შრავლისა დღისა შემდგომად წარვიდა იგი ბუნვე მთად.

შეირთვან მივიდოდეს მისა მრავალნი, არამედ (33ჲ) ვნებულთაცა ვერ
 მიიკადრეს შესლვად მუნ, არამედ ყოველთა მიმართ შემავალთა მონაზონთა 25
 ესე ზედას-ზედა აქუნდა მცნებაჲ, რათა პრწმენეს უფალი ლესუ ჰრისტე და
 შეიყუარონ იგი და დაიცივნენ თანნი თუსნი მწინკლუევანთაგან გულის-სიტ-
 ყლათა და გულის-თქუმისაგან ჯორცთასა. **¶** **¶** თა ვითარცა იგავა წერილ არს:
 ნუ სცობი განძლებათა მტკლისათა³(1), ივლტოდეთ ზუთობისაგან და ილო-
 ცევდით მარადის, ვალობდით პირველ დაძინებისა და შემდგომად ძილისა და 30
 ზეპირით დაისწავებდით ყოველთა წიგნთაგან მცნებასა და მოიხსენებდით
 საქმესა წმიდათასა და ბაძვითა ამითთა წარწევად განმარტებად სულთა
 თქუენთა.

მოწესენებითა ამით მცნებათათა უფროსლა აზრანებდა მათ მოციქუ-
 ლისა სიტყუთასა ზედას-ზედა წურთად მერმეცა: ნუ დაჰვალნ მზმ გულის- 35
 წყრომისა თქუენისა(2), და ესე ზოგად ყოველთათუს მცნებათა⁴ თქუემად გე-
 გონენ, არა ხოლო თუ ვანრისხნებისათუს, ნუცალა სხუათა ცოდვათა ჩუენთა-
 თუს დაჰვალნ მზმ. **¶** **¶** ხუთილ არს და უნჯობშს, რათა ნუმცა მზმ დაჰვალს სი-
 ბოროტისათუს დღისაჲსა, ნუცა მოთვიარმ⁵. **¶** **¶** დამისათუს ცოდვისა და ყოვლად-

1 თუსა ლ. 2 მიეგებოდეს ლ. 3 მოცლისათა ლ. 4 მცნებათათუს ლ. 5 მოთვიარმ ლ.


(1) ლგვ. 24,15. (2) ლგვ. 4,26.

7

- ვე ნუცა გულსა მოსლვად საკდემელად და სარცხუნელად ჩუენდა, რაათა ესე ესრჭით დავეუშარხოს ჩუენ. ზეთილ არს ჩუენდა სმენად მოციქულისა: და დაცვად, ვითარ-იგი თქუა: თავნი თვისნი განიკითხნენ¹, (34ჟ) თავნი თვისნი გამოიციადნენ⁽¹⁾. **7** **წუ უკუე** დღითი-დღედ დღისა საქმეთა და დამისათა კაცად-კაცადი სიტყუისა ჰყოფდინ თავისა თვისისათს და, თუ ცოდა, დასცხერინ, და თუ არა ცოდა, ნუ იქადინ, არამედ დაადგერინ კეთილსა და ნუ უღებ არს; ნუცა განიკითხავნ მოყუასსა, ნუცა განიშართლებნ თავსა, ვითარცა თქუა ნეტარ-მან მოციქულმან **8** **სავლე**, ვიდრემდის მოვიდეს უფალი, რომელმან დაფარულნი გამოიძიენეს⁽²⁾.
- 10** **შრავალ-გზის** თავისა თვისისა საქმენი დავუაფიწყდინ, და ჩუენ არა უწყოდით, ხოლო უფალმან იცის ყოველი; მას თავადსა მიუტეოთ სამჯელი, ურთიერთას ვსწყალობდეთ და ურთიერთასი სიმძიმე ვიტვრთოთ⁽³⁾ და თავსა თვისსა² განვიკითხვიდეთ და, რაა-იგი გუაკლს, აღვსებად ვისწრაფოთ. **11** **სყავნ** ესეცა კრძალვა არა ცოდვისა ჩუენისათს, დაცვად კაცად-კაცადისა საქმესა ჩუენსა და აღძრვათა სულისათა, ვითარ გქონან³, ურთიერთას უთხრობდეთ და დავისწავებდეთ და დავსწერდეთ, და ნუ გეშინინ, რამეთუ გრცხუნოდის უწყებად, და დავსცხრეთ და არა ვცოდვიდეთ და ყოვლადვე არა გულუ გვთქუმიდეს ბოროტისათს. **12** **წინ-მე** ცოდავნ, და უნებნ, რაათამცა ხედვიდა ვინმე, ანუ ვინ ცოდის და არა ტყუვიან და დავიწყებაჲ უნებნ. **13** **წითარცა-იგი** ხედვიდით რაა ურთიერთას, და არა ვისიძვით, ეგრჭითცა, უკუეთუ უთხრობდეთ (34ჟ) ურთიერთას გულის-სიტყუათა ფრიად, დავიცვენეთ თავნი ჩუენნი გულის-სიტყუათაგან ბოროტთა და მწინკულევანთა, რამეთუ გურცხუნოდის უწყებად. **14** **სყავნ** ჩუენდა დაწერილი იგი თუალთა წილ მონაზონთასა, რაათა გურცხუნოდის დაწერად, ვითარცა ხედვისა, და არცაღა ყოვლად გულსა მოგჩდეს ბოროტი. **15** **დაკუეთუ** ესრჭით განეაწესნეთ თავნი ჩუენნი, შემძლებულ ვიქმნეთ დამონებად ჳორცთა და სათნო-ყოფად უფლისა და დათრგუნვად საქმეთა ეშმაკისათა.
- 16** **მას** ყოველსა ამცნებდა, რომელნი შეემთხუეოდეს მას, და ვნებულთა მათ სწყალობნ და თანა-ილოცავნ. **17** **შრავალ-გზის** მრავალსა შინა შეისმინის, იქადინ და არცა არა სმენისათს დრტუნავნ, არამედ მარადის ჰმადლობნ იგი ღმერთსა, ხოლო ვნებულთა მათ ჰლოცავნ, რაათა სულგრძელ იქმნენ და უწყოდინ, ვითარმედ არცა მისი, არცაღა ყოვლად კაცთაჲ არს კურნებაჲ, არამედ მხოლოსა ღმრთისაჲ, რომელმან ყვის, ოდეს უნებნ. **18** **ხოლო** ვნებულთა მათ, ვითარცა კურნებაჲ, შეიწყნარნიან⁴ სიტყუანი იგი ბერისანი, ისწავებედ იგინიცა, რაათა არა სულმოკლე იქმნენ, არამედ უფროსსა სულგრძელ, **19** **ხოლო** განკურნებულთა მათ ასწავებნ და ეტყუნ: ნუ **20** **წტონის** ჰმადლობთ, არამედ მხოლოსა უფალსა.
- 21** **სყო** ვინმე, რომელსა სახელი ერქუა **22** **წრეტონ**⁵, (35ჟ) ტაძრისაგან სამე-უფოდასა, და ვნებაჲ იყო ბოროტი მის თანა, რამეთუ ენასა შეიჭამნ და თუალთაცა თვისთა აენებნ. **23** **წითარ** შევიდა იგი მთად, ევედრებოდა იგი **24** **წტონის**,

1 განიკითხენ 7. 2 თვისა 7. 3 გქონან 7. 4 შეიწყნარნიან 7. 5 წრეტონ 7.

(1) 2 ზორ, 13,5. (2) 1 ზორ, 4,5 (3) სკლ. 6,2.



ქართული
ნაციონალური
ბიბლიოთეკა

7

რამათაცა ლოცვა-ყო მისთჳს, ხოლო მან ვითარ ილოცა, მიუგო და მარტო
 ჟღერდა, წარვედ და განიკურნო. ღოლო იგი აძულვებდა და დგა მრავალ
 დღე. შიუგო წნტონი და ჰრქუა: ვერ შემძლებელ ხარ აქა განკურნებად, წარ-
 ვედ და, ვითარ მიიწო ჴგვბტედ, იხილო, რომელი იქმნას შენ ზედა სასწაუ-
 ლი. სრწმენა მას და წარმოვიდა. შა ვითარ იხილა ჴგვბტმ, მყის დასცხრა
 საღმობაჲ მისი, და განიკურნა კაცი იგი; ვითარცა ჰრქუა მას წნტონი, რამე-
 თუ ესე ლოცვით ეუწყა მაცხოვრისაგან.

ქალწული ვინმე იყო ბოსირელი, რომელ არს მრიბოლისისაჲ, და ვნე-
 ბაჲ იყო ფიცხელი და ფრიად ბორბი მის თანა, რამეთუ ცრემლნი მისნი და
 წყალი, რომელი ცხვრით და ყურით გარდამოდინ და ქუეყანასა დასწუთებინ,
 მცესეულად მატლ იქმნებინ, რამეთუ იყო იგი ვორციათაჲ განრღუეულ და
 თუალნი არა ბუნსა ზედა სხდეს. ამისთა მამა-დედათა ესმა მისლეჲ ვითიბე
 მონაზონთაჲ წნტონისა და ჰრწმენა უფლისაჲ, ვითარ-იგი წიდოვანი განკურ-
 ნა(1), და ევედრებოდეს მათ, რამათა ასულითურთ წარვიდეს მათ თანა, ხოლო
 მათ თავს-იდვეს, და მამა-დედანი იგი მისნი დაადგრეს ასულისა თჳსისა თა-
 ნა გარეშე მთასა მას მახლობელად საფნოტისსა, აღმსაარებელისა (354) და
 მონაზონისა. ღოლო იგინი შევიდეს და, ვითარცა ეგულვებოდა ოდენ თხრობად
 ქალწულისა მისთჳს, უსწრო მათ წნტონი და უთხრა მათ ვნებაჲ იგი მის ქა-
 ლისაჲ და ვითარ-იგი თანა-უვიდოდა მათ. ღოლო იგინი ევედრებოდეს მას,
 რამათაცა უბრძანა შესლეჲ მათი, და მან არა უბრძანა, არამედ ჰრქუა მათ:
 წარვედით და ჰპოოთ იგი განკურნებული; არღათუ მომკუდარ არს, რამეთუ
 არა ჩემი არს ესე საქმე, რამათაცა ჩემდა, მდაბლისა კაცისა მოხუციით, არა-
 მედ მაცხოვრისაჲ არს ესე კურნებაჲ, რომელმან ყვის ყოველსა ადგილსა წყა-
 ლობაჲ თჳსი, რომელნი ხაღიან მას, რამეთუ ლოცვასა მისსა¹ მოხედნა უფალ-
 მან და შეიწყალა და მე მათუწყა თჳსითა კაცთ-მოყუარებითა², ვითარმედ
 საღმობაჲ მის ქალისაჲ მუნ განიკურნოს. შა იქმნა უკუე საკვრველი ესე. შა
 ვითარცა გამოვიდეს, პოვნეს მამა-დედანი მისნი მხიარულნი და ქალი იგი გან-
 კურნებული იყო.

ამისა შემდგომად შე-ვინმე-ვიდოდეს ორნი ძმანი, და მოაკლდა³ გზასა
 ჴედა წყალი, ერთი იგი მოკუდა, ხოლო ერთი იგი იურვოდა სიკუდიდ და
 ვერ ეძლო სლვად და იდგა იგიცა ქუეყანასა ჴედა და მოელოდა სიკუდილსა.
 ღოლო წნტონი ჯდა რაჲ მთასა ჴედა, მოუწოდა ორთა მონაზონთა, რამეთუ
 იყვნეს ესენი მუნ, ასწრაფებდა და ეტყუდა: წარიღეთ სარწყულითა წყალი
 და მირბიოდეთ ჴგვბტით კერძო გზასა, რამეთუ ორნი მოვიდოდეს, ერთი იგი
 (367) აწდა მოკუდა, ხოლო ერთი იგი იურვის. მკუეეთუ არა ისწრაფოთ, მო-
 კუდეს იგიცა⁴, რამეთუ ესე აწ ლოცვასა შინა მეუწყა. შითარცა წარვიდეს
 მონაზონნი იგი, პოვნეს ერთი იგი მდებარმ და მომკუდარი იგი დაჰფლეს,
 ხოლო ერთსა მას ასუეს წყალი, მოეგო თავსა თჳსსა⁵, და მოჰგუარეს ბერსა,
 რამეთუ იყო სიგარმ მის გზისაჲ დღისა ერთისა სავალ.

მკუეეთუ ვინმე ეძიებდეს, ვითარმედ რად არა ვიდრე სიკუდილადმდე, 40

1 მისა 7. 2 კაცთ-მოყუარებითა 7. 3 მოაკლდა 7. 4 მოკუდეს იგიცა—7. 5 თჳსა 7.
 (1) შთ. 9,20—22.

4. გზორებაჲ წმიდისა წნტონისი.



ერთისა მისთვისა თქუა, არა მართლ ეძიებს და იტყვს, რამეთუ არა წეტონისი იყო სიკუდილისა მისისა სამჯელი, არამედ ღმრთისაჲ, რომელმან მისთვის საჯა ესრტთ და ამისთვის უჩუენა და გამოუცხადა მას, ხოლო წეტონისი ესე იყო საკვრველ, რამეთუ მთასა ზედა ჯდა და აქუნდა გული ფრთხილი; და უფალი უჩუენებდა მას შორად.

5 შა მერმე კუალად ჯდა იგი მთასა ზედა და აღიხილნა თუალნი და იხილა ჰაერთა ზედა აღმავალი ვინმე და მრავალნი ვინმე, რომელნი მოეგებვოდეს მას. შა იყო სიხარული. შა ვითარ უკვარდა მას და ჰნატრიდა და ესევითარსა კრებულსა ილოცვიდა უწყებად, ვინძი არს ესე, და მეყსეულად იყო მისა ჯმაჲ: ესე არს წმიდისა წმონის სული, რომელი-იგი ჯდა ჩიტრიას მონაზონი, რამეთუ იყო ესე ვიდრე სიბერედმდე მონაზონებასა დადგრომილ, ხოლო სიგრძმ წიტრიასათ ვიდრე მთადმდე, სადა-იგი იყო წეტონი, აცამეტისა (შნყ) დღისა სავალ, ხოლო რომელნი იყვნეს წეტონის თანა, ზედვიდეს რაჲ ბერსა მას დაკვრებულსა, ვეედრებოდეს მას, რაათა უთხრას მათ. შა უთხრა, ვითარმედ: აწ აღესრულა წმონ. შამეთუ იყო მისა მეცნიერ, და ზედამს-ზედა მოვიდის მისა, და მრავალნი მისგანცა სასწაულნი იქმნნეს მადლითა ქრისტესითა.

ქეს-არს ამათიცა მოქსენებაჲ, რომელთაგანი ერთი ესე არს საქმარ:

10 ღდესმე იყო მისი წიაღსლვად მდინარესა, რომელსა ჰრქვან შველ, და იყო მას უამსა ოდენ დიდროვა¹ წყალთაჲ, ვეედრებოდა იგი მისთანასა მას შვედორეს წარსლვად მისგან შორადრე, რაათა არა ურთიერთას თავნი იხილნენ შიშულად წიაღსლვასა მათსა მდინარესა მას. შერმე ვითარ განეშორა შვედორე, ჰრცხუნოდა მასცა შიშულად თავისა თვისისა ხილვად. შიდრე ჰრცხუნოდა და ზრუნვიდა, მეყსეულად წიაღისაბა იგი მიერ მდინარესა მას. ღოლო შვედორე, კაცი იგიცა, წმიდაჲ იყო, მიეხლა² და იხილა იგი წიაღსწრობილად და ყოვლადვე შეულტობელი წყლისაგან, ვეედრებოდა მას კითხვად სახესა მას წიაღსლვისასა. შითარ იხილა, რამეთუ არა უთხრობდა მას, აიშულებდა იგი, ეპყრნეს ფერჯნი მისნი და გამოჰკითხვიდა მას და ეტყოდა: არა განგიტვი, ვიდრე პირველად მითხრა მე. შითარ იხილა წმონ იძულებაჲ იგი შვედორეჲსი, უფროსლა სიტყვსა მისთვის, რომელ თქუა, მოჰჳადა მასცა სიტყუაჲ, (37ჟ) რაათა არავის უთხრას ვიდრე სიკუდილდმდე მისა. შა ესრშთ უთხრა, ვითარმედ: აღიტაცა იგი და დაისუა წიაღ მდინარესა მას, არცაღა სლვით ვიდოდა, არამედ არცაღა შესაძლებელ არს ესე ყოვლადვე კაცთა მიერ, გარნა უფლისა ხოლო და რომელთა მან უბრძანის, ვითარცა დიდსა მოციქულსა სეტრეს უყო(!). ღოლო შვედორე სიკუდილისა შემდგომად წმონისა უთხრა ესე; და მონაზონთა მათ, რომელთა უთხრა წეტონი სიკუდილა წმონისი, დაისწავეს დმ³ იგი, და აღმოვიდეს მჳანი ჩიტრით იც და ათისა დღისა შემდგომად, გამოჰკითხვიდეს, და ესნა მათგან, ვითარმედ მას დღესა და მას უამსა დაიძინა წმონ, რომელსა უამსა სული იგი წმონისი აღყვანებული იხილა³ ბერმან. შა ფრიად ამათცა და მათცა სიწმიდმ³ იგი სულისაჲ წეტონისი

1 დიდროვა ლ. 2 მიხლა ლ. 3 იხილვა ლ.
(!) შათ. 14,28—29.



ღ

დაუკვრდა, ვითარ ესოდენსა სიგრძესა გზისასა აცამეტისა დღისა სავალსა მყისა ეუწყა, და სული იგი მისი იხილა აღყვანებული.

შა **წრქელაოზცა კუმსან**¹ პოვა იგი ვარემე მოსა, ევედრებოდა მას, რაათამცა ლოცვა-ყო **სოლიკრატია**ასთვს **ხავდიკელისა, საკვრველისა და მორწმუნისა ქალწულისა**, რამეთუ ელმოდა მას სტომაქი და გუერდი ფიცხლად მარხვითა, და ყოვლადვე იყო ჭორციითა უძლურ. **ჰოლო წტონი** ლოცვა-ყო მისთვს. **შა კუმსან** მან დაისწავა დღ² იგი, რომელსა დღესა ლოცვა-ყო მისთვს. **ღა** ვითარ წარვიდა **ხაუდიკიად**, პოვა ქალწული იგი ცოცხალი. (374)

შა ვითარ გამოიკითხვიდა იგი, რომელსა დღესა დასცხრა იგი უძლურებისაგან, წარმოიღო წიგნი, რომელსა ეამსა ლოცვაჲ იგი მისთვს დაიწერა. **შა** ვითარ ესმა მათგან, უჩუენა მანცა მყის წიგნსა² აღწერილი, და ყოველთავე უკვრდა და³ გულისხმა-ყვეს, რამეთუ მას ეამსა განკურნა იგი უფალმან საღმობისა მისგან, რომელსა დღესა ლოცვა-ყო **წტონი**. **შა** ევედრებოდა სახიერებასა მაცხურისასა მისთვს. **ჰოლო** მიმავალთათვს მისა მრავალ-გზის წინაასწარ უთხრის მრავალ დღით, ოდესმე თვთ ერთით, ანუ რომლისა საქმისათვს მოვლენედ: რომელნიმე ხილვად ხოლო მისა მოვლენედ, და რომელნიმე უძლურებისათვს და რომელნიმე ვნებულებისაგან ეშმაკათასა. **შა** ყოველნივე არა შრომად და არცაღა დაჭირვებად შეპრაყბდეს შრომასა მის გზისასა, რამეთუ მიიქცეოდა კაცად-კაციდი თვსა ადგილად და უცნობიედ სარგებელი. **შა** ვითარ ესევეითართა ხედვიდა და იტყოდა **წტონი**, ევედრებინ:

წუვის გიკვრნ ჩემი ამას ზედა, არამედ უფროასლა გიკვრდინ უფლისაჲ, რამეთუ ჩუენ, კაცთა, მსგავსად ძალისა ჩუენისა მოგუმაღლა ცნობადი იგი.

შერმე გარდამოვიდა ვარე მონასტრებსა, და ევედრებოდეს მას აღსლვად ნავსა და ლოცვისა ყოფად მონაზონთა თანა. **შა** ვითარ აღწდა იგი, მას ხოლო მარტოსა მყრალობაჲ რამე ფიცხელი და ფრიად მწარშ ეცემოდა, ხოლო რომელნი-იგი ნავსა შინა იყვნეს, იტყოდეს, (387) ვითარმედ: თეგზიცა ლიწებული არს ნავსა ამას შინა და მისგან არს ესე მყრალობაჲ. **ჰოლო** იგი იტყოდა: სხუაჲ არს ესე ყროლაჲ აქა. **შა** ვითარ იგი ამას იტყოდა, ჭაბუკი ვინმე ეშმაკეული იყო და მისა წინა შესრულ იყო და დამალულ ნავსა შინა. **შა** ვითარ მყის წმა-ყო, შეპრისხნა ეშმაკსა მას **წტონი** სახელითა **წესუ ქრისტესითა**, და განვიდა მისგან, და კაცი იგი განეგო მისგან მყის. **შა**შინ ყოველთა გულისხმა-ყვეს, ვითარმედ ეშმაკისაჲ იყო ყროლაჲ იგი.

შა სხუისაცა⁴ ვის თანამე აზნაურისა იყო ეშმაკი, და მოვიდა მისა, რამეთუ იყო ეშმაკი იგი მისი ფიცხელ, და მასცა არა ეცნა, უკუეთუ **წტონისა** მოსრულ არს, არამედ ჭორცსაცა თვსსა⁵ შეიჭამნ. **ჰოლო** რომელთა-იგი მოიყვანეს, ევედრებოდეს **წტონის** ლოცვისა ყოფად მისთვს. **ჰოლო** **წტონის** შეეწყალა ჭაბუკი იგი და ილოცვიდა და დამესა ათევედა მის თანა. **შა** ჭაბუკი იგი მყის ზედა-მოუჭდა **წტონის** და აჭენა მას. **ჰოლო** რომელნი-იგი მის თანა მოსრულ იყვნეს, განრისხნეს მისთვს. **სრქელა** მათ **წტონი**: ნუ განრისხნებით ჭაბუკისა მავისთვს, არა ეგე არს, არამედ მავის თანა არს ეშმაკი, რამეთუ შეპრისხნა მას უფალმან, და ბრძანებულ არს წარდევნებად ურ-

1 კუმსან ღ. 2 წიგნა ღ. 3 და და ღ. 4 სხუისაცა ღ. 5 თვსა ღ.

ღ

წყულთა ადგილთა. ამისთვის განრისხნა და ესე საქმე ყო. წდიდებდით უფროასლა უფალსა, რამეთუ ესრეთ ესე მოსლვამ მაგისი ჩემ ზედა სასწაულად (384) თქუნდა იქმნა ეშმაგისა მაგისი განსლვამ. **ღ** შე ვითარ პრქუა წნტონი, მესყულად ჭაბუკი იგი განიკურნა, გონებამ მოეცა და გულისხმა-ყო, სდა **5** იყო, და ამბორს-უყოფდა ბერსა და ჰმადლობდა ღმერთსა.

ც

ღ

(264a)* სხუამცა მრავალი ესევი-თარი ერთბამად და ერთგულად თქუეს მისთვის მრავალთა მონაზონთა. **ც** რა თუ ესე საკვრველ არს ესოდენ, რადენ სხუამ უსაკვრველმსად ჩას. **ღ** შითარ პურსა ჭამდა, აღდგა და ილოცვიდა ცხრა¹ უამს, ცნა თავისა თვისისა, რამეთუ აღიტაცა გონებითა, და საკვრველ! შდგომარემან იხილა თავისა თვისისაგან, რეცა თუ გარეშე ყოფილმან, და ვითარცა ზე ჰაერსა წინა-უძლოდეს ვინმე, და იხილნა ვინმე მწარენი და ფიცხელნი ჰაერთა ზე, რომელთა უნდა დაბრკოლებამ მისი, რამთამცა [არა]² გარე-წარპჭდა მათ. **ც** ხოლო რომელნი-იგი წინა-უძლოდეს, განრისხნეს. **ც** ხოლო ესენი სიტყუასა მოჰქდიდეს მას და ეტყოდეს: არა წეს-არს მაგისი თქუენ თანა, ვითარ უნდა მათ, სიტყუსა ყოფამ შობითგან წნტონისი, დააბრკოლნეს, რომელნი-იგი წინა-უძლოდეს და პრქუეს მათ, რამეთუ შობითგან (264b) უფალმან შესუ ავოცნა ცოდვანი მაგისნი, ხოლო ვინათგან მონაზონ იქმნა და აღუთქუა³ ღმერთსა, წეს-არს სიტყუსა ყოფამ. **ც** შამინ შეასმენდეს და ვერას ამხილებდეს. **ც** შავისუფალ იქმნა გზამ იგი მისი, და მყის იხილა თავი თვისი მდგომარმ, და

სხუამცა მრავალი ესევითარი შე-თქმულად და წრფელად თქუეს მისთვის მრავალთა მონაზონთა ყოფილად მის მიერ. **ღ** რა ესოდენ ესე საკვრველ არს, რადენ სხუამ უსაკვრველმსად ჩანს. **ღ** შითარ-იგი პურსა ჭამნ, და აღდგა ოდესმე და ილოცვიდა ცხრა¹ უამს და აგრძნა თავისა თვისისა, რამეთუ აღიტაცა გონებითა, და საკვრველ¹ ესე იყო: მდგომარმ ხედიდა თავსა თვისსა² ვითარცა გუამსა გარეშე იბოვა, და ვითარცა ზე ჰაერთა წინა-ვინმე-უძლოდეს მას. **ღ** შა მერმე იხილნა მწარენი და ფიცხელნი ჰაერთა ზედა მდგომარენი, და უნდა დაბრკოლებამ მისი, რამთამცა გარე-არა-წარპჭდა მათ, ხოლო რომელნი-იგი წინა-უძლოდეს მას, შეპრისხნეს მათ. **ღ** შესენი სიტყუასა მოჰქდიდეს მათ, ნუმცა უკუე თანა-მდებ რამე იყოს მათა, უნდა მათ სიტყუსა ყოფამ შობითგან მისით, აყენებდეს წნტონის წინა-მძლუარნი იგი და ეტყოდეს მათ, რამეთუ შობითგანნი იგი უფალმან ავოცნა, ხოლო ვინათგან მონაზონ იქმნა და აღუთქუა ღმერთსა, წერ-არს სიტყუს-ყოფამ. **ღ** შამინ შეასმენდეს და ვერამ ამხილეს. **ღ** შირითგან თავისუფალ იქმნა (397) და დაუბრკოლებელ გზამ თვისი. **ღ** შა მესყ

1 ცხრა ც. 2 არა-ც. 3 აღუქო ც.
1 ცხრა ღ. 2 თვისა ღ.
* აქედან კვლავ გრძელდება ც-ს ტექსტი.

ც

ღ

იყო იგივე წმინი. შაშინ ჰურისა ჭამა იგი დაივიწყა და დაადგრა იგი მას დღესა და ღამე ყოველ ტირილით და ლოცვით განათია, რამეთუ დაკვრებულ იყო, იხილა რაა იგუ ხილუა, რადენ არს ჩუენი ბრძოლა, და რადენითა შრომითა შემძლებელ ვინმე არს გარე-წარსლვად ჰაერთა.

ნა მოიჯსენა, რამეთუ ესე არა, რომელი-იგი თქუა მოციქულმან მთავრისათჳს ჳელმწიფებისა ჰაერთაჲსა(1): ამით მტერსა აქუს ჳელმწიფებაჲ ბრძოლად და განცდად და დაბრკოლებად თანა-წარმავალთა. წმინთჳს უფროჲს ამცნებს: აღილეთ თქუენ საჳურველი ღმრთისაჲ, (27ჲ) რაათა შემძლებელ იქმნეო წინა-ადღგომად დღესა მას ბოროტსა(2) რაათა არა აქუნდეს სიტყუაჲ ჩუენთჳს ბოროტი მტერსა და დაპრცხუენეს(3). ჰოლო ჩუენ ესე გუესმა და მოვიჯსენეთ მოციქულისა სიტყუაჲ: ვინა ჳორცითა არა ვიცი, ვინა თჳნიერ ჳორცთა არა ვიცი, ღმერთმან იცის, რამეთუ საველე ვიდრე სამად ცადმდე აღიტაცა; და ესმა მიუწდომელი სიტყუაჲ(4); და გარდამოჳდა. ჰოლო წმინი ვიდრე ჰაერადმდე თავი თჳსი იხილა აღმავალი და ღუაწლი დიდი, ვიდრემდის თავისუფალ იქმნა. ჰოლო აქუნდა კუალად ესეცა მადლი, ვითარ: ჳინ იგი მარტოჲ მთასა; უკუეთუ ვინმე თავისასა ეძიებნ და განიზრახავნ, ესე¹ მას ღმრთისა მიერ ლოცვასა წინა გამოეცხადებოდა. ნა იყო, ვი-

იხილა თავი თჳსი მდვთმარწ და იყო იგივე წმინი. შაშინ ჰურის-ჭამაჲ იგი დაავიწყდა და დაადგრა იგი მას დღესა და ღამე ყოველ სულთ-ითქუმიდა ლოცვით, რამეთუ უკვრდა, იხილა რაა ესე, რადენთა მიმარო არს ჩუენი ესე ბრძოლა, და რადენითა შრომითა შემძლებელ ვინმე არს გარე-წარსლვად ჰაერთა.

ნა მოიჯსენა, რამეთუ ესე არს, რომელი თქუა მოციქულმან, ვითარმედ მთავრისა მისთჳს ჳელმწიფებისა ჰაერთაჲსა(1), რამეთუ: ამას ჳუდა აქუს მტერისა მას ჳელმწიფებაჲ ბრძოლად და განცდად და დაბრკოლებად თანა-წარმავალთა. წმინთჳსცა უფროჲსლა ამცნებდა: აღილეთ თქუენ საჳურველი ღმრთისაჲ, რაათა შემძლებელ იქმნეთ წინა-ადღგომად¹ დღესა მას ბოროტსა(2), რაათა არა აქუნდეს სიტყუად ჩუენდა ბოროტი² მტერსა და პრცხუენეს(3). ჰოლო ჩუენ ესე გჳსწავიეს და მოვიჯსენით მოციქულისა იგი სიტყუაჲ: ვინა ჳორცითა არა ვიცი, ვინა თუ თჳნიერ ჳორცთა არა ვიცი, ღმერთმან იცის, რამეთუ საველე ვიდრე მესამედ ცადმდე აღიტაცა; და ესმა მას უთქუმელი იგი სიტყუაჲ(4), და გარდამოჳდა. ჰოლო წმინი ჰაერთამდე თავი თჳსი იხილა აღმავალი და ღუაწლი დიდი, ვიდრემდის თავისუფალ იქმნა. ოქუნდა ესეცა მადლი კუალად, ვითარ: ჳინ იგი მარტოჲ მთასა გარე, (39ჲ) და, თუ რასმე თავით თჳსით იგი ეძიებნ და განიზრახავნ, ესე მას

1 ესე] ესმა წ.

1 წინა-ადმღგომად ლ. 2 ბოროტი ლ.

(1) 1 იეს. 2,2. (2) 1 იეს. 6,13. (3) 2 იტ. 2,8. (4) 2 ზორ. 12,2-4.

ს

ღ

თარცა წერილ არს, ღმრთით-სწავ-
ლულ ნეტრეული იგი(1).

ამისა შემდგომად სიტყუაჲ იყო
მისა მიმართ მათი, რომელნი-იგი შე-
სრულ იყვნეს მისა, წარყვანება-
სათჳს სულთაჲსა, (27ჲb) ანუ რომე-
ლი ადგილი ამისა შემდგომად ყო-
ფად არს მისი. შა იყო ამისა შემ-
დგომად ღამე ჳმაჲ იყო მისა ზეცოთ
და ჰრტუა: ნტონი, აღდეგ, გამო-
ვედ და იხილე. ტლდეგ, გამოვიდა,
იხილა, რამეთუ იცოდა, ვისა ჳმასა
ერჩინ იგი, და აღიხილნა თუალნი
თჳსნი ზე და იხილა გრძელი, უშუე-
რი და საშინელი მდგომარჳ, რომე-
ლი აღსწუდებოდა ვიდრე ღრუბ-
ლადმდე, და აღმავალი ვინმე, ვი-
თარცა მფრინველნი, და მისნი ჳელ-
ნი განრთხმულნი. შა რომელნიმე
დაბრკოლდებოდეს მისგან, რომელ-
ნიმე გარე-წარპფრინვიდეს და გარე-
წარპვიდოდეს, მიერთგან უზრუნ-
ველად აღჳყვანდეს. უსევითარაჲ
მათთჳს უღრჳენნ კბილთა გრძელი
იგი, ხოლო დაცემულთა მათთჳს
უხარინ.

შა მყის ჳმაჲ იყო ნტონისა: გუ-
ლისხმა-ჳყავა, რომელსა-ეგე ხედავ?
შა ვითარ განელო გონებაჲ მისა,
გულისხმა-ყო, ვითარმედ სულთაჲ
არს ესე გზაჲ, და მდგომარჳ იგი
გრძელი მტერი არს, რომელსა შურს
(27ჳa) მორწმუნეთაჲ. რამეთუ ბრა-
ლეულთა ჳელითა თჳსითა შეიჳკ-
რობნ და დააბრკოლენ გარე-წარს-
ლვად. ჰოლო რომელნი-იგი არა ერ-

ღმრთისა მიერ ლოცვასა შინა გამო-
ეცხადის. შა იყო, ვითარცა წერილ
არს, ღმრთით-სწავლულ ნეტრეული
იგი(1).

5 ამისა შემდგომად მერმე ოდესმე
სიტყუაჲ იყო მისა მიმართ მათი,
რომელნი-იგი შესრულ იყვნეს მისა,
მყოფებისათჳს სულისა, ანუ რომე-
ლი ადგილი ამისა შემდგომად არს
10 მისა. შა იყო მერმესა ღამესა უწო-
და ვინმე ზეგარდამო და ჰრტუა:
ნტონი, აღდეგ, გამოედ და იხილე.
ტლდეგ, გამოვიდა და იხილა, რამე-
თუ იცოდა, ვისა ჳმასა ერჩინ იგი,
15 აღიხილნა თუალნი თჳსნი და იხილა
გრძელი ვინმე უშუერი და საშინ-
ელი მდგომარჳ, რომელი აღსწუ-
დებოდა ვიდრე ღრუბლადმდე, და
აღმავალნი ვინმე, ვითარცა მფრინ-
20 ველნი, და ჳელნი განეჳყრნეს. ოო-
მელნიმე დაბრკოლდებოდეს მისგან
და რომელნიმე გარე-წარპფრინვი-
დეს, მიერთგან უზრუნველად აღ-
ყვანდეს. უსევითართა მათთჳს
25 იღრჳენდა კბილთა გრძელი იგი, ხო-
ლო დაცემულთა მათთჳს უხაროდა.

შა მყესეულად ჳმაჲ იყო ნტო-
ნისა: გულისხმა-ყავ, რომელსა-ეგე
30 ხედავ. შა ვითარ განელო გონებაჲ
მისი, გულისხმა-ყო, ვითარმედ სულ-
თაჲ არს ესე თანა-წარსავალი, და
მდგომარჳ იგი გრძელი მტერი არს,
რომელსა შურს მორწმუნეთაჲ, რა-
35 მეთუ ბრალეულთა ჳელითა თჳსითა
შეიჳყრობს და დააბრკოლებს თანა-
წარსლვად. (40ჲ) ჰოლო რომელნი-

1 ახა ლ.
(1) 1ოგ. 6,45.



ს

ს

ჩიედ მას, და ვერცა შეუძლის შეპყრობად, არამედ გარე-წარპქდიან მას.

სე ვითარ მერმე იხილა, და რეცა თუ მოეცენებინ, უფროსლა იმარხვიდა¹ და წარპქმარტებდა პირველთა მათ დღითი-დღედ. სე არა თუ ნეფსით უთხრა მან, ვითარნედ დაყოვნა ლოცვასა შინა, და თავიო თვისით დაკურვებულ იყო, გამოპქოთხვადეს მას, რომელნი-იგი მის თანა იყვნეს, და აწყინებდეს. სწყო სიტყუად, ვითარცა მამამან ვერ შეუძლო დაფარვად შეიღთა თვისთა, არამედ უთხრა და თქუა, ვითარმედ გონებაჲ მისი არს წმიდაჲ, ხოლო მათა მიმართ იყო თხრობაჲ ესე სარგებელად და სასწავლელად და მმარხველთათჳს² ნაყოფ კეთილ, ხოლო შრომაჲ მრავალ-გზის ნუგეშინის-საცემელ ხილვისათჳს. თითარ-იგი გონებითაცა უბიწო იყო და სულითა მდბაჲლ, ესრტო იყო (27უხ) და კანონსა ეკლესიისასა უფროსს გონებითა პატივ-სცემდა, და ყოველია მღდელთაჲ უნდა პატივის-პყრობაჲ. ხოლო ებისკოპოსთა და ხუცესთათჳს არა ეკდიმებოდა თავისა თვისისა მოდრეკაჲ. ნა თუ ვინჲ დიაკონი მისა მოვიდის, სიტყუასა აღსაშწნებელსა უთხრობნ, ხოლო ლოცვაჲ მას ყოფად სცის. ნა არავე ეკდიმებინ, ისწავებნ იგიცა, რამეთუ მრავალ-გზის პკითხვენ და ევედრებინ სმენად მათგან, რომელნი-იგი მისრულ არიედ მისა, და აღიარებნ, ვითარმედ სარგებელ მეყვის, უკუეთუ ვინმე საჭმარი სიტყუაჲ თქჳს.

-იგი არა ერჩიან მას, ვერ უძლის შეპყრობად, არამედ გარე-წარპქდიან.

- 5 და რეცა თუ მოეცენებინ, უფროსლა ილუწიდა და წარემატებოდა პირველთა დღითი-დღედ. სე არა თუ ნებსით უთხრის მან, არამედ ვითარ დაყოვნის ლოცვასა შინა და თვისისაგან არნ, უკურნ მას და გამოპკითხვედ რომელნი-იგი მის თანა იყვნეს, და აიძულებედ მას, უნებლიაჲო უთხრის, ვითარცა მამამან ვერ დაუდარის შვილთა თვისთა, არამედ ესრტოცა¹ შეპრაცხის, ვითარმედ გონებაჲ მისი არს წმიდა, ხოლო მათა მიმართ იყო თხრობაჲ ესე სარგებელად, რომელნი-იგი პკითხვედ², და მონაზონებისა ნაყოფ კეთილ და საღმრთაათჳს ფრიად. ნუგეშინის-საცემელ ექმნებოდა ხილვაჲ იგი. თითარ-იგი კუალად გონებითაცა უწყინო იყო და სულითა მდბაჲლ, ესე-ვითარი იყო და კანონსა ეკლესიისასა უფროსად პატივის-სცემდა, და ყოველთა მღდელთაჲ უნდა უწინარტს თავისა პატივის-პყრობაჲ. ხოლო ებისკოპოსთა და ხუცესთათჳს არა ეკდიმებოდა თავისა თვისისა მოდრეკაჲ. ნა თუ ვინმე დიაკონი მისა მოვიდის სარგებელისათჳს სულიერისა, სიტყუასა აღსაშწნებელსა იგი უთხრობნ მას, ხოლო ლოცვაჲ მას ყოფად სცის. ნა არავე ეკდიმებინ სწავლად მისგან, და რამეთუ მრავალ-გზის პკითხვენ და ევედრებინ სმენად მისგან, რომელნი-იგი მისრულ არიედ, და აღიარის, ვითარმედ სარგებელ მეყვის, (40უ) თუ ვინმე საჭმარი სიტყუაჲ თქჳს.
- 10
- 15
- 20
- 25
- 30
- 35
- 40

1 იმარხვიდა ს. 2 მარხველთათჳს ს.
1 ესრტო ს. 2 პკითხვიედ ს.



ჯ

ღ

მა პირსაცა მისსა¹ მადლი აქუნდა დიდი, და უფროს ყოველთა აქუნდა ესე მადლი მაცხოვრისაგან. მა დათუ შორის მრავალთა მონაზონთა არნ, და უნებნ ვისმე მისი ხილვაჲ, რომელთა-იგი წინადასწარ არა იციედ, და ვითარ მოვიდის, ნების სხუათა მათ ვარე-წარჰქედის და მისა მირბინ, რამეთუ პირი მისი (28ჟა) მიიზიდავენ მას. რა თუ სიმაღლითა ჰსაყვისაჲთა, არცა სიგრცითა გუამისაჲთა უშუენიერმს იყო სხუათა, არამედ ჩუეულებითა განგებულეებისაჲთა და სულითა სიწმიდისაჲთა, რამეთუ შეუშვოთებელ იყო სულითა და შეუძრწუნებელად ჰქონდეს ვარეშენიცა ცნობანი. მა სიხარულითა მით სულისაჲთა მხიარულ იყო პირი მისი, და ჯორცთაგან ძრვითა საცნაურ იყო და გულისხმის-საყოფელ სულითა დაწყნარებითა, ვითარცა წერილ არს: გულისა მხიარულისა პირი შუენინ, ხოლო მწუხარისაჲ — შეძრწუნებულ(!).

უსრმთ საქობჲან იხილა ზაბან ბოროტისა ზრახვად და ჰრქუა ცოლისა თჳსსა: არა არს პირი მამისა თქუენისაჲ, ვითარ გუშინ და ვითარ ძელუან(?). უსრმთ სამოელჲან იხილა შავითი, რამეთუ მხიარულ იყვნეს თუალნი მისნი, და კბილნი მისნი, ვითარცა სძმ, სპეტაკ. უსრმთცა ტნტონი იცნო(28ჟბ)ბებოდა, არცალა შე-სადა-ძრწუნდის, რამეთუ დაწყნარებულ იყო სული მისი, არცალა მწუხარე სადა იყო, რამეთუ მხიარულ იყო გული მისი, რამეთუ სარწმუნოებითა ფრიად საკვრველ იყო და ღმრთის-მსახურ, არცალა მელე-

მა პირსაცა მისსა¹ მადლი აქუნდა² დიდი, და უფროს ყოველთა აქუნდა ესე მადლი მაცხოვრისაგან, და დათუ შორის³ მრავალთა მონაზონთა არნ, და უნებნ ვისმე ამისი ხილვაჲ, რომელთა-იგი წინადასწარ არა იციედ, და ვითარ მოვიდის, მეყს სხუათა მათ ვარე-წარჰქედის და მისა მირბინ, რამეთუ პირი მისი მიიზიდავენ მას. რა თუ სიმაღლითა ჰსაყვისაჲთა, არცა სიგრცითა გუამისაჲთა უშუენიერმს იყო სხუათა, არამედ ჩუეულებითა, დაწყნარებითა და სულითა სიწმიდითა, რამეთუ შეუშვოთებელ იყო სულითა და შეუძრწუნებელად ჰქონდეს ვარეშენიცა ცნობანი, და სიხარულითა მით სულისაჲთა მხიარულ არნ პირი მისი, და ჯორცთაგან ძრვითა საცნაურ იყო და გულისხმის-საყოფელ სულითა დაწყნარებაჲ, ვითარცა წერილ არს: გულისა მხიარულისაჲ პირიცა შუენიერ არნ, ხოლო რომელნი მწუხარებასა არიედ, მათი მწუხარე არნ(!).

უსრმთ საქობჲან ცნა ზაბანისი ბოროტისა ზრახვად და ჰრქუა ცოლთა თჳსთა: არა არს პირი მამისა თქუენისაჲ, ვითარ გუშინ და ძილან(?). უსრმთ სამოელჲან იცნა შავითი, რამეთუ მხიარულ იყვნეს თუალნი მისნი, და კბილნი მისნი, ვითარცა სძმ, სპეტაკ. უსრმთცა ტნტონი იცნობებოდა, არცალა შე-სადა-(41ჟ)-ძრწუნდის, დაწყნარებულ იყო სული მისი, არცალა მწუხარე სადა იყო, რამეთუ მხიარულ იყო გული მისი, ხოლო სარწმუნოებითა⁴ ფრიად საკვრველ იყო და ღმრთის-მსახურ, არცალა მელეტიანოზთაგან⁵

¹ მისა ჯ. ² მისა ლ. ³ აქნდა ლ. (უქარაგმოდ). ⁴ შორს ლ. ⁵ სარწმუნოებებითა ლ. ⁶ მელეტიანოზთაგან ლ. (1) ჯგვ. 15,13. (2) ნაბ. 31,5.

ც

ღ

ტიანოზთა განხეთქილთა ეზიარა სა-
დამე, იცოდა მათი იგი პირველითგან
საბოროტმ¹ და განდგომაჲ, არცა-
ლა მანიქეველთა უღმრთოთა, არცა
სხუათა მწვალებელთა ეტყოდა სა-
დამე მოყურობით, გარნა სწავლი-
სათჳს ღმრთის-მსახურებისა მოქცე-
ვად. **იტყუნ და ამცნებნ:** მეგობრ-
ობაჲ ამათი და ზრახვაჲ საენებელ
და წარწყმედა სულისა.

წარევე სახედ არიანოზთაჲცა წვა-
ლებაჲ სძულდა და ამცნებნ ყოველ-
თა არა მიხსლებად მათა, ნუცა ბო-
როტსა სარწმუნოებასა მათსა სმე-
ნად. **ში-ვიანმე-ვიდღეს** მისა არიანოზ-
თა მათგანნი, და გამოიკითხა უღმრ-
თოებაჲ იგი მათი და წარმოღვევნა
იგინი (28ჲა) მითთ და ჰრქუა: გუელ-
თა უბოროტმ² არიან სიტყუანი
ამათნი. **შირმე** უტყუვეს ვითმე
არიანოზთა მას, ვითარმედ იგივე
სარწმუნოებაჲ აქუს მათ. ჴანრისხნა
და დაჰკვრდა, ვითარცა ესმა ესე.

ამისა შემდგომად მერმე ეველ-
რებოდეს მას ეპისკოპოსნი და ძმა-
ნი ყოველნი, და გარდამოვიდა მთით
და შევიდა ტლექსანდრიად. **შა** არიან-
ოზთათჳს იტყოდა, ვითარმედ: წვა-
ლებაჲ ესე სოფლისა აღსასრული
არს და წინამძღუარი **ნტიქრისტე**-
სი. **სწავებდა** ერსა მას და ეტყოდა:
არა თუ დაბადებული არს ძმ³ ღმრთი-
საჲ, არცაღა არაარსისაგან ყოფილ,
არამედ თჳსისა მამისა სიმდიდრმ⁴
არს და სიტყუაჲ და სიბრძნმ⁵. **მკლმ-**
რთოება არს ესე, რომელმან თქუას,
ვითარმედ ოდესმე არა იყო, რამე-
თუ მარადის იყო სიტყუაჲ იგი მა-
მისა თანა, და აწ ნუცაღა ერთი ჴიარ-
ებაჲ გაქუნ უღმრთოთა თანა არიან-

წვალებათა ეზიარა სადამე, იცოდა
მათი იგი პირველითგან სიბოროტმ¹
და განდგომილებაჲ, არცაღა მანი-
ქეოსთა უღმრთოთა, არცაღა სხუათა
მწვალებელთა ეტყოდა სამე მო-
ყურობით¹, გარნა სწავლისათჳს
ღმრთის-მსახურებისა მოქცევად ეს-
რე შეერაცხა. **შა** ამცნებნ: მეგობრე-
ბაჲ ამათი და ზრახვაჲ საენებელ და
10 წარსაწყმედელ სულისა.

წარევე სახედ არიანოზთაჲცა წვა-
ლებაჲ სძულდა და ამცნებნ ყოველ-
თა არა მიხსლებად მათა, ნუცა ბო-
როტსა სარწმუნოებასა მათსა სმე-
ნად. **ში-ვიანმე-ვიდღღეს** მისა არიან-
ოზთაგანნი, და გამოიკითხა უღმრ-
თოებაჲ მათი და წარმოღვევნა იგ-
ინი მიერ მითთ და თქუა: გუელთა
უბოროტე არიან სიტყუანი ამათნი.
20 **შირმე** ტყუვეს ოდესმე არიანოზთა
ამისთჳს, ვითარმედ იგივე სარწმუ-
ნოებაჲ აქუს მათ. ჴანრისხნა და დაუ-
კვრდებოდა, ვითარცა ესმა.

ამისა შემდგომად მერმე ევედრქ-
ბოდეს ეპისკოპოსნი და ძმანი ყო-
ველნი, და გარდამოვიდა მთით და
შევიდა ტლექსანდრიად. (41ჲ) **შა**
არიანოზთათჳს იტყოდა, ვითარმედ:
წვალებაჲ უკუანაესკნელი არს ესე
და წინამორბედი **ნტიქრისტესი**.
30 **სწავებდა** ერსა მას და ეტყოდა:
არა თუ დაბადებული არს ძმ³ ღმრთი-
საჲ, არცაღა არაარსისაგან ყოფილი,
არამედ თჳსი არს მამისა არსებისაჲ
და სიტყუაჲ და სიბრძნმ⁵. **მკლმ-**
რთოება არს ესე, რომელმან თქუას,
ვითარმედ ოდესმე არა იყო, რამეთუ
იყო მარადის სიტყუაჲ იგი მამისა
თანა, და² აწ ნუცაღა ერთი ჴიარე-
ბაჲ გაქუნ უღმრთოთა თანა³ არიან-

1 სიბოტმ² ც.
1 მოყრობით ლ. 2 და და ლ. 3 უღმრთოთათან ლ. თა ორივე სიტყუას ეკუთვნის:
უღმრთოთა თანა.



ს

ღ

ნოზთა, რამეთუ არცა ერთი ზიარებაა არს ნათლისაა ბნელისა თანა(1), (28აქს) რამეთუ თქუენ ღმრთის-მსახურ ხართ და ქრისტიანე, ხოლო იგინი დაბადებულად იტყვან მამისაგან შობილსა და ღმრთისა სიტყუასა. სრამათ უმჯობეს არიან წარმართთა, ჰმსახურებენ დაბადებულსა უფროს დამბადებელისა ღმრთისა(2). ღარწმენინ, რამეთუ იგიცა ყოველი დაბადებული განრისხებულ არს მათთვის, რამეთუ დამბადებელსა უფალსა ყოველთასა, რომლისაგან ყოველი შეიქმნა, ესენი შექმნულთა თანა შეპრაცხენ.

ხოლო ერსა მას ყოველსა უხაროდა, ესმოდადა ესევეთარისა კაცისაგან შეჩუენება ყოველთა მწვალებელთაა. ხოლო მოქალაქენი ყოველნი მოვიდოდეს ხილვად სტონისა და წარმართნიცა იგი, რომელთა წოდებულ არს ქორებ, ეკლესიად მოკრებოდეს და იტყოდეს: გვიდრებით ხილვად კაცისა მის ღმრთისაჲსა, რამეთუ ყოველნი ესრეთ ხადიედ მას. შუნცა მრავალნი განწმიდნა უფალმან ეშმაკთაგან და ვნებულთაცა გონებითა (29ჟა) ულხინა. შა მრავალნი წარმართნი ევედრებედ, რათამცა შეეხნეს ბერსა, ჯა ჰრწამნ სიტყუაჲ მისი სარგებელად მათა. უსოდენ ქრისტიანე იქმნეს მცირეთა მათ დღეთა, ვითარცა წელიწად ერთ. შერამე ჰგონებდეს ვითენიმე ერისა მისგან შექრწუნებად, ამისთვისცა დააბრკოლებდეს მათგანი სიმრავლესა მას. ხოლო იგი არასადა შექრწუნდა, არამედ თქუს: ნუ უმრავლეს არიანა ესენი მათსა, რა-

ნოზთა, რამეთუ არცა ერთი ზიარებაა არს ნათლისაა ბნელისა თანა(1), რამეთუ თქუენ კეთილად ჰმსახურებთ და ქრისტიანენი ხართ, ხოლო იგინი დაბადებულად იტყვან მამისაგან შობილსა და ღმრთისა სიტყუასა. სრამათ უმჯობეს არიან წარმართთა, ჰმსახურებენ დაბადებულსა თვნიერ დამბადებელისა ღმრთისა(2). ღარწმენინ, რამეთუ იგიცა უფრად განვე-რისხებულ არს მათთვის, რამეთუ დამბადებელსა უფალსა ყოველთასა, რომლისაგან ყოველი შეიქმნა, ესენი ქმნულთა თანა შეპრაცხენ.

ხოლო ერსა მას ყოველსა უხაროდა, ესმოდა რაჲ ესევეთარისა კაცისაგან შეჩუენება ყოველთა მწვალებელთაა. ხოლო მოქალაქენი ყოველნი მოვიდოდეს ხილვად სტონისა და წარმართნიცა იგი, რომელთა ჰრქვან მათ მიერ მდღელნი მათნი, ეკლესიად მოკრებოდეს და ეტყოდეს: ევედრებით (42ჟ) ხილვად კაცსა მას ღმრთისაჲსა, რამეთუ ყოველნი ესრეთ ხედვიდეს მას. შა მუნცა მრავალი განწმიდნა უფალმან ეშმაკთაგან და ვნებულთაცა გონებითა ულხინა. შა მრავალნი წარმართნი ევედრებოდეს, რათამცა შეეხნეს ბერსა მას, და ჰრწამნ, ვითარმედ სარგებელ ეყოს მისგან. უსოდენ ქრისტიანე იქმნეს მცირედთა მათ დღეთა, ვითარცა წელიწადსა ერთსა იხილა ოდენ ვინმე. შერამე ჰგონებდეს რომელნიმე ერისა მისგან შექრწუნებასა მისსა, ამისთვისცა აყენებდეს მათგანი სიმრავლესა მას. ხოლო იგი შეუქრწუნებელად იტ-

1 მისა ღ.

(1) 2 ზორ. 6,14. (2) სომ. 1,25.



ს

ღ

მელთა-იგი მთასა ზედა ვპბრძავ ეშ-
მაკთა.

ჟოლო რაჟამს წარვიდოდა იგი,
და წარვგზავნიდით მას და ვითარ-
ცა მივიწინით ბჭეთა ქალაქისათა,
შე-ვიწმე-გვდგა დედაკაცი, ლაღ-
დებდა და იტყოდა: მგებდ მე, კა-
ცო ღმრთისათ, რამეთუ ასული ჩემი
ფიცხლად ეშმაკთაგან იურვის; გლო-
ცავ შენ, მგებდ მკირედ, რამეთუ
ნეცა მკირს სრბაჲ ესე. **ჩითარ** ესმა
ესე **ნტონის**, და ჩუენცა ვევედრე-
ბოდეთ, ნეფსით დადგა იგი. **ჩითარ**
მიეახლა დედაკაცი იგი, (29რბ) ასუ-
ლი იგი მისი დავარდა ქუეყანასა.
ჟოლო ნეტარი **ნტონი** ვითარ ილო-
ცვიდა და ქრისტესა ევედრებოდა,
აღდგა ქალი იგი განცოცხლებული,
რამეთუ განვიდა მთაგან არაწმიდაჲ
იგი სული. ჟოლო დედაჲ იგი მისი
აჟურთხევედა ღმერთსა, ყოველნივე
ჰმადლობდეს უფალსა, და მასცა თა-
ვადსა უხაროდა წარსლვაჲ, ვითარ-
ცა იჯსსა სახლსა, მთად. **ნა ბრძენ-**
ცა იყო ფრიად და საკვრველ, რამე-
თუ წიგნი არა ესწავა, ჟოლო მეც-
ნიერ იყო და გონიერ კაცი იგი.

ჟას ეამსა შე-ვიწმე-ვიდეს მისა
ორნი წარმართნი ფილოსოფოსნი,
ჰგონებდეს, ვითარმედ შემძლებელ
ქმნენ გამოცდად **ნტონისა**, რამე-
თუ იყო იგი გარეშე მთასა. ჟოლო
პირისა მათისაგან გულისხმა-ყო კაც-
თაჲ მათ და მოვიდა მათა და ჰრქუა
თარგმნით: რად ესრტთ მოხუდით,
ბრძენო, კაცისა ერთისა სულელისა?
ჟოლო მათ ჰრქუეს: არა თუ ცოფ
არს იგი, არამედ ბრძენ ფრიად. **ში-**
უგო **ნტონი** და ჰრქუა მათ: უკუე-

ყოდა: ნუ უმრაველშს არიანა ესენი
მთასა, რომელთა-იგი მთასა გარე
პბრძავთ ეშმაკთა.

ჟაჟამს წარვიდოდა, წარვგზავნი-
დით მას. **ნა** ვითარ მივიწინით ბჭე-
თა ქალაქისათა, შე-ვიწმე-გვდგა დე-
დაკაცი, ლაღდებდა და იტყოდა:
მგებდ მე, კაცო ღმრთისათ, რამეთუ
ასული ჩემი ფიცხლად ეშმაკისაგან
იგუემების; გლოცავ შენ, მგებდ,
რამათა მე არა ვიურვოდი სრბითა.
უსე ვითარ ესმა ბერსა მას, ვევედ-
რებოდეთ ჩუენცა, და ნებსით დადგა.
ჩითარ მოეახლა დედაკაცი იგი; ქა-
ლი იგი დავარდა ქუეყანასა ზედა.
ჟოლო **ნტონი** ვითარ ილოცვიდა
და ქრისტესა სახელ-სდგა, აღდგა
ქალი იგი ცოცხალი, რამეთუ განვი-
და მისგან არაწმიდაჲ იგი სული. ჟო-
ლო დედაჲ იგი მისი აჟურთხევედა
ღმერთსა, და ყოველნივე ჰმადლობ-
დეს, და მასცა თავადსა უხაროდა
(42უ) და მივიდოდა, ვითარცა თჯსსა!
სახლსა, მთად. **ნა ბრძენცა** იყო
ფრიად. **ნა** საკვრველ ესე იყო, რა-
მეთუ წიგნი არა ესწავლა და გონე-
ბა-წეკრებულ იყო და გულისამის-
მყოფელ კაც.

შე-ვიწმე-ვიდეს მისა ორნი წარ-
მართნი ფილოსოფოსნი; ჰგონებდეს,
ვითარმედ შემძლებელ აქმნენ გა-
მოცდად **ნტონისა**. **ნა** იყო იგი გა-
რეშე მთასა მას. ჟოლო პირისა მა-
თისაგან გულისხმა-ყო კაცთაჲ მათ
და ჰრქუა თარგმნით: რამა ესოდენ
მომუერით ბრძენნი ეგე კაცისა ამის
ცოფისა? ჟოლო მათ ჰრქუეს: არა
ცოფისა, არამედ უფროახლა ბრძენი-
სა. **შიუგო** მათ და ჰრქუა **ნტონ-**
ნი: უკუეთუ ცოფისა მოხუდითა;

1 თჯსა ლ.



ჯ

ღ

თუ ცოტისა ამის მოხუდლით, ცუდ არს თქუენი ეგე შრომაჲ; უკუეთუ (29ყა) ჰგონებთ სიბრძნესა ჩემ თანა, იქმნენით თქუენ, ვითარცა მე, რამეთუ წერილ არს კეთილისა ბაქვაჲ. **აკუთუთუმცა** მე თქუენდა მივედ, მემცა გბაძევდ თქუენ; უკუეთუ თქუენ ჩემდა მოხუდლით, იქმნენით, ვითარცა მე, რამეთუ მე ქრისტიანე ვარ. **ჰოლო** მათ დაუკრდა და წარვიდეს, რამეთუ ჰხედვიდეს ეშმაკთაცა მოშიშად წმიდისა **ნეტონისა**ნ.

სხუანიცა ესევეითარნი მერმე შეემთხვნეს მას გარეშე მთასა, ჰგონებდეს, ვითარმცა შეიტყუვეს იგი, რამეთუ წიგნი არა უსწავიესო. **სრქუა** მათ **ნეტონი**: თქუენ რაჲ სთქუთ: რომელი უფროას არს: გონებაჲ ანუ წიგნი? **თა** ვინ ვისთჳს ბრალეულ არს: გონებაჲ წიგნისათჳს, ანუ წიგნი გონებისათჳს? **ჰოლო** მათ პრქუეს: პირველად არს გონებაჲ, არამედ წიგნისაცა მომპოვებელ არს გონებაჲ. **სრქუა** მათ **ნეტონი**: ოდეს გონებაჲ მხიარულ არს, ესევეითარისა არაჲ ჳირ არს წიგნი. **ისრე** მიმავალთაცა ეტყუნ. **ითარ** მივიდოდეს, დაჰკურდეს, ესოდენსა ჰხედვიდეს სატუხისა მეცნიერებასა, (29ყბ) რამეთუ არა ვითარ მთასა ზედა განპოხებულისაჲ და დაბერებულისაჲ ველურ იყო გონებაჲ მისი, არამედ მადლი იყო და მოქალაქე, ხოლო სიტყუაჲ შეზავებული აქუნდა საღმრთოთა¹ მარილითა, არა თუ შტრნ ვისიმე, არამედ უფროასლა უხარინ მათთჳს, რომელნი² მოვიდოდეს მისა.

მეტი არის შრომაჲ ეგე თქუენი, უკუეთუ გგონიე მე ბრძენ, იქმნენით, ვითარცა მე, რამეთუ ჳერ-არს კეთილისა ბაძვაჲ. **აკუთუთუმცა** მე თქუენდა მივედ, გბაძევდ სამემცა თქუენ; უკუეთუ თქვენ ჩემდა მოხუდლით, იქმნენით ვითარცა მე: ქრისტიანე ვარ. **ჰოლო** მათ დაუკრდა და წარვიდეს, რამეთუ ხედვიდეს, ვითარ-იგი ეშმაკთაცა ეშინოდა **ნეტონისა**.

სხუანიცა ვინმე ესევეითარნი მერმე შეემთხვნეს მას გარეშე მთასა მას და ჰგონებდეს, ვითარმცა ვანკიცხეს იგი, რამეთუ წიგნი არა ესწავა მას. **სრქუა** მათ **ნეტონი**: თქუენ რაჲ სთქუთ: რომელი უწინარჳს არს: გონებაჲ ანუ წიგნი? **თა** რომელი ძალითა მიზეზი არს: გონებაჲ წიგნისაჲ, ანუ წიგნი გონებისაჲ? **ჰოლო** მათ პრქუეს: პირველად არს გონებაჲ და (43ჟ) წიგნისაცა მომპოვებელ გონებაჲვე არს. **სრქუა** მათ **ნეტონი**: რომელთაჲ გონებაჲ ცოცხალ არს, მათ არაჲჲ უქმს წიგნი. **ისე** სიტყუაჲ მუნ მყოფთაცა დაუკრდა და თჳთ მათცა. **ხოლო** იგინი წარვიდეს და დაუკრდა, რამეთუ ესოდენსა ხედვიდეს სანატრელისა მის მეცნიერებასა, რამეთუ არა ვითარცა მათათა ზედა გაზრდილი და დაბერებული ველურ იყო საბითა, არამედ მხიარულ იყო და მოქალაქისა სახე, ხოლო სიტყუაჲ შეზავებული აქუნდა საღმრთოთა მარილითა, არავის ეშურობნ, არამედ უფროასლა უხარინ მის ზედა ყოველთა, რომელნი მოვიდოდეს მისა.

ტმისა შემდგომად მერმე მოვიდეს

ტმისა შემდგომად მერმე მოვი-

¹ საღმრთოთა ტ. ² ყოველნი რომელნი ტ.



ც

ღ

სხუანი მისა, რამეთუ იყვნეს ესენი წარმართთაგან შერაცხილ ბრძნად, და ეძიებდეს მისგან სიტყუასა ჩუენთს ქრისტეს მიმართ სარწმუნოებისა. **5** **6** **7** **8** **9** **10** **11** **12** **13** **14** **15** **16** **17** **18** **19** **20** **21** **22** **23** **24** **25** **26** **27** **28** **29** **30** **31** **32** **33** **34** **35** **36** **37** **38** **39** **40**

შა იწყეს განზრახვად ქადაგებისათს ღმრთისა და საუფლოასა ჯუარისა და ჰგონებდეს, ვითარმედ შეიტყუონ იგი. შტირედ დააყენა წნტონი, პირველად შეიწყალნა იგინი უმეცრებისათს და ეტყოდა თარგმნით, რომელი თარგმნიდა კეთილად მათ შორის: რაჲ უმჯობეს არს: ჯუარისა აღსაარებაჲ, ანუ მრუშებაჲ და ყრმათა განჯრწნისა შეგებაჲ? **5** **6** **7** **8** **9** **10** **11** **12** **13** **14** **15** **16** **17** **18** **19** **20** **21** **22** **23** **24** **25** **26** **27** **28** **29** **30** **31** **32** **33** **34** **35** **36** **37** **38** **39** **40**

შომელი წოდებულ არს თქუენ მიერ ღმრთად, ხოლო რომელი ჩუენ მიერ წოდებულ არს, სიმკნისა სიმტკიცე არს (30მა) და სიკუდილისა შეუტრაცება¹, ხოლო საცთურ თქუენდა არს ბილწებაჲ და ენებაჲ.

დეს მისა სხუანი ვინმე, რამეთუ იყვნეს ესენი წარმართთა მათ მიერ საგონებელ ბრძენ, და ეძიებდეს მისგან სიტყუასა ჩუენთს ქრისტეს მიმართ სარწმუნოებისა და იწყეს შეტყუებად ქადაგებისათს საღმრთოასა ჯუარისა, ჰგონებდეს, ვითარმედ განკიცხონ იგი. **5** **6** **7** **8** **9** **10** **11** **12** **13** **14** **15** **16** **17** **18** **19** **20** **21** **22** **23** **24** **25** **26** **27** **28** **29** **30** **31** **32** **33** **34** **35** **36** **37** **38** **39** **40**

შა-ლა-დუძნა ერთი ჯერი წნტონი, და პირველად შეიწყალნა იგინი უმეცრებისა მისთს და ეტყოდა თარგმანითა, რომელი კეთილად თარგმანებდა მისა¹ მას სიტყუასა, და თქუა: რაჲ უმჯობეს არს: ჯუარისა აღსაარებაჲ, ანუ მრუშებისა და ყრმათა განჯრწნისა შეგებაჲ? რომელთა-იგი პრქვან თქუენ მიერ ღმრთება², ხოლო რომელი ჩუენ მიერ თქუმულა ესე ხატი არს მსავსებისაჲ და სიკუდილისა³ შეუტრაცებისაჲ საცნაური, ხოლო თქუენი ეგე ბილწებისა ენებაჲ არს.

სიციხის. სახელთა მრავლობითობა უპირატესად ნარ-თანიაში გამოხატულია. თაა გამოჩატული, თუმცა ებიანი მრავლობითიც არაა იშვიათი: სახლები (5,14), ყანები (8,39), აგარაკები (8,39), ქალაქები (18,18), ლომები (20,16), დათუება (20,16), კუროები (20,17), გუელები (20,17), მგელები (20,18), ღრიაკლები (20,18), ასიბები (20,18), თესლები (26,6), ცხენები (40,9), მკედლები (40,10), პუნეები (40,10), სანთლები (40,13), მონატრები (5,13; 42,29,37; 47,16), კარვები (42,29), ჯორები (70,24) და სხვ.

უზმოვანფუძიანი სახელების ებიანი მრავლობითი საინტერესო ვითარებას გვიჩვენებს. მუ ჰუნეები (40,10) ჩვეულებრივი სახით გვხვდება, სამარების (18,10 წლ) გვერდით მისი შეკვეცილი ფორმა სამარებიც (18,10 ლ) იხმარება. მრავლობითის ფორმა გამარტივებულია — მოხდა ორთა-ს შერწყმა. შაც შეეხება ეტლებს (40,11), ეს ფორმა ჰუნეების გავლენით მიღებულად არის მიჩნეული¹.

სოგორც ცნობილია, მრავლობითის თა დაბოლოებიანი ფორმები ძალზე იშვიათად გვხვდება ვითარებით ბრუნვასთან. ჩვენს ძეგლში მოიპოვება ერთი მავალითი ამ იშვიათი ფორმისა: „სტონი... ჰაერთამდე თავი თვისი იხილა“ (53,30 ლ). სარალელურ ტექსტშია: „...ვიდრე ჰაერთამდე თავი თვისი იხილა“ ს.

სკრძნება. ძეგლის ენაში უკვე დაწყებულია ადამიანის სახელთა საზოგადო სახელებთან გათანაბრების პროცესი. ჯეაქეს ახლებური წარმოება, როგორცია: ლობი (42,6), შავითი (56,30) უკლესასტემან (29,14), შბრაპმან (39,2), ლეკობან (56,25), სამოელმან (56,29), ლობსა (22,21,28). სეთი სახელები ნელ-ნელა უთანაბრდება საზოგადო სახელებს ბრუნვითა წარმოებაში. სოგორც ჩანს, გათანაბრება ყველაზე მეტად მოთხრობითი მომხდარა.

საც შეეხება შანიელსა ფორმის (69,25), იგი აქ შანიელის წინასწარმეტყველების წიგნს აღნიშნავს და, გვეგონია, რომ იგი არა საკუთარის, არამედ საზოგადო სახელის როლში გამოდის. შმიტომ მისი ემფატიკური აბუნებრივია.

სკარყოფითი ნაცვალსახელი არარაა გვხვდება მოთხრობით ბრუნვაში: „არარამან შემიძლოს მე განყენებად სიყუარულსა ქრისტშსსა (19,21 ლ), რაც ძველი ქართულისათვის იშვიათი მოვლენაა². საშუალ ქართულში ასეთი შემთხვევები შედარებით ხშირია³.

სფინიტივის ბაღმოცნება. სკცხო ენათა ინფინიტივი ძეგლის ენაში უმთავრესად ვითარებითში დასმული საწყისით არის გადმოცემული: იკადრა სიტყუად (40,24), იწყო მარხვად (5,22 ს), იწყო მონაზონებად (5,21 ლ), იწყო ბრძოლად (12,4), რომელთა იწყიან სლვად (36,27), ჯერ-არს ჩუნეებად (17,32), ვერ იკადრის სიტყუად (29,25), ვებრძანე ჩუნე მისლვად (36,6), ვერ შეუძლო დათარვად (55,13), ვერცა შეუძლის შეპყრობად (55,1), ჯერ-არს ბაძვად (34,13). იწყეს გოდებად და ტირილად (40,21) და სხვ.

ჩვენს ძეგლში მოიპოვება ინფინიტივის გადმოცემის სხვა ნიმუშიც, როცა საწყისი ნათესაობითშია დასმული: სწავლის გინებს (5,21) სამივე

1 ლ. შანიელი, სახელთა ბრუნვა, გვ. 95.
 2 ჯგე, გვ. 511. ნ. კ.: არარამან (სალ. 102,6).
 3 ს. შარტიროსოვი, ნაცვალსახელი ქართულურ ენებში, 1964, გვ. 336.



ხელნაწერშია წარმოდგენილი, უნდა სიწმიდის (14,28 ო) კონსტიტუციური
კრიტიკული ხელნაწერის კუთვნილებაა.

სოფოკლეს ცნობილია, ინფინიტივის გადმოცემის ეს საშუალებები მტკიცე
არ აღმოჩნდა. ძველსავე ქართულში ისინი სახელობით ბრუნვაში დასმულმა
საწყისმა ჯერ შეავიწროვა; ხოლო მოგვიანებით მთლიანად შეცვალა¹.

ეს მოვლენა ჩვენს ძველშიც თვალნათლად შეინიშნება. ხემათ მოყვანი-
ლი მავალითების გვერდით მრავლადაა ასლებური წარმოების ნიმუშებიც;
ხანდახან პარალელურ ტექსტებში ინფინიტივის გადმოსაცემად სხვადასხვა
საშუალებებია გამოყენებული:

ღმინდა მისი გამოხეტქაა (12,20), უნდა მიბაძვა (26,13); ეგულებოდა წარ-
სლვა (45,7).

წყო მანცა და დ გ რ თ მ ა ე (9,36-37), მაგრამ: იწყო მანცა და დ-
გ რ თ მ ა ე ო (53,20 ო), მაგრამ: არა აქუნდეს
ს ი ტ ყ უ ა დ ო. კვენს... პირუტყუთა მიმსგავსებაა ღმრთისაჲ, ამით
მ ს ა ხ უ რ ე ბ ა ე ო თხფერქთაჲ (61,31 ო), მაგრამ: ყვენს... პირუტყუთა
მიმსგავსებად ღმერთი და ამისთვის მ ს ა ხ უ რ ე ბ ა ე ო თხფერქთა ო.
ჩეს-არს მოქსენება და თქუნდა ს მ ე ნ ა ე გულს-მოდგინედ (77,12 ო).
მაგრამ: ჯერ-არს ჩემდა მოქსენებად და თქუნდა ს მ ე ნ ა ე გულს-
-მოდგინედ ო...

შვითად ერთი ხელნაწერის ერთ ფრაზაშიც კი ინფინიტივი განსხვავებულ-
ად საშუალებებით არის წარმოდგენილი: წეს-არს ჭაბუკთა გულს-მოდგინედ
მ ა რ ხ ე ა ე და არა მ ო რ ჩ ი ლ ე ბ ა ე მკონარებასა ქორცთასა, არამედ
შ ე ჩ უ ე ე ა დ შრომათა შინა (16,33 ო). ჯერ-არს ჭაბუკთა, რაჲთა გულს-მოდ-
გინედ აქუნდეს მ ო ნ ა ზ ო ნ ე ბ ა ე და არა მ ო ზ ო ე ნ ე ბ ა ე მომამედ-
გრებელი ქორცთაჲ, არამედ შ ე ჩ უ ე ე ა დ შრომათა შინა (16,32 ო). ხმაჲცა-
-ეყო ერთისა მოსლვაჲ და ყ ო ფ ა დ, რაჲდენი უძლავს და რაჲდენიცა
ჰნებავს (35,20 ო).

სამოთქმულია მოსაზრება, რომ ძველ ქართულში მდე თანდებული ნა-
თესობით ბრუნვასთანაც შეიძლება ყოფილიყო. ამის დამადასტურებლად
მოჰყავთ 20-მდე ნიმუში, მათ შორის უკუნისამდე². შართალია, ო ხელ-
ნაწერის ბოლოს ეს სიტყვა გვხვდება, მაგრამ იგი დაქარაგმებულია (უკე) და
დაბეჭდვით ვერ ვიტყვი, თუ როგორ დაწერდა მას ავტორი სრულად. სამა-
გიეროდ სხვაგან მაინც ჩანს ეს საინტერესო ვითარება:

ამისა შემდგომად მოიწია ვიდრე მეფისამდე წტონისი სიტყუაჲ
(68,17). სომელმან სიჭაბუკითგან ვიდრე ესევითარისა ჰასაკისამდე
ერთბამად დაიმარხა გულს-მოდგინედ მონაზონება (81,39).

„წითარებით ბრუნვაში დასმული მასდარი... სათანადო შემთხვევებში
მიზნის ვარემოებას გადმოსცემს და იხმარება ამავე ბრუნვაში დასმული მყო-
თაღის მიმღეობის ფუნქციით“³.

ძე ვითარ გვან მისი იგი ზაკულება, აღვდევ ლ ო ც ვ ა დ (40,33).

1 ო. შ ა რ ტ ი რ ო ს ო ე ი, შასდარული კონსტრუქციის გენეზისისათვის ძველ ქართულ-
ში: უკე, VI, 1935.

2 ო. უ მ ნ ა ი შ ე ი ლ ი, სახელთა ბრუნვა, გვ. 333-340.

3 ო. შ ა რ ტ ი რ ო ს ო ე ი, შასახლებული ნაშრომი, გვ. 49.



სპა ესერა მიგცე თქუენ ჯელმწიფებაჲ დათრგუნეად ზელთადად ღრიაკალთა (36,18).

სრის კადეც ერთი საინტერესო ფაქტი — ნაწილაკი იბრუნვის:

ძომელთა-მათცა ყოველთა თანა სარგებელ ეყოფოდა (76,38).

სქორო თავისებურებაა აღსანიშნავი: ერთი ის, რომ იგი ნაწილაკი მიცემით ბრუნვაში შეეწყობა სახელს, რაც უჩვეულოა ძველი ქართულისათვის¹, მეორეც ის, რომ თავისთავად ცა ნაწილაკის ფუნქციის მქონე იგი ნაწილაკს თავისი ეკვივალენტი უდგას გვერდში. შოვლენა ვარდამავალ საფეხურს უნდა გვიჩვენებდეს იგი ნაწილაკიდან ცა ნაწილაკამდე.

მრი ნაწილაკი ერთი და იმავე ფუნქციით სხვაგანაც გვხვდება: რომლისა-ც-საცა-იგი (72,24).

საბაღთა ჟარნომბა. ო-ზე დაბოლოებული გეოგრაფიული სახელები სადაურობის ელ სუფიქსს ირთავენ ია-ს ჩამოშორების შემდეგ: ალექსანდრელი (83,36 ლ), ლავდაკელი (51,4), თუმცა იქვე გვაქვს ახალი წარმოება ნიმუშიც, სადაც ია-ს ი შენარჩუნებულია: ალექსანდრელი (83,37 ს). სლექსანდრელს ხმარობს ლ ხელნაწერი სათაურშიც (იხ. გვ. 85).

წარმომავლობის სახელები სხვადასხვა სუფიქსით არის წარმოები. ოსენა ბერძნული ოზონს და ქართული ელ: არიანოზნი (57,11), მელექიანოზნი (56—57), მანიქოსი (57,3 ლ), მანიქეველი (57,4 ს), ასურასტანელნი (55,28), ალექსანდრელი.

შორად ენაცვლება ერთმანეთს ება და ობა სუფიქსები:

12,9 ვეცხლის-მოყუარობასა სვეცხლის-მოყუარებასა 9 ლ.

57,8 მეგობრობა სმეგობრება ლ.

82,26 მწიგნობრებითა სმწიგნობრობისაგან ლ.

ღეაქვს სტუმრის-მოყუარობა (29,20), რაც იშვიათი ფორმაა ძველი ქართულისათვის. შოსალოდნელი იყო სტუმრის-მოყუარებაჲ.

ზ მ ნ ე ბ ი

1. სირის ნიშნების ხმარება. ხვეს ძეგლში პირის ნიშნები დაცულია უძველესი ნორმების თანახმად.

ა) შორე სუბიექტური და მესამე ირიბი ობიექტური პირის ნიშნები, როგორც წესი, შენახულია ყველგან, სადაც მოსალოდნელია²:

ს. შორე სუბიექტური პირის ნიშნები: ჰბრუნავთ (9,11 ლ), გამოშხნდი (22,3), შეპშინდი (22,9), ჰხან (44,37), გულისხმა-ჰყავა (54,29), ჰხლპარობთ (62,17), ჰგებედ (72,39 ლ), ჰშვიდეთ (73,13), შესარწუნდებით (78,9), სცხონდებით (80,7)...

ღ. შესამე ირიბი ობიექტური პირის ნიშნები: მისწუდებოდეთ (5,7), მოსცის (39,31), დაჰვლიდეს (44,15), ვჰმსახურებ (44,22), ჰკითხვედ (55,18 ლ), ჰმადლობდეს (67,30), წარჰგრაგნეს (81,21), ჰმარხვიდეს (81,29)...

¹ ქართული ზობთავის ორი ძველი რედაქცია, გამოცა ს. შანიძემ, 1945, წინასიტყვობა, გვ. 051; ლ. ზახაიშვილი, სახელთა ბრუნვა, გვ. 261; ს. შარტირთოსვი, წიგნისათვის ქართველურ ენებში, გვ. 346—349.

² ს. შანიძე, სუბიექტური პრეფიქსი მორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში, 1920.

ბ) არპირიან გარდამავალ ზმნებში, როცა პირდაპირი ობიექტი სახელმწიფო-ბით ბრუნვაშია, ე. ი. ზმნა II სერიის რომელიმე მწკრივის ფორმით არის წარმოდგენილი (გარდა II ბრძანებითისა), შესაბამისი ობიექტური პირის ნიშანი ზმნაში არასოდეს არ არის¹: შეურაცხ-ყვის (29,6), წარწყმიდნა (29,33), გან-ზარდის (31,9), მოსრა (35,30), პოვა (42,9), ვჰა-მცა-ყო (42,38), განკურნის (72,21 C), დაფარეს (81,23) და მისთ.

ხოცა პირდაპირი ობიექტი მიცემით ბრუნვაში დვას (ზმნა I სერიაშია), მაშინ ზმნისწინიან ფორმებს გამოაჩნდებათ პირის ნიშანი, უზმნისწინოებს კი — არა: ჰამნ (43,6), კერვიდა (46,32), ფრდიდეს (71,3), მაგრამ: აღსწონ-და (10,10), აღჰსძრვიდა (14,11), შესძრვიდეს (20,9), წარჰგზავნებდა (43,29), დავსწერდეთ (48,16), წარჰგზავნიდით (59,5), და-ცა-სთრგუნვენ (83,32), აღჰ-ჰამდა (75,5). ეს უკანასკნელი საინტერესო ფორმას გვიჩვენებს — მასში ჰე-მეტობის ყვალი ჩანს: ჰ შენახულია გ-ს წინ.

ეს ზმნები, რომლებიც ზმნისწინს საერთოდ არ დაირთავენ, I სერიაში პირდაპირი ობიექტის ნიშნით იხმარება: მიზეზ-ჰყოფდენ (33,28), ჰპოებდეს (64,6), სტანჯვიდა (74,16), ჰგუემნ (74,16).

გ) შ ა ჰ ბ ა დ ა-ს ტიპის ზმნებს ირიბი ობიექტის ნიშანი II სერიაში შე-ნარჩუნებული აქვთ: დაჰმარხა (9,7; 43,39), დაჰშა (18,14; 19,17), აჰმართის (30,13), დაჰვლეს (49,37; 81,23), შეჰრაცხენ (58,15), განჰშალებდა (25,27 N), დაჰვნა (40,22), დასთესა (45,30,34), წარჰმართებდა (55,6), დაჰმარხეთ (73,18 N), განჰზიდა (46,31)...

ამათ დამატება ვნებითი გვარის რამდენიმე ზმნა, რომელთაც ობიექტუ-რი პირის ნიშანი თითქოსდა არ უნდა სჭირდებოდეთ: დასცხრა (15,25; 49,5; 51,9), დავსცხრეთ (48,17), დასცხრებოდა (76,7), დასცხრის (76,8 N), დაჰრთხა (15,12), ჰკრთებოდა (39,3), შესცოთეს (14,33), ვსცოთებით (34,21), სცოთა (27,12,13), შესცოთა (61,25,40), შესცოთაო (62,1 N)².

შ არათალია, წარჰმართებდა (55,6) I სერიაშია და კაცს შეიძლება ჰ პირდაპირი ობიექტის ნიშნად ეჩვენოს, მაგრამ არა: ეს ზმნა რომ II სერიაში შეგვხვდებოდა, ფორმას მაინც ექნებოდა ჰ (წარჰმართა; შდრ. აჰმართა: 42,40) და, მაშასადამე, პირდაპირ ობიექტზე ზედმეტია ლაპარაკი: სახელობითში დას-მულ პირდაპირ ობიექტს, როგორც აღვნიშნეთ, არასოდეს არა აქვს პირის ნი-შანი.

შ ა ჰ ჰ ს ნ ა იმით განსხვავდება ამ ტიპის ყველა დანარჩენი ზმნისაგან, რომ მას ვნებითი სხვებსავით ენით კი არ ეწარმოება (დაებადა, შეერაცხა, და-ეგშა, აღემართა, დაემარხა, დაეფლა, დაეთესა...); არამედ დონით, მაგრამ ირი-ბის ნიშანი აქაც შენახულია: დაჰჰსნდა³.

დ) ესეთი კანონზომიერი ფორმების გვერდით ძველის ენაში გვხვდება ისეთი ნიმუშებიც, სადაც ფონეტიკურ ნიადაგზე დაკარგულია პირის ნიშნები; განსაკუთრებით სპირანტებთან: ზრუნეთ (9,12 C), ხედვედ (11,31 C), ხადიედ (11,32 C), შთახედნეს (25,1 4), შეშინდეთ (38,36), შერისხნა (39,21), აღყვან-

1 C. შანიძე, სრეფიქსები, გვ. 24—41.

2 C. შანიძე, სრეფიქსები, გვ. 78—83.

3 C. შანიძე, სრეფიქსები, გვ. 82—83; მისივე, ჩასახლარი ზმნები ქართულში:

ბელიისის უნივერსიტეტის მოამბე, I, 1919-20, გვ. 89.



დეს (54,23 ლ), შურს (54,34), ზღაპრობთ (62,17 ლ), დაქსნდენ (73,36), გნეს (81,20 ლ)...

7. „თქმის“ პირიანი ფორმებიდან ჩვეულებრივ იხმარება „ითქმის“, მაგრამ იშვიათად შედარებით ახლებური წარმოებაც იჩენს ბოლმე თავს: ე ბ თემის ნიშნით, რაც ბრიტანულ ხელნაწერში დასტურდება: ითქმების (5,15 ლ).

8. „ა.ვ.ნ.“ ზმნა ერთ შემთხვევაში ე ბ თემის ნიშნით იხმარება: წარგზავნებდა (43,29), რაც იშვიათი ფორმია ძველ ქართულში. ჩვეულებრივია მისი ხმარება ი თემის ნიშნით: წარგზავნიდით (59,5).

9. სხევე ე ბ თემის ნიშნითაა ნაწარმოები შემდეგი ფორმები: დააცადება (6,14 ლ; 28,20), აღადგინებდა (28,8), აღგუადგინებდენ (33,26), აღუდგინებდა (12,18), წარადგინებენ (17,33), აღდგინებდა (62,38 ლ; შდრ. აღდგომაჲ ტ). წარდგინებდა (17,35), მოიყვანებენ (28,9), მოყვანებდა (6,21), იოყვანებულნი (50,39; 51,2), ვარდამოყვანებდასა (72,27), მაწყინებ (44,21), აწყინებენ (7,30), მოვიწყინებთ (29,35), მოწყინებდა (29,11), მოწყინებულნი (75,37), მოლხინებდა (38,38), გამოაჩინებთ (63,14), გამოჩინებდასა (39,4), გამოჩინებულსა (61,38), გამოჩინებულთა (64,11), გამოჩინებდა (64,22,35), გამოჩინებთა (64,18,37), განჩინებდასა (64,38), განჩინებთა (64,11 ლ).

10. ბონიანი ზმნების უწყვეტლის მწკრივის მხოლოდითი რიცხვის I და II პირის ფორმებში შეიმჩნევა ნერყეობა. ხან უძველესი წარმოებაა გამოყენებული (დ სავრცობით), ხან კი იგი ახლითაა შეცვლილი და თანამოვანთგასაყარი ი აქვს დართული: ვკონებდ (14,17 ლ), გაურვებდ (14,36 ტ), ვსწყუვდ (40,6), ვგალობდ (40,10,20,36), ვილოცევდ (40,15,18,20), ვადიდებდ (40,21), ვკეთებდ (41,7), ვბაძევდ (50,7), სულთ-ვიოქვენდ (70,32), დავაბრკოლებდ (60,15,33), ვამცნებდ (80,35), მაგრამ: გაურვებდა (14,36 ლ), ვაყენებდი (80,33 ლ).

11. ძველი ნორმების მიხედვით ნაწარმოები ფორმები ბევრად სჭარბობს ახლებურ წარმოებას.

12. იხენს ხელნაწერებში ვგზდება წყვეტილის (II ბრძანებითის) მე-2 სუბიექტური პირის მრავლობითის ფორმები, რომლებშიც პირდაპირი ობიექტის მრავლობითობაა ასახული, მაგრამ თანამოვანთგასაყარი ი არ მოიპოვება:

დაიბეჭდენთ (25,13 ტ)

დაიშარსენთ (78,13)

განწმიდენთ (67,20).

სირველი მაგალითი 4 ლ ხელნაწერებში უფრო გვიანდელი, ა დართული ფორმით გვაქვს უკვე: დაიბეჭდენით; ბოლო უკანასკნელი ლ ხელნაწერშია თანამოვანთგასაყარი ი-ით ნაწარმოები: განწმიდენით.

1 ტ. შანიძე, „სამეტი ტექსტები და მათი მნიშვნელობა ქართული ენის ისტორიაში“, გვ. 358—359; ქართული ობიექტის თარი ძველი ჩედაქცია, გამოსცა ტ. შანიძემ, 1945, წინასიტყვაობა, გვ. 048.



ტქვე ვაჩვენებთ დამატებით ორ მაგალითს, რომლებიც ასევე ძველი უინო სახითაა წარმოდგენილი: მითხართ (63,16), უთხართ (74,27).

5. „ქართული სალიტერატურო ენის უიველეს ხანაში, როგორც ეს ჩვენამდე მოღწეული მასალებიდან ჩანს, უწყვეტლის ფუნქცია იყო წარსულში მომხდარი მრავალგზისი მოქმედებას გამოხატვა, ე. ი. ის ასრულებდა ხოლმეობითის როლსაც. ამ ფუნქციით ის ცალკეც გვხვდება და სხვა ხოლმეობითების გვერდითაც¹. ის შეხედულება დასტურდება ჩვენი ძეგლის მიხედვითაც. ქ. სადაც პარალელური ტექსტი გვაქვს, ხშირია ისეთი შემთხვევები, როცა C(4) რედაქციის აწმყოს ხოლმეობითის ო რედაქციის უწყვეტელი ენაცვლება. შოვიყვანთ მაგალითებს:

	C(4)	ო
11,19	შეიკრებნ	შეპკრებლა
12,7	აურვებნ	აურვებლა
13,5	მოიზლუდაენ	მოიზლუდებოლა
14,5; 54,26	ულრჰენნ	ილრჰენლა
14,10	შეურდებინ	შეურდებოლა
19,20	ილოცაენ	ილოცვილა
19,21,30	იტყუნ	იტყოლა
21,9; 28,4; 68,31	ეტყუნ	ეტყოლა
19,27	გალობნ	გალობლა
19,32	ჰკურნ	ჰკურლა
20,34	კუნესინ	კუნესოლა
25,22	დაშურებინ	დაშურებოლა
25,27	განემზადებინ	განპმზადებლა
25,30	ჰგონებედ	ჰგონებდეს
27,14	დააგებნ	დააგებლა
27,18	მოიჰსენებნ	მოაჰსენებლა
28,6	ალაორძინებნ	ალაორძინებლა
54,28;69,16;72,25	უხარინ	უხაროლა
68,36	უნებნ	უნლა
75,15	შეემთხუევიედ	შეემთხუეოდეს.

შართალია, C(4)-ს ხოლმეობითს ო-ში ზოგჯერ აწმყო ენაცვლება, ან კიდევ სხვა მწკრივებია გამოყენებული, მაგრამ ასეთ მონაცელებობას შემთხვევითი და არასისტემატური ხასიათი აქვს.

6. სოგორც ცნობილია, ძველ ქართულში უწყვეტლის ხოლმეობითის მწკრივი იშვიათად იხმარება², მაგრამ ჩვენს ძეგლში რამდენიმე მაგალითი მაინც გვხვდება: ვიკითხვიდით (33,21), ვზრახვიდით (41,39), განვიზრახვიდით:

¹ ს. შანიძე, მწკრივთა მოძღვრებისათვის, III, ოწყვეტლის ხოლმეობითის მწკრივი ქართულში, მისი წარმოშობა და განვითარება: სამეცნიერო სესია, მიძღვნილი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 30 წლისთავისადმი, 1947 წ., 14—15 ნოემბერი, მუშაობას გეგმა და თეზისები, გვ. 9.

² ს. შანიძე, ოწყვეტლის ხოლმეობითის მწკრივი ძველ ქართულში: ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 7, 1961, გვ. 229—279.



(42,3), ვიტყოდით (42,4), ხედვიდიან (43,8), ხედვიდით (48,20) წარმოდგენილია (59,5).

7. შოგორც მოსალოდნელი იყო, საშუალო გვარის ზმნები აწმყოში მე-ვეგლბ ზმნის გარეშე არის წარმოდგენილი: ვღგა (17,27), სღგათ (21,11; 46,27); ვწუხთ (41,29), სღღმით (63,1); ასეთია აგრეთვე სტატიური მე-ნბეჲთ (63,9 ლ), გგონიე (60,2 ლ)¹.

8. შოლობითი რიცხვის მესამე სუბიექტური პირის ნიშნად იშვიათად გვხვდება და:

სიტყვთა ხოლო წინამძღუარ არს და ბუნებასავე ზედა ჰგოიდ (27,5 ლ). **ც** ხელნაწერის პარალელურ ტექსტში არის ჰგოენ, ხოლო სხვა ადგილას **ც** ხელნაწერი სანაინ ფორმას ხმარობს: ჰგოენს (61,25). შოგორც ჩანს, ერთი და იგივე ზმნა სხვადასხვა შენთხვევაში სხვადასხვა ნიშნით იხმარება.

ჩიდევ ორ ადგილას შეგვხვდა დ მსგავსი ფუნქციით:

შიქცეოდა კაცად-კაცადი ოჯსა ადგილად და უცნობიედ სარგებელი (51,19). **ცქ** უცნობიედ=უცნობიეს, უცნობიენ. პირის ნიშნად უნდა გამოიყოს მარტოოდენ და (იპევე, როგორც ზემომოყვანილ მაგალითში კგოიდ-დ), რადგან „სარგებელი“ მხოლოდით რიცხვშია. „სარგებელი“ რომ გქქონოდა, მაშინ გამოიყოფოდა -ედ: უცნობი-ედ.

სნალოგიური ვითარებაა შემდეგ მაგალითშიც:

შა ოდეს შეიძოსიან, ვითარცა მოძღურებაა მისა, ეგრე ჰმოსიეც (21,31). შაშასაღამე, ს, ნ, ა, ო სუფიქსებთან ერთად მე-3 პირის მხოლოდითი რიცხვის სუფიქსად დ-ც გვევლინება. სეთი მაგალითები სხვაგანაც არის ნაპოვნი².

9. ლ ხელნაწერში ნიბოგება ყოფა მეშველი ზმნის ახლებური ფორმა არის (60,1), თუმცა ხელნაწერისთვის დამახასიათებელია არს ფორმა. სევე, ჩვეულებრივი ვარ ფორმის გვერდით გვხვდება ამავე ზმნის ძველი წარმოება ი სუფიქსით:

ქრისტჳს მონაა ვარი მე (46,35).

10. ჩვეულებრივი მიკვრს, გიკვრს, უკვრს, მიკვრდა, ვიკვრდა, უკვრდა ფორმების გვერდით არის უქცევისნიშნო წარმოებაც: მკვრს (77,23 **ც**), ჰკვრნ (16,8 **ც**), რაც მის სიძველეს აქვდაცნებს. მდრ. ამნაირი პარალელური წარმოება:

დააკუეთა და დაჰკუეთა
დაუფენდა და დაჰფენდა
დააკრა და დაჰკრა
დაადვა და დასდვა³.

1 **ზ**. **ვ** არამიძე, ზოგიერთი ტიპის მეშველ-ზმნიან ფორმათა ჩასახვა და განვითარება ქართულში: ძველ ქართული ენის კათედრის შრომები, 9, 1964, გვ. 95—145.

2 **ზ**. **ღ**ეწაძე, მესამე პირის სუბიექტის ნიშანი დ ძველ ქართულში: ლ. ჩუღუჯაძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, XI, 1952—1953, გვ. 139—147; ლ. **ს**ბუღაძე, ქართული ზმნის იშვიათი ფორმები VII—X სს-ის ეფელ-ბის მიხედვით: მსლ შრომები, 53, 1954, გვ. 139—144.

3 **ც**. **შ**ანიძე, საფუძვლები, გვ. 343—344; **ც**. **ი**იქობაძე, ზოგი პრეფიქსული წარმოების ისტორიისათვის ქართულ ზმნებში: **ს**ე, IX, 1959, გვ. 151—168.



11. შრავლობითი რიცხვის პირველი ობიექტური პირის ნიშნად მხოლოდ ქართულში ორი პრეფიქსი იხმარებოდა პარალელურად: გუ და მ. სეთი დიდერენციაციის მიზნად ინკლუზივ-ექსკლუზივის გარჩევას თვლიან¹. ჩვენს ძეგლში დადასტურებულია 5 შემთხვევა, როცა პირდაპირი ან ირიბი ობიექტის ნიშნად 1-ლი პირის შრავლობითი რიცხვში იხმარება მ:

- 41,27 გარდამქრნეს ჩუენ
- 41,28 დამცნეს ჩუენ
- 41,28 შემადარჩუნნეს ჩუენ
- 63,16 მითხართ ჩუენ
- 68,36 მეტყოდა (გუეტყოდა ლ) ჩუენ.

12. ორი საინტერესო ფაქტია აღსანიშნავი II კავშირებითან მწკრივის წარმოებისა:

ა) ზილო, რომელი იქმნას შენ ზედა სასწაული (49,4). ჩვეულებრივია II კავშირებითში ამ ზმნის ე სუფიქსიანი წარმოება: იქმნეს, რომელიც ჩვენს ძეგლში სისტემატურად იხმარება.

ბ) ჩუუტუე სხვთ ვსძლე, და სხვთ მაცთუნოს (16,4). ამ ზმნას II კავშირებითი ჩვეულებრივ ო-თი ეწარმოება, მაგრამ ამ შემთხვევაში მაწარმოებლად II კავშირებითის ძველი ნიშანი ე გვაქვს.

13. ჩასახელარი ზმნების ვნებითების ერთი ჩგული ენ—ნ სუფიქსით ეწარმოება: შეშფოთნის (27,1), განლაღნის (27,3), განერისნნეთ (30,6), დაშტყიენების (30,27), განმტყიენებოდეს (42,26), და-ლა-დუმნა (61,8 ლ), შეწყუნხა (47,9) ლ. ის უქანასკნელი ერთგან დონიანი ფორმითაც გვხვდება: რაათა არა შეწყუხდენ და დაბრკოლდენ (69,2 ტ). ნ—დ ალბათ დაბრკოლდენის დ-ს გავლენით (ანალოგიით) არის გამოწვეული, თორემ მოსალოდნელი იყო შეწყუხნენ, როგორც ეს ლ ხელნაწერის შესაბამის ადგილას გვხვდება. ძუმცა ისიც შესაძლებელია, რომ აქ უკვე ახლებური წარმოების ჩანასახი გვქონდეს, როცა დონი ყველა ზმნასთან იხმარება, ნარნარა ბგერებით დამთავრებულებთანაც და სხვებთანაც, ე. ი. ზდება წარმოების უნიფიკაცია.

14. ზოგ ზმნაში ძნელი ასახსნელია ნ-ს გაჩენა, რომელიც ალბათ პირდაპირი ობიექტის სიმრავლეზე უნდა მიუთითებდეს, თუმცა, საამისო საფუძველი, ზოგიერთ მათგანს მაინც, არ გააჩნია:

ხოლო ჭალაკიოს განიციონნა და ებისტოლესა მას პნერწყუა და დაავდო, ხოლო რომელთა-იგი მიაართეს, ავინნა (ავინა ტ) და ამცნო, რაათა უთხრან ესე ტნტონის (74,23-27 ლ).

1 ტ. შანიძე, ორგავი ფორმა შრავლობითი რიცხვის პირველი პირისა სვანურში: წიგნიწიგნი, 1923—1924 წ., გვ. 373—374; რ. შოფური, სვანური ენა, I, ზმნა, 1931, გვ. 25—26; G. Deeters. Das khartwelische Verbum, 1930, გვ. 27; К. Дондуа, Категория инклюзива-эксклюзива в сванском и ее следы в превнегрузинском: კრებ: Памяти акад. Н. Я. Марра, 1938, გვ. 144—151; ტ. ანისი, ინკლუზივ-ექსკლუზივის საკითხისათვის ქართველურ ენებში: შაცენ, № 1965, გვ. 221—236. ყდრ. ტ. ჩიქობავა, შრავლობითობის აღნიშვნის ძირითადი პრინციპებისათვის ქართული ზმნის უღვლილების სისტემაში: ლეკ, I, 1946, გვ. 91—114.

2 ტ. შანიძე, ჩასახელარი ზმნები, გვ. 87—96.



საგდენ-გზის უდაბნოსა ზედა უცნებით მიჩუნენა მე ოტროპიკურ მდებარეობაზე, ანუ მივსხედენ (40,35).

ზოცვისა მისსა მოხედნა უჟალმან და შეიწყალა (49,24).

მკანასკნელ ორ ნაგალითში შენონახული ნ პირდაპირი ობიექტის სინრაველის მაჩვენებელია აშკარად, რადგან იგულისხმება „თუაღნი“.

15. სოგორც ცნობილია, ძველ ქართულში პრეფიქსიან ვნებითებს II სერის მწკრივების მრავლობითში ენ სუფიქსი გადმოჰყვება შესაბამისი მოქმედებითი გვარის ზმნებიდან¹. სამონაცლისია ორი ზმნა: დაირღუეს და მიიქცეს, რომელთაც აღნიშნული სუფიქსი არ გააჩნიათ². ხეცნს ძეგლში აღვლილ აქვს ამ კანონის დარღვევას: სხვა ზმნების ანალოგიით „მიიქცეს“ ნ(—ენ) სუფიქსს იჩენს:

ხუენგანცა ესპოდიან ვშმაკთა ესევითარნი ჳმანი და გარე-მიიქცენ უფლისა ნიერ (39,20).

შსგავსი მოვლენა სხვა ძეგლებშიც არის შემჩნეული³.

16. სარდაუვალ ზმნათა ერთ ნაწილს მრავლობით რიცხვში მესამე სუბიექტური პირის ნიშნის წინ აქვს ან ფორმანტი, რომელიც I სერიის ფუძის საწარმოებლად მიიჩნიათ (საშუალი გვარის ზმნათა ეიწრო ჳგუფისათვის)⁴: დგანან, წყანან...

ამ ან ფორმანტის ბადალი „ვლენან“ ზმნაში არის ენ⁵. „ცნტონის ცხოვრებაში“ დადასტურებულია როგორც ეს ძველი ფორმა: ვლენან (33,36), ისე გამართვებულები, რომლებიც შედარებით მოგვიანო ხანისაღ უნდა ჩაითვალოს: მივლენ (6,14), გამოვლენ (32,22), გვსხენ (31,11). შოსალოდნელი იყო მივლენან, გამოვლენან, გვსხენან ფორმები.

17. უნებითი გვარის ზმნების ერთ ჳგუფს ფუძე არ ეკუთმება I სერიაში. შეგვხვდა ორი ნიმუში ასეთი შეუკუმშავი ფუძისა:

შა ვიდრე ყრმაღა იყო, იზარდებოდა მამა-დედათა წინაშე (7,8 ლ).

შა მიერთვან ამით დაოსაჯებინ უბადრუკი იგი სული (42,2).

ამ მხრე ამ ზმნებს ემსგავსებიან კიდევ: გაიშაღების, იკამების, მოიჭადების, მოიგვარების...

18. სოღესაც „დასღვა“ ზმნა მნათობების ამოსღვა-ჩასღვასთან დაკავშირებით იხმარება, მაშინ მას ობიექტის პირის ნიშანიც უჩნდება⁶. ეს თავისებურება ჳრიატანულ ხელნაწერშიც შეინიშნება: ნუ დაჰვალნ მზმ (47,35); დაჰვალნ მზმ (47,38); ნუშა მზმ დაჰვალნ (47,38).

19. შეორე პირთან დღეს აქეთა მიმართულების ჳმნისწინები იხმარება (რადგან შეორე პირი პირველის სიანლოვეს იგულისხმება). ძველ ძეგლებში

¹ ც. შანიძე, სრეფიქსები, გვ. 12; მისივე, სქტივი და პასივი ერთუროს მიმართ მრავლობრიანი ჳმნის ჩვენებით: საქ. მეცნ. აკად. მოამბე, ტ. 4 (1943 წ.), № 4, გვ. 375—382.

² 7. მისაიშვილი, შრომბლი ნს სპარებას ერთო განსაკუთრებულ შიმბხევა ძველ ქართულში: მსუ შრომბე, 96, 1963, გვ. 127—128.

³ 7. მისაიშვილი, ქართული ენის იატონიული ქრესტომათია, II, 1963, გვ. 101.

⁴ 5. ნიენაძე, ძირეული და ნასანელოო ჳმნები ქართულში: მსუ შრომბე, XXVIII, 1946, გვ. 163—178.

⁵ 7 ქვე. გვ. 168.

⁶ ც. შანიძე, სრეფიქსები, გვ. 65,66,79.



კი განსხვავებული ვითარება გვაქვს: იქ ხშირად მე-2 პირთან მი პრეტენზიები გამოიყენება. სამდენიმე მაგალითი აღნიშნული მოვლენისა ჩვენს ხელნაწერებშიც არის დადასტურებული:

ჩინ უწყის, უფროასმცა რაამე ვისწავე და უკეთშსადრე მი გიძღუანე (6,24 ლ).

აფროას რაამე გამოვიკითხე მათგან და სრულად თქუენდა მი ვწერე (6,24 წ4).

სომელნი ჰმსახურებდეს მას მიწერად სიწმიდისა თქუენისა (6,33).
მდრ. ძველი: ვინ მი გცა შენ ჭელმწიფებაჲ ესე (შათ. 21,23 წ); მი გდე ვდე შენ, ვიდრეცა მიხუალ (სუჯ. 9,57).

20. სატევორიული მომავალი (ანუ, წ. შანიძის ტერმინოლოგიით, უნდა აობითი ფორმა) გადმოცემულია ინფინიტივისა და მეშველი ზმნის საშუალებით.

სომლითა-იგი დაწუვად არიან, ამით კაცთა შეაშინებენ (33,12).
შოაქუნ მათ თანა მიმსგავსებაჲ ცეცხლისაჲ, რომლითა-იგი დაწუვად არიან (33,14).

სომელი ადგილი ამისა შემდგომად ყოფად არს მისი (54,8).
სომავალ არს ეკლესიათა ზედა რისხვაჲ და მიცემად არს ჭელთა კაცთასა (70,21 ლ).

21. შუალობითი კონტაქტის გამოხატვის ერთ-ერთი საშუალება ძველ ქართულში არის ვითარებით ბრუნვაში დასმული საწყისი და „ცემა“ ზმნის ბირიანი ფორმა. წესით კომბინაცია კაუზატივის გადმოსაცემად სრულიად უცნობია ახალი ქართულისათვის:

ლოლო ლოცვაჲ მას ყოფად სცის (55,31).

შეჯამება

სამდენიმე სიტყვით შევეხებით ძველის ზოვიერთ ლექსიკურ თავისებურებას.

1. „ქაშვი“ ფშინს სხვა მნიშვნელობა. სოგორც ცნობილია, ტყუვე ფუძესთან დაკავშირებული ლექსიკური მნიშვნელობა მოტყუებას. სიცრუეს გულისხმობს. „ნტონის ცხოვრების“ წ ხელნაწერში დასტურდება ტყუვე ფუძის სხვა მნიშვნელობაც. წარმოვადგენთ აღნიშნულ მაგალითებს:

სგონებდეს, ვითარცა შეიტყუვეს (განკიცხეს ლ) იგი, რამეთუ წიგნი არა უსწავიესო (60,15); ჰგონებდეს, ვითარმედ შეიტყუონ (განკიცხონ ლ) იგი (61,7); ვითარ იკადრებთ შეტყუვილად (სკაცხევად ლ) ჩუენდა, რამეთუ ვიტყუო ქრისტესა, ვითარცა კაცსა გამოჩინებულსა (61,35); და აწ ამისთვის რაჲ სიტყუთ, რაჲთა გულისხმა-ვეოთ, უკუეთუ ტყუვილ (კიცხევის ლ) რამე არს ცხოველი ჭუარი (64,3); ანუ ტყუვილ-მე (კიცხევის-მე ლ) რაჲ არსა ესე, ანუ უფროას იგინი განქარვებულ არიან მისგან და მხილებულნი უძლურად (66,7).

ყერძნულ ორიგინალში შესაბამის ადგილებში ყველგან არის ან ზე ქლესჲ (რაც ნიშნავს ხუმრობას, დაცინვას, სასაცილოდ აგდებას, მასხრად აგდებას) ან კიდევ მისივე ძირის ზმნა ქლესაჲ. წმ შედარებიდან გამომდინარეობს, რომ ტყუვე ფუძეს, გარდა ძირითადი მნიშვნელობისა, სხვა მნიშვნელობაც ჰქო-



ნია. ესაა „დაცინვა“. ამ დებულებას ამავრებს ბრიტანულ ენაში ნაწერის ჩვენებაც, სადაც, როგორც შემოთ მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, ტყუფ ფუძეს უბირისპირდება კიცხევა, რაც სწორედ დაცინვას ნიშნავს.

2. ერთ ადგილას ტექსტში გვაქვს:

შალათუ შებაიდად ახვდენ, გინათუ: ვითარცა-ეგე გულსა მოგაქდა, შთასლვად ბოკუღიად, უფროასი და მრჩობლი შრომაჲ გაქუს დათმენად (45,3; ი და უ ხმოვნების გრაფიკული მონაცვლეობის გამო თითქო „ბუკოლიად“ უნდა ვიკითხოთ).

ყერძულშია რბ წითახლავი, რაც ნიშნავს ნახირს. ზათიანურ თარგმანშია armentum (ჯოგი, საქონელი). როგორც ჩანს, აღნიშნული სიტყვა ბერძნულადან ქართულში გეოგრაფიულ პუნქტად მიუღიათ.

3. სატუხეშ.

ეს სიტყვა ორ ადგილას გვხვდება.

ერთი მოვიდოდეს, დაჰკვრდეს, ესოდენსა ჰხედვიდეს სატუხისა მეცნიერებასა (60,28 ტ). უ-ში ამ ადგილას სატუხის ნაცვლად არის საატრელი:

შა ვინაჲ სატუხესა ესეგითარი გონიერებაჲ მოეცა (74,4 ტ).

შა ვინაჲ სატუხისა თანა ესეგითარი და ესეთი გონებაჲ უ.

ყერძულში ორივეგან არის ჯ მ:ძაჲ, რაც ნიშნავს 1. პირადს, განსაკუთრებულს, შინაურს; 2. უმეცარს, უცოდინარს, უვიცს; უბრალოს. ჩვენს შემთხვევაში მეორე მნიშვნელობა უფრო ახლოა ბერძნულ ორიგინალთან. ყოველ შემთხვევაში, 95,19 უ-ს „სანატრელისა“ ნიუღებელია. სხვათა შორის, ლათინურ თარგმანშიც idiota არის ნახმარი, რაც „უმეცარს“ ნიშნავს.

4. ძველ ქართულ ტექსტებში გვხვდება სიტყვა „ვეფხი“. ამ სიტყვის მნიშვნელობა ყველას ერთნაირად არ ესმის. ამში „უფხისტყაოსნის“ უცხო ენებზე შესრულებული თარგმანების განხილვაც გვარწმუნებს.

აქანასკნელ ხანებში „ვეფხის“ შესატყვისად უმეტესად გავრცელებული იყო ბერძნული ψυχή და შესაბამისად რუსული душа, ე. ი. ის ცხოველი, რომელსაც ჩვენ ახლაც ვეფხვს ვუწოდებთ. შავრამ ამ ბოლო დროს გამოქვეყნდა რამდენიმე გამოკვლევა, რომლებშიც ამტკიცებენ, რომ ძველი ქართულის „ვეფხი“ ნიშნავდა ახლანდელ ლეოპარდს, პანთერას, ხოლო ამჟამად ხმარებული „ვეფხვის“ შესატყვისი ძველ ქართულში იყო „ჩიქა“¹.

აქანასკნელ გაგებას მხარს უჭერს „ნეტონის ცხოვრების“ ბრიტანული ხელნაწერიც, სადაც მოხსენიებულია „ვეფხი“. ძველი ქართულის ძეგლებში დაძებნილ რამდენიმე შემთხვევას, როცა საშუალება გვაქვს ერთმანეთს შევუდაროთ ერთი და იმავე თხზულების ისეთი ბერძნული და ქართული ვარიანტები, სადაც „ვეფხია“ მოხსენიებული, შემდეგი ადგილიც დაემატება:

შა იყო ადგილი იგი მეყსეთლად საესმ საცთურებითა, ლომებითა და და-

1 შ. შამულაშვილი, ტ. ქუთათელაძე, ღერძინი „ვეფხის“ სწორი გაგებისათვის: ვაზ. „ბიბლიოტეკა საქართველო“, № 34, 1965 წ.; შ. ხობიძე, ღერძინის საკითხები: მსუ შრომები, ტ. 116, 1965, გვ. 71—77; ს. ცაიშვილი, „ჩიქა“ და „ვეფხი“ ძველქართული პოემაში: ვაზ. „ბიბლიოტეკა“, № 281, 1966; შ. ტლავაძე, საბელწოდება „უფხისტყაოსანი“ რუსულად: ვაზ. „ქუთაისი“, № 56, 1970; № 124, 1970.



თუგბითა, ვეფხითა, კურობითა, ვუელებითა, ასპიტებითა, ღრბელებითა და მგელელებითა (20,15—19), რომლის ბადლად ბერძნულში იკითხებენ:

*Και ἦν ὁ τόπος ἐμὸς πεπληρωμένος φαντασίας λεόντων, ἀρκτων, λεο-
πάρδων, τάρων καὶ θφασων, ἀπινῶν καὶ σαορπίνων καὶ λνκων.*

ამ ტექსტის მთარგმნელისათვის „ლეოპარდის“ ქართული შესატყვისია „ვეფხი“¹.

„უეფხი“ გვხვდება მეთერთმეტე საუკუნეში გადაწერილ, მაგრამ გაცილებით ადრე ნათარგმნ ერთ ძეგლშიც. ულ. ტბულაძეს მიაჩნია, რომ ეს ძეგლი — „შარტკლობაჲ მეკლასი“ — სომხურიდან უნდა იყოს ქართულად ნათარგმნი. მასახელებულ ტექსტში ორგან გვხვდება ჩვენთვის საინტერესო სიტყვა: შუთქუესვე მოიბეს და მიუტყვეს მას ვეფხი ერთი (მეკლა, 114,18); და მერმე კჳალად ვეფხი იგი მოიწია და შებმა-ოდენმცა-უყო მას (იქვე, 114,26).

სომხურ ტექსტში ორივე ადგილას იხმარება *ჩნა*, რაც ნიშნავს ლეოპარდს.

კომპოზიტები

ყოველ ენაში შეუწყვეტილ მიმდინარეობს ახალი სიტყვებით ლექსიკის შევსება. ეს პროცესი სიტყვაწარმოების საშუალებითაც ხდება. სიტყვაწარმოების ერთ-ერთი საშუალებათაგანია კომპოზიცია, ანუ რთული სიტყვების წარმოქმნა. ძველ ქართულ ტექსტებში არსებული რთული სიტყვები (კომპოზიტები) და მათი წარმოების თავისებურებანი ერთგვარ წარმოდგენას გვაძლევენ ქართული სალიტერატურო ენის განვითარებაზე. ქვემოთ ჩვენ განვიხილავთ რთულ სიტყვებს „სნტონის ცხოვრების“ ქართული ხელნაწერების მიხედვით. წინასწარ აღვნიშნავთ, რომ შევევებით მხოლოდ სახელურ კომპოზიტებს, ხოლო ე. წ. კომპოზიტი-ზმნები — რთული ზმნები (უმთავრესად პირიანი ფორმები) — ჩვენი განხილვის სფეროში არ შემოვლენ. ზოგჯერ საინტერესოა, ესა თუ ის კომპოზიტი წარმოების მხრივ საკუთრივ ქართული ელფერისაა თუ ბერძნული ან საერთოდ მიღებული ნორმების მიხედვითაა აგებული. ესეთ შემთხვევაში ინტერესმოკლებული არ იქნება ქართულ კომპოზიტთა შედარება ბერძნულ ეკვივალენტებთან, რისი საშუალებაც მოგვცა ტექსტის ბერძნულმა ვერსიამ.

კომპოზიტებს დავაჯგუფებთ ბრუნვათა მიხედვით. ასეი რთულ სიტყვაში რამდენიმე კომპონენტი შეიძლება შედიოდეს, ჩვენთვის ამოსავალი ქნება პირველი კომპონენტის ბრუნვა. კომპოზიტებს, რომელთა პირველი შემადგენელი ნაწილი ოდენ ფუძით (წრფელობითი ბრუნვით) არის წარმოდგენილი, ბოლის განვიხილავთ.

სახელობითი ბრუნვა

ესეთი კომპოზიტები, რომელთაც პირველი წევრი სახელობით ბრუნვაში უღდათ, ისედაც მცირეა. ჩვენს ძეგლში ასეთი კომპოზიტის ნიმუშად მხოლოდ ურთიერთობითი ნაცვალსახელი ურთიერთას გვაქვს (11,15; 31,36;

¹ საზოგადოდ ბერძნულში „ვეფხი“ აღნიშნავს უმეტესად *ἡ πάρδα*. შავ.: ტბაძე, 1,8; უკ., 5,6; 13,23; უსაია 11,6; მან. 7,6; ქებაჲ 4,8; ზირაქ 28,23; ასე 13,7; ქქუსთ, 106,4; ძუალთ. 90,33.



47,20). უგი მიაჩნიათ ერთ-ერთიდან მომდინარედ ხმოვნის შეცვლის საფუძველზე¹.

შოთხრობითი ბრუნვა

შოთხრობითში მდგარი პირველი კომპონენტი მარტოოდენ ცნობილ ერთმანერთ სიტყვაში გვაქვს (ქანთ. 72,60; კიმ. I. 212,1; 213,16), მაგრამ ჩვენს ტექსტში იგი არ ვგვხვდება.

შიცემითი ბრუნვა

უღლს-მოღვინე (7,27 ს; 22,20; 43,28).

სოცა ეს კომპოზიტი ვითარებით ბრუნვაში დგას, მაშინ იგი ვითარების ზმნიზედის როლში გამოდის: გუღლს-მოღვინედ (16,34; 23,34; 25,27; 45,10; 77,13).

უღლს-მოღვინე შინაარსობრივად ზედსართავი სახელის ფუნქციის მქონეა, ამიტომ მისთვის უცხო არაა უფრობითი ხარისხის ფორმები: უგულს-მოღვინე (82,19 ს), უგულს-მოღვინეს უ. ზეგვდება - ენა სუფიქსით ნაწარმოები განყენებული სახელიც: გუღლს-მოღვინეება (7,17; 11,1; 23,5; 29,28; 35,9; 45,19).

შიცემითბრუნვიანი კომპოზიტების ერთ-ერთ დამახასიათებელ თვისებას წარმოადგენს ის, რომ ზოგჯერ შესაძლებელია ბრუნვის ნიშანი ს დაიკარგოს. სეთ შემთხვევაში პირველი კომპონენტი სახელის ფუძეს დამსგავსება: გუღლ-მოღვინეებასა (12,2 ს).

შიძლევა დაუმართო, რომ ხშირად ურედაქციის გუღლს-მოღვინეებას სლ-ში გონება ენაცვლება (5,15; 6,1; 12,20,23). სლნიშნული ადგილების ბერძნულ შესატყვისს *πρῆμα*-ც წარმოადგენს, რომელიც მაინცდამაინც არც ერთს უდგება და არც მეორეს. *πρῆμα*-ც უფრო ნიშნავს განზრახვას, მისწრაფებას, მიდრეკილებას სხალი აღთქმის წიგნებში ამ მნიშვნელობებშია: გადაწყვეტილება, სურვილი.

სოგს-რაამე (31,38). უს სიტყვა სხვა ძეგლებშიცაა დადასტურებული (სინ. 186,12; 199,12; 2 ზორ. 2,5). ურთგან კი ვგვხვდება სოგს-რაამე (სინ. 186,29). სოგს-რაამე ნიშნავს „წილობრივს“².


საყამს (17,2; 30,34; 32,5). სმ სიტყვის ამოსავალ ფორმად მიაჩნიათ რასყამს, რომელშიც ბრუნვის ნიშანი დაკარგულია. რაყამს (=რაყამს) =რასყამს³.

ჯუარს-ცუმული. შიცემითბრუნვიანი კომპოზიტებში გუღლს-მოღვინესთან ერთად ჯუარს-ცუმული ერთ-ერთი ყველაზე უფრო გავრცელებული და ფართოდ ხმარებული კომპოზიტია. სმ სიტყვის შესახებ შენიშნავენ, რომ ძველი ქართულის ძეგლებში უკვე დაწყებულია ხ-ს დაკარგვა

¹ ს. შანიძე, საფუძვლები, გვ. 152; უ. ზმნაიშვილი, სახ. ბრუნვა, გვ. 525.

² ს. შანიძე, სინური მრავალთავი... გვ. 325; უ. ზიკნაძე, ლიორგი შთანქმედის ერთი თარგმანის კიმენი და ლექსიკა: ძველი ქართული მწერლობის ოთხი ძეგლი, 1965, გვ. 149.

³ ს. ზიკნაძე, წარე-კახეთი დიალექტოლოგიურად: სრილი, 1925, გვ. 65—68; ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია, წინასიტყვაობა, გვ. 045; უ. ზმნაიშვილი, სახ. ბრუნვა, გვ. 147; უ. შალამბერიძე, ხმისართი ძველ ქართულში: ქართველურ ენათმეცნიერების სკიკიები, I, 1956, გვ. 46.



მიმღობისა და საწყისის ფორმებში, რაც შემდეგ და შემდეგ დაკანონდა.
 ჩვენს ძეგლში სწორედ ასეთი გამარტივებული ფორმები გვხვდება: **ჟუარ-ცუმული**
 -ცუმული (65,33 C). **ღრედაქციაში** კი სანთან ერთად უმარცვლო უ-ც
 არის დაკარგული: **ჯუარ-ცუმული**. **ისტორიულად** ს აუცილებელია,
 რადგან **ჯუარს** ირიბი დამატებაა წარმოშობით: **ჯუარს-ეცუა** — **ჯუარს-**
-ცუმული.

ჯუარს-ცუმული უმთავრესად ქრისტეს ებითეტად იხმარება და ამიტომ ყოველთვის მხოლოდით რიცხვში დგას. მხოლოდ შემთხვევაში, როცა სხვებზე იფულისხმებიან, ცხადია, მრავლობითშიც შეგვხვდება. მაგრამ ასეთი შემთხვევები საერთოდ იშვიათია (შარტ. 15,32; სას. პ. 147,116).

სოცა ცუმა მოქმედებითი გვარის მიმღობის ფორმითაა მოცემული. მაშინ **ჯუარი** ბრუნვას იცვლის და მიცემითის ნაცვლად ნათესაობითში დგას: **ჯუარის-მცუმელი** (სინ. 43,11; 256,9,11; სწავ. 103,16; ქართ. 32,25).

წუსწუთ (6,23; 12,27; 25,29; 26,11). ამ კომპოზიციის მნიშვნელობა: ყოველ წუთს, მუდმივად, შეუწყვეტლივ, ზედაზედ, თანამდევრულად, სულ მთლად. **ჩარადობენ** რომ **წუსწუთ—წუთსწუთს**¹, ე. ი. **წუსწუთ** ფუძე-გარკვევბული სიტყვაა, რომლის პირველ ნაწილში დაკარგულია ფუძისეული თ, მეორეში კი — ბრუნვის ნიშანი ს. **არსებობს** მეორე შეხედულება: **წუწ-წუთ—წუთსწუთ**², რაც ისეთივე ავებულების კომპოზიტია, როგორიცაა, მაგალითად **პირს-პირ, ჯელს-ჯელ**... ჩვენ ეს უკანასკნელი ახსნა უფრო სარწმუნოდ გვეჩვენება, რადგან მეორე კომპოზიციის საგარეოდ მიცემითი ბრუნვის ს ნიშანი არც ერთ ძეგლში არაა დადასტურებული.

ნათესაობითი ბრუნვა

ნათესაობითბრუნვიანი კომპოზიტები ძალზე ბევრია. შეიძლება იმის გამოც, რომ მართული მსახდვრელი ქართულში ნათესაობით ბრუნვაში დგას. ყოველ შემთხვევაში, ფაქტია, რომ ქართულ კომპოზიტთა უდიდესი ნაწილის პირველი კომპონენტი ან ფუძის სახითაა წარმოდგენილი, ანდა ნათესაობითი ბრუნვის ფორმით.

შორია შემთხვევები, როცა ერთი და იგივე სიტყვა სხვადასხვა კომპოზიტთა საერთო შემადგენელი ნაწილია. ესე, მაგალითად, **გული** ხშირად გვხვდება პირველი კომპონენტის როლში სხვადასხვა სიტყვებთან კომპოზიციაში.

ღული-სრახვა (17,9) ნიშნავს განზრახვას, ფაქრს.

ღული-თქუმა (12,11; 13,18; 15,35; 26,34; 30,12; 47,48). **ღული-თქუმის** ბერძნულ ტექსტში უმეტესად **ῥῆσις** შეესაბამება, რაც ნიშნავს სიამოვნებას, ნეტარებას, სიხარულს, კმაყოფილებას, თუქცა უნდა აღინიშნოს, რომ **ღული-თქუმის** უფრო ზუსტი შესატყვისია არის **ῥῆσις**: დიდი სტრეილი, ნდობა, მისწრაფება, ლტოლვა, გატაცება. სამდენიმე ადგულა³

1 **ღ. მანაშვილი**, სას. ბრუნვა, გვ. 109.

2 **ღ. მანაშვილი**, გვ. 148.

3 **ღ. მალაშვილი**, ხმანართი ძველ ქართულში, გვ. 52; ს. **ვახუცაძე** **ღული-სრახვა**, „წუთსწუთ“ უნდა წარმოადგენდეს სახისნაცვალს ფორმისა „წუთსწუთ“ (დღე-შა სხარების ბერძნულნი; ნიშნა მოამბე, XIV, გვ. 107). საინტერესოა, რომ ამგვარი ფორმა მხოლოდ ერთგანაა დადასტურებული: **წუთსწუთ** (ქართ. 38,20).



(30,8; 31,6,8; 38,34) გულის-სიტყუმაა სწორედ ბერძნულსა და სომხურსა წყობითა ქართული თარგმანისა.

ღულის-სიტყუთა (12,18; 13,1; 14,11; 38,19; 47,27; 48,21; 76,21). ამ სიტყვის მნიშვნელობაა აზრი; ფიქრი, განზრახვა. ყვარძელა შესატყვისისა ლოკოსჲს. ზოგჯერ ეს უკანასკნელი გადმოქართულებულია როგორც გულის-ზრახვა (17,9). სხვეე უზუსტობაა ზნაიჲს გულის-სიტყუად თარგმნა (26,34 4; 32,6). აღსანიშნავია, რომ ს და ლ ხელნაწერებში ეს უკანასკნელი ადგილი მართებულად გულის-სიტყუად არის გადმოთარგმნილი.

რითგან გულს ემფატიკური აქვს დართული: გულის-სიტყუთა (38,32) და ასეთ შემთხვევაში ბოთქოს კომპოზიტიად არ უნდა ჩაითვალოს, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ ეს ორი სიტყვა საერთოდ ისე მჭიდროდ არის ერთმანეთთან შერწყმული, რომ მათი დაცილება გაძნელება და ამიტომ კომპოზიტიად უნდა მივიჩნიოთ. აღნიშნავთ, რომ ეს ხდება მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში, როცა სავარაუდებელი კომპოზიტის შემადგენელი ნაწილები ერთმანეთთან უმჭიდროეს კავშირში იმყოფება და კომპონენტთა დაცილება ძნელია. ჯარდა ამისა, სავარაუდოა, რომ სხენებული ა შეიძლება გადამწერის შეცდომა იყოს, რადგან ეს კომპოზიტი ხშირად იხმარება სხვა ძეგლებშიც და ყველგან — ემფატიკური ა-ს გარეშე.

ღულის-წყრომა (19,32; 20,27; 31,6; 47,35) — რისხვა, ვაბრაზება. გულის მოსვლა.

ცნობილი კომპოზიტია გულისხმა და მასთან დაკავშირებული გულისხმის-ყოფა. ძველ ქართულ ძეგლებში იხმარება როგორც გულისხმა, ასევე გულისქმა. აკანასკნელ ხანს გამოითქვა ვარაუდი, რომ თავდაპირველი ფორმა უნდა იყოს გულისხუმა, რომლისგანაც IX საუკუნის ბოლოსთვის, აღრევის ნიადავზე, წარმოიქმნა პარალელური ფორმა გულისქუმა. „ამ კომპოზიტში მეორე სიტყვად გვქონდა არა ჭმა (რიოი), არამედ ხმა—ხუმა, რაც „აღებას“, „მიტანას“, „შეტანას“ ნიშნავს (ობიექტით მრავლობითში). ღულისხმის-ყოფა, ამის მიხედვით, იქნება „გულთან მიტანა“, „გულში შეტანა“², ანუ გაგება, მიხვედრა, შეტყობა.

სხვათა შორის, ზოგიერთ ძეგლში დატულია ის უმარცვლო უ, რომლის დაკარგვაც ნავარაუდევია ხმა-ში. აი ეს იშვიათი მაგალითები:

- ღულისხუმის-ყოფა (ღტ. VI. 207,20; ეტ. IX. 84,34).
- ღულისხუმის-მყოფელი (ღტ. IX. 41,21; 110,20).
- ღულისხუმის-მყოფლობა (ღტ. IX. 56,6; 110,22; 112,1).
- ღულისხუმის-საყოფლობა (ღტ. IX. 57,2).

ამარცვლო უ კვხდება ამ სიტყვის პირიან ფორმებშიც: გულისხუმ-ყოფ (ღტ. VI. 206,26), გულისხუმ-ყოფ (ღტ. IX. 53,30), გულისხუმ-ყოფ (ღტ. IX. 68,31), გულისხუმ-ყოფნეს (ღტ. IX. 68,23), გულისხუმ-მიყოფიელ (ღტ. IX. 65,17).

1 ამ კომპოზიტის შესახებ იხ. ლ. ზინაიშვილი, სსრუი მრავალთავის ზოგიერთი ფონეტიკურ-ორთოგრაფიული თავისებურება: მსუ შრომები, ტ. 92, 1960; 4. ყველიანი, ლტულები, VI, 1960. გვ. 196—197.

2 ლ. ზინაიშვილი, სსრუი მრავალთავის... გვ. 55.



ტღვილი შესამჩნევია, რომ აქ მოყვანილ მაგალითთა უმეტესი ნაწილი ნაწილია XII ს. ერთი და იმავე ძეგლიდან.

„ნტონის ცხოვრებაში“ გვხვდება მხოლოდ ხანიანი ფორმები: გულისხმის-ყოფა (29,19) და მისგან ნაწარმოები მოქმედებითი და ვნებითი გვარის მიმღებობები: გულისხმის-მყოფელი (59,27; 65,13) და გულისხმის-საყოფელი (56,20).

სხევე საერთო კომპონენტად შეიძლება გამოიყოს ღმერთი. ზვხედება ღმრთის-მოყუარე (11,32) და მისგან ნაწარმოები ღმრთის-მოყუარება (82,24), ღმრთის-მოშიში (33,24) და ღმრთის-მოშიშება (6,33 ლ; 33,29), ღმრთის-მსახური (32,35; 35,6; 56,39; 58,3) და ღმრთის-მსახურება (22,21; 35,14; 44,33; 57,7; 78,16).

შესაძლებელია პირველ კომპონენტად იყოს წიგნიც: წიგნის-კითხვა (11,1; 33,20). ამ სიტყვას ბერძნულ ტექსტში ერთ შემთხვევაში ფილოლოგიკურ შეესაბამება, მეორეგან კი—*παρ Πραφην λξξεαν*, რაც არა კომპოზიტი. ზვხედება აგრეთვე წიგნის-მკითხველი (42,30).

ხოგჯერ სხვადასხვა კომპოზიტების საერთო წევრია მეორე კომპონენტი. ჩვენს ძეგლში ნათესაობით ბრუნვასთან განსაკუთრებით ხშირად იხმარება მოყუარე (მოყუარება), გზის, ფერი.

ბიღების-მოყუარება (12,10 ლ) არის ფილბიქს კალკი. ტელნაწერში მას ენაცვლება ზუაობა. ტლანიშნავია, რომ სხვა ადგილას ბერძნულში ზუაობას შეესატყვისება *κωνοβιქს* (მღრ. უზუაობლობა 36,14—*ακωνοβιქს*). *Κωνοβιქს* ნიშნავს დიდების მოყვარებას, მკვებარობას, თავმოწონებას და რადგან იგი ბერძნულში კომპოზიტის სახითაა წარმოდგენილი, მოსალოდნელი იყო, რომ ქართულიც ასევე გადმოიღებდა, ბერძნულის კალკს იხმარდა, მაგრამ ეს ასე არ მოხდა, ქართულმა სხვაგვარი გზა აირჩია და მარტივი ზუაობა ამჯობინა.

რეცხლის-მოყუარება (12,9) ასევე კალკია *φιλαρყურია*-სი, გეცხლისა არა-მოყუარება (36,13) კი კომპოზიტად ვერ ჩაითვლება. შის რთულ სიტყვად მიჩნევის ხელს უშლის, ერთი მხრივ, ემფატკური ა და, მეორე მხრივ, არა ნაწილაკი, რის გამოც სიტყვამ სიმკვრივე დაკარგა და კომპოზიტობა მოიშალა. ამ სიტყვის შესაბამისი *αφιλαρყურია* კომპოზიტია იმის გამო, რომ უარყოფითობის მაჩვენებელი *α* რთულ სიტყვას წინ დაერთვის და, ცხადია, კომპონენტებს ვერ გათიშავს.

ხეთლის-მოყუარე (35,4). მღრ. კეთლის-მოძულე (11,35. 19,31; 22,34). საინტერესოა, რომ ბერძნულში ამ კომპოზიტებს ქართული საერთო ნაწილი (კეთილი) განსხვავებული აქვთ: შესაბამისად *φιλαყამი* და *μυσηαλος*.

ყერძნული *φιλσσοფი* ისე ფართოდ გავრცელებული სიტყვაა უკვე ძველსავე ქართულში, რომ ხშირად მთარგმნელებიცა და გადამწერებიც საჭიროდ არ თვლიან მის თარგმნას ქართულ ენაზე: სიბრძნის-მოყუარის ნაცვლად ხმარობენ ფილოსოფოსს. სხვა ჩვენს ძეგლშიც: ფილოსოფოსი (59,30; 67,31).

ღვაქეს აგრეთვე ღმრთის-მოყუარე (11,32), ღმრთის-მოყუარე



რებაჲ (82,24), ცოდვის-მოყუარებ (15-16), შრომის-მოყუარებ (31,40), სტუმრის-მოყუარებაჲ (29,20).

ყვილება მეორე კომპონენტად შეგვხვდეს ფერი: თითო-ფერი (7,31; 82,17). ტქელანაა ნაწარმოები თითო-ფერებაჲ (31,17). თითო-ფერი ნიშნავს ბევრნაირს, მრავალნაირს, სხვადასხვას. შრავალ-ფერი (82,2 ლ) იმავე მნიშვნელობისაა; როგორიაჲ თითო-ფერი.

კომპოზიტთა ერთ ნაწილს საერთო მეორე კომპონენტად აქვს გზის. ესეთ კომპოზიტებს პირველ ნაწილად უმეტესად რიცხვითი სახელი ან ნაცვალ-სახელი ექნება:

ერთ-გზის (16,17,20; 36,1).

ღრ-გზის (24,21; 36,1).

შრავალ-გზის (40,6; 43,4,6,9).

ქავდე-გზის (40,35,37).

უსოდე-გზის (14—15).

ძველ ქართულში ფართოდ გავრცელებული სიტყვაა დანაკისკუდი (45,21). შიში შემადგენელი ნაწილები ოდნავადაც ვერ მიგვანიშნებს ამ სიტყვის სემანტიკაზე. ძველსავე ძეგლებში დანაკისკუდის გვერდით იხმარებოდა მისი სინონიმი ფინიკი. ურთიდა და მეორეც ბერძნული ფინიკის შესატყვისია. ფინიკის პალმით გაშენებული ადგილის აღსანიშნავად გვხვდება ტერმინები: ფინიკოვანი და დანაკისკუდოვანი. უსუქანსკნელი ჩვენს ძეგლშიც არის დადასტურებული ფონეტიკური ვარიანტით, სადაც ორ ნაწილს შორის ვ დაკარგულია: დანაკისკუდოვანი (45,13).

ურის-კაცი (78,38) ნიშნავს არასასულიერო პირს. ხანდახან ამ სიტყვას უფრო ვიწრო შინაარსი აქვს და ჯარისკაცის მნიშვნელობით იხმარება.

ურისთავი (64,2). ექსტენი გვხვდება აგრეთვე მთავარი ერისაჲ (44,17). შოსალოდნელი იყო მის ნაცვლად ყოფილიყო კომპოზიტური-ს-მთავარი, მაგრამ კომპონენტთა გადაადგილებას, ალბათ, იმანაც შეუწყობ ხელი. რომ ბერძნულშიც არაა კომპოზიტი ნახმარი: იქაა *βραχων στρατηγος*.

სხევე, მოსალოდნელი ეშმაკთ-მთავრის ნაცვლად ტექსტშია ეშმაკთა მთავარი (32,26), რაც კომპოზიტად ვერ მიიჩნევა. სხვათა შორის, ამ შემთხვევაშიც იგრძნობა ბერძნული დედნის გავლენა: *βραχων στρατηγος* არაა კომპოზიტი.

ხეთისხილი (46,4).

თავისუფალი (7,15; 52,35; 53,32).

ხაცის-მკლველი (34—35). ჭერძულშია *βραχωνοκτονος*. „შკლველი“ დღეს მხოლოდ ადამიანის მკვლელზე ითქმის; ამიტომ იშვიათად თუ ვიხმართ „კაცის-მკლველ“ ტერმინს. სხევე იყო ძველად ბერძნულში, სომხურში, გერმანულში, რუსულში... ამ ენებშიც არ იხმარებოდა განსაზღვრება „კაცის“. საზოგადოდ ბერძნულში კაცის-მკლველის შესატყვისად ყველგან გვხვდება ფაუნდ. შეკიდევ მხოლოდ სამ ადგილას შეგვხვდა ქართული კომპოზიტის ანალოგიური წარმოება: კაცის-მკლველი — *βραχωνοκτονος*



(სოფ. 8,44; 1 სოფ. 3,15 ორჯერაა). აღმოჩნდა, რომ ეს ადგილები სხვა-სხვა ენებზეა შეცდომით წარმოებულია ვადმოლებული: *մարդասպան*, გერმ. *Menschenmörder*, *человекоубийца*... ტყ. ცხადია, ბერძნულის გავლენაც იგრძნობა. შაკი იქ (ბერძნულში) კომპოზიტი იყო ნახმარი, ამ ენებშიც კომპოზიტადვე ვადმო-თარგმნეს. სხვაგან ყველა ენა მარტივ „მკლველ“ ტერმინს ხმარობს. ამიტომ შეგვიძლია ვთქვათ, რომ „კაცის“ მხოლოდ ქართულისთვის დამახასიათებელი გაფორმებაა, მეტი სიზუსტისათვის გამოყენებული. **კ ა ც ი ს - მ კ ლ ვ ე ლ ი** ძველ ქართულში ხშირად იხმარებოდა იქ. სადაც სხვა ენებში, კერძოდ ბერძნულში, მარტივი სიტყვა მკლველი გვხვდება (სამ. 21,13; საქმე 3,14; 28,4; სამოცხ. სოფ. 9,21; 22,15; შათ. 22,7; სობ. 21,22...).

ესევე, კომპოზიტი **კ ა ც ი ს - კ ლ ვ ა ა** მრავალ ძველშია დადასტურებული მარტივი *ფაჟა*-ის შესატყვისად (შათ. 15,19; შარტ. 7,21; სუტ. 23,19; ასე 4,2; საია 1,21; ჟომ. 1,29; უხეტ. 43,7,9...).

კ ა ც ი ს - მ კ ლ ვ ე ლ ი ს ეკვივალენტად ბერძნულში ზოგჯერ სხვა ტერმინიც იხმარება, მაგალითად, *ჰემეიფაჟა* (1 ჟიმ. 1,9; 2 შაკაბ. 9,28). სომხურში, გერმანულსა და რუსულში კვლავ ზემოთ ნაჩვენები კომპოზიტებია გამოყენებული.

ტლსანიშნავია, რომ იშვიათად ძველ ქართულშიც გვხვდება მარტივი ტერმინი „მკლველი“: *ნაზობნი ხართ მკლველთა წინაწარმეტყუელთანი* (შათ. 23,31).

ს უ რ ი ს - ჭ ა მ ა ა (53,2 ს). ამ სიტყვას ძველ ქართულში რამდენიმე მნიშვნელობა აქვს: 1. ჭამა (საზოგადოდ), 2. საუზმე, 3. სადილი, 4. ვახშამი, 5. ლხინი. ამ კომპოზიტს *ღვთისთვის* სხვადასხვა რედაქციებში ენაცვლება *ს ე რ ი*, *ტ ა ძ რ ო ბ ა*, *ს ა დ ი ლ ო ბ ა*.

ცხადია, **პ უ რ ი ს - ჭ ა მ ა ა** მხოლოდ პურის ჭამას არ ნიშნავს. უგი ზოგადად ითქმის კვებაზე, ნებისმიერი საჭმლის მიღებაზე. „სურის“ ქართული გაფორმება უნდა იყოს, რაც დღევანდლამდეა შემონახული ჩვენს მეტყველებაში. „სურის-ჭამა“ დღესაც საკვების მიღებას ნიშნავს დღის ნებისმიერ პერიოდში და საერთოდ ფართო მნიშვნელობის მატარებელი სიტყვაა. საინტერესოა, რომ როცა ვამბობთ „პური ვჭამათ“, შეიძლება სუფრასზე პური არც კი იყოს.

- ს ა ტ ი ვ ი ს - პ ყ რ ო ბ ა ა** (55,26)
- ს ა ხ ე ლ ი ს - დ ე ბ ა ა** (72,16)
- ს ა ხ ე ლ ი ს - ს ა დ ე ბ ე ლ ი** (74,13)
- ს ი ტ ყ ვ ს - გ ე ბ ა ა** (64,30)
- ს ო ფ ლ ი ს - მ პ ყ რ ო ბ ე ლ ი** (31,14)
- ქ ვ ე ლ ი ს - ს ა ქ მ მ** (42,31; 61,27)
- ი ა მ ი ს - თ ე ვ ა ა** (11,5; 36,13).

ძ ვ რ ი ს - მ ო ქ მ ე დ ი (76,26) ნიშნავს ბოროტმოქმედს. სხვათა შორის, ძველ ტექსტებში **ძ ვ რ ი ს - მ ო ქ მ ე დ ი** ს გვერდით გვხვდება ფართოდ გავრცელებული კომპოზიტი **ბ ო რ ო ტ ი ს - მ ო ქ მ ე დ ი** (*κακοδικος, κακοδικος*). ეს ორი კომპოზიტი სინონიმურ წყვილს წარმოადგენს და ზოგჯერ ერთი და იმავე ძეგლის სხვადასხვა ხელნაწერში ერთმანეთს ენაცვლება, მაგალითად:



ბოროტის-მოქმედნი (ოვ. 5,29 DEHIK), ბოროტების-მოქმედნი C. ABLM||ძვრის-მოქმედნი C.

ჰანდაბან შესაძლებელია განსხვავება პირველ ნაწილში კი არ გამოჩნდეს, არამედ მეორეში:

ბოროტის-მოქმედთა (ქუსთ. 90,15) || ბოროტის-მზრახველთა B||ბოროტის-მყოფელთა EF.

ძვრის-ზრახვაა გვხვდება მხოლოდ ო ხელნაწერში (24,31; 32,3; 35,3; 62,26,32; 76,20,25; 80,1). - ამ კომპოზიციის ბერძნულში შეესაბამება *ἐπιμαρτυρία* (ბოროტი განზრახვა, ვერაგობა) და *ἐπιμαρτυρία* (მისწრაფება, სურვილი, თავდასხმა). ო რედაქციებში ძვრის-ზრახვის ნაცვლად იხმარება მტერობა (24,32; 76,19,24; 80,1) ან მარტივი ზრახვა (62,27,32).

ჩეღლის-კიდ (43,1).

ხარკის-მოქმედელი (42,34) არის გადამხდელიცნებელი, ხარკის ამკრეფი. ეს კომპოზიტი ძველ ქართულში იშვიათად იხმარება. იგი დადასტურებულია უსაია წინასწარმეტყველის წიგნში (3,12) და მათევეში (მათ. 18,17 DE). ლუკასის, მათევეს, მარკოსის (A—28) და მათევეს (H—1741) მათევეებში ხარკის-მოქმედელს ცვლის მისი სინონიმური ცალი ხარკის-მკრებელი. მათევეის ოპიზურ ხელნაწერშიც თავდაპირველად წერებულა ხარკის-მკრებელი, რომელიც შემდეგ მეზუერედ გადაუკეთებიათ. სხვათა შორის, მეზუერედ იკითხება აგრეთვე უსანი, უსანიისა და მათევერდის ოთხთევეებში. სინტერესო ფორმაა დადასტურებული სენაურ მრავალთევეში: ხარკის-მოქმედელი (463r,3).

ნათესაობითობრუნვიანი კომპოზიციების პირველი ნაწილი ზოგჯერ მრავლობით რიცხვშია დასმული. მოგორც წესი, ასეთ შემთხვევაში პირველი კომპოზიციის დაბოლოებად გვაქვს ო და არა თა:

ოლახაკთ-მოყუარება (36,14), გლახაკთ-მოწყალება (29,19). უსანიშნავია, რომ ორივე კომპოზიტი ბერძნული *φιλανθρωπία*-ს თარგმანს წარმოადგენს. შისი ზუსტია მნიშვნელობაა მოწყალება ღარიბების, მათხოვრების მიმართ.

ოშმაკთ-უცნება (65,27 ო, შდრ. მრჩობლ-ეშმაკებულეება ო).

შამათ-მოთავარი (79,1 ო) ნიშნავს წინაპარს, წინაპართა უფროსს ან უმაღლეს სასულიერო პირს (*πατριάρχης, ἡγούμενος, Stammvater, родоначальник*). ძველ ტექსტებშივე ეს კომპოზიტი გვხვდება ფონეტიკური სახესხვაობით: შამად-მოთავარი. ო 46 წლი აღინიშნოს, რომ ამგვარი დისიმილაცია მრავალი ფორმები! რაოდენობრივად თითქმის არც ჩამორჩება ძირითად სახეობას. შამად-მოთავარი ჩვენი ძეგლის ო ხელნაწერშია დადასტურებული: 79,1. ლუკასის იხმარებს ის ფაქტი, რომ ბერძნული *πατριάρχης* ზოგჯერ უთარგმნელად გადმოჰქონდათ ქართულში, რაც შემდეგ იმდენად დამკვიდრდა ენაში, რომ ხშირად ორიგინალურ ქართულ ძეგლებშიც კი პატრიარქი (ან მისი ფონეტიკური სახესხვაობანი) იხმარება შამათ-მოთავარის ნაცვლად. შავალითად: პატრიარქი (სიტ. ქრ. I 261,1), პატრეაქი (იქვე).



202,1,6,7,23,25; 204,26; შოქც. 93,23 C; 96,14 C), პატრიარქობა (შოქც. I, 202,15; 217,21,43; შოქც. 93,23 ლ) და აქედან ნაწარმოები პატრიარქობა (შიტ. ქრ. I, 217,8).

ქუთაის-მოძღვარი (63,38).

ხატ-მოყუარე (69,13; 72,21). ტყედანა მიღებული კაც-მოყუარება (11,4; 62,9).

სულ-თქუმა (70,15) ნიშნავს ოხვრას, ხენეშას, კენესას, იშვიათად — სუნთქვას. შესაძლებელია ეს კომპოზიტი მრავლობით რიცხვშიც შეგვხვდეს: სულ-თქუმანი (Sin. 11,373r,18; შარგ. გამ. 14,20; Q4რთ. 161,27; შთაწმ. 191,17...). ხოგჯერ მეორე კომპონენტში უკარგება: სულ-თქმა (ფს. 78,11 C; შთაწმ. 197,23; 198,1 BCDEFKL; საქმე 7,34A; სწავ. 60,23 B).

ტლსანიშნავია, რომ თავდაპირველად გვქონდა სულ-თქუმა, შემდეგ კი ორი მეზობელი თ-დან პირველი დაიკარგა, რაც ჩვეულებრივ ხდება ხოლმე ერთნაირი თანხმოვნების თავმოყრისას (მდრ., მაგალითად: ნუგეშინის-სცა → ნუგეშინი-სცა, თაყუანის-სცა → თაყუანი-სცა, მსახურებდეს → მსახურებდეს, იქმნენს—იქმნეს...). ეს თ შენარჩუნებულია პირიან ფორმებში, სადაც ორი თ გათიშულია ქვევის ნიშნით: სულ-თ-ი-თქუმი (70,32), სულ-თ-ი-თქუმი (47,10; 53,4; 70,4; 70,30), სულ-თ-ი-თქუნა (70,7).

ძალზე იშვიათად პირიან ფორმებშიც შესაძლებელია თ-ს დაკარგვა: სულ-თ-ი-თქუნა (შარგ. 8,12 ABCLHIK; შარგ. 7,34 CELHIK), მაგრამ: სულ-ი-თქუნა (შარგ. 8,12 DEM; შარგ. 7,34 ABDM). შევამჩნიე მგონია, რომ აქ გადაშფერთა შეცდომასთან უნდა გვექონდეს საქმე, რადგან სხვაგან თ-ნაკლი ფორმები არა გვხვდება. ზარდა ამისა, ძველ ქართულ ტექსტებში დადასტურებულია კომპოზიტის ისეთი ფორმები, სადაც ორი თ ერთმანეთის გვერდით შენახულია. ეს მაგალითები განსაკუთრებით ძვირფასია ჩვენი კომპოზიტის ისტორიის გასათვალისწინებლად. წარმოვადგენთ ამ იშვიათ ნიმუშებს:

სულ-თ-ი-თქუმი (შობ. 23,2; ხიმ. I. 192,22; ოტ. VIII. 49,13; 66,19; ს. მესუეტე 20,20; შიტ. ქრ. I, 195,9; 315,2), სულ-თ-ი-თქუმანი (შაბ. 6,5; შობ. 3,24; შბ. წნტ. 13,13B). ტყედანა ნაწარმოები მოქმედებითი გვარის მიმღეობა: სულ-თ-ი-თქუმი (ოტ. VI. 220,37).

ხოგი სიტყვა ბერძნულ ტექსტში კომპოზიტის სახითაა მოცემული, მისი ქართული შესატყვისი კი კომპოზიტად ვერ მიიჩნევა ერთი საერთო მიზეზის გამო: მსაზღვრელს ემფატიკური ა ერთვის. ხოგიერთ მათგანზე შემოთ გვექონდა საუბარი, დანარჩენებს კი აქ წარმოვადგენთ: ღმრთისა ცნობა (66,27), ხატისა ცვალება (35,26), სათნოებისა მოყუარე (35,6).

შე ვარ სიძვისა მოყუარე (14,23 ლ; სიძვისა მეგობარი C4). ქართულის საერთოდ კომპოზიტის შემადგენელი ნაწილების შესაბამისი წევრები ბერძნულში ზმნითაა გათიშული: 'Εγὼ τῆς πορνείας εἰμὶ φίλος. შართალია, ქართულმა ეს ორი სიტყვა ზმნით არ გათიშა, მაგრამ არც მკიდროდ დააკავშირა — სიტყვათა შორის ემფატიკური ა ჩასვა, რაც კომპონენტთა შემტკიცებას ხელს უშლის.



შოქნე ღებითი ბრუნვა

შოქმედებითბრუნვიანი კომპონიტები ძველ ქართულში ბევრი იყო, მაგ-
რამ ჩვენს ტექსტში ნაკლებად გვხვდება.

ხომპოზიტთა ერთ ნაწილში პირველ კომპონენტად გვევლინება დ მ ე რ თ ი:
ი მ რ თ ი თ-შ ე მ ო ს ი ლ ი (26,19)

ი მ რ თ ი თ-ს წ ა ე ლ უ ლ ი (54,1).

მანდა აღინიშნოს, რომ ჩვეულებრივ დ მ ე რ თ კომპონენტის კომპო-
ზიტებში უფრო გავრცელებულია ამ სიტყვის ივ სუფიქსიანი გაფორმება:
დ მ რ თ ი ვ. ძველ ქართულში ამგვარი კომპოზიტები რაოდენობრივად ბევ-
რად სჭარბობს დ მ რ თ ი თ კომპონენტისა. მდრ. იმავე წინაარსის მქო-
ნე დ მ რ თ ი ვ-შ ე მ ო ს ი ლ ი (ზიტ. ქრ. I, 372,18; 373,33), დ მ რ თ ი ვ-
ს წ ა ე ლ უ ლ ი (სინ. 145,18; Sin. 11,387, v13...).

ერთი თავისებურება შეიძინევა დ მ რ თ ი ვ|დ მ რ თ ი თ კომპონენტის
მქონე კომპოზიტებში: მეორე წევრი უპირატესად მიმდებარს წარმოადგენს,
განსაკუთრებით გნებითი გვარიასა.

შოქმედებითბრუნვიანი კომპოზიტების გვუფში მოვაქცევთ თავისებური
გამოთქმების ერთ რიგს, როგორცაა დ დ ი თ ი-დ დ ე დ, წ ლ ი თ ი-წ ლ ა დ,
ა დ გ ი ლ ი თ ი-ა დ გ ი ლ ა დ...

მე სიტყვებში, უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას იქცევს პირველი წევ-
რის ი თ ი დაბოლოება, რომლის შესახებაც რამდენიმე მოსაზრებაა გამოთ-
ქნული². ჩვენ არ შეუდგებთ ახლა მათს განხილვას. უნდა გვხვდებოდნენ მხოლოდ
ამ მოსაზრებათა საფუძველზე გამოტანილი დასკვნათ: უცვლელაა, რომ პირ-
ველი კომპონენტი მოქმედებით ბრუნვის ფორმითაა წარმოდგენილი.

ეს გვაძლევს იმის საფუძველს, რომ ზემოჩამოთვლილი გამოთქმები კომ-
პოზიტებად ჩავთვალოთ? — ჯერ ერთი, ის, რომ ეს სიტყვები ძალიან წაგაგუს
ფუძეგაორკეცებულ კომპოზიტებს: აქაც ერთი ფუძეა გამოყენებული ორჯერ.
შეორე, ეს ფუძეები მჭადროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული და არაბო-
დეს არაა სხვა სიტყვით გათიშული. წინაარსობრივადაც ისინი ფუძეგაორკე-
ცებულ კომპოზიტება უდგანან გვერდში. ამიტომ გასაკვირი არაა, რომ მდრ-
წის სახარების წ ლ ა დ-წ ლ ა დ (ზუჯ. 2,41) მთხავის დანარჩენ რედაქცი-
ებში შეცვლილია წ ლ ი თ ი-წ ლ ა დ ფორმით. ამგვარ დაპირისპირებას
ესელებით სხვაგანაც: ა დ გ ა ლ დ-ა დ გ ი ლ დ (მზოკრ. 37,10 D) — ა დ გ ი-
ლ ი თ ი-ა დ გ ი ლ ა დ E.

ერთმანეთის გვერდით იხმარება ეს ორი კონსტრუქცია მანდაბნოს მრ-
ვალთაფიცი: მ ლ ი თ ი-დ დ ე დ და ქ ა მ ა ლ-ქ ა მ ა ლ ვაშენებ და ქ ა-
მ ა ლ-ქ ა მ ა ლ ვარდუევ (მანდაბნ. 38რხ). ხიდევ ერთი ნაკალთი: განვაგრ-
ძო სატანჯველი შენ ზედა, ვიდრემდის იხილო თუალითა შენითა გუამი შენი

¹ მ. შაქავეარიანი, ჯე სუფიქსის ისტორიისათვის: ლ. ჩელიკიძის სახ. ქუთაისის პედაგ. ინსტიტუტის შრომები, XV:1, 1957.

² მ. შანიძე, ჩელიქაძის გეოლოგიისათვის: ჩელიქაძეული, 1923-24, გვ. 4-5;
მ. შარტი, Грамматика древнелитературного грузинского языка, Ленинград, 1925, გვ. 21-22, მ. ხიქოზაგა, მანურის გრამატიკული ანალიზი, 1936, გვ. 54; ჯ. მინაიაშვილი, სახ. ბრუნვა, გვ. 218. ამ ტიპის გამოთქმებს ეხება აგრეთვე მ. შარტაროსოვა ნაშ-
რომში „ზოგი თანდებულისა სახელის ანალიზისთვის ძველ ქართულში“; შაცნე, № 5, 1958.



მ ც ი რ ე-მ ც ი რ ე დ და ქ ა მ ი თ ი-ყ ა მ ა დ დამდნარი სატანჯეღლაგან (Sin. 11,32v,10).

რომანეთის მონაცვლედ და ერთმანეთის ვერდით ამ ორი სახეობის გამოყენება იმიტომაა შესაძლებელი, რომ ისინი აბსოლუტურად ერთნაირი მნიშვნელობისა არიან და თუკი ქ ა მ ა დ-ქ ა მ ა დ რთულ სიტყვად მიგვაჩნია, რატომ უნდა შევიტანოთ ეჭვი ქ ა მ ი თ ი-ყ ა მ ა დ-ის კომპოზიტობაში? მუ ზოგიერთი სხვა კომპოზიტის შემთხვევაში შესაძლებელია კომპონენტების გადაადგილება ან მათი გათიშვა რაიმე წევრით, ჩვენს შემთხვევაში ასეთი გადაადგილება გამორიცხულია. ესენებულ გამოთქმებისთვის დამახასიათებელია მყარი კონსტრუქცია. სწავილი შესაძენეია, რომ ამგვარ კომპოზიტებს უკლებლივ მეორე კომპონენტად ვითარებით ბრუნვაში მდგომი სახელი აქვთ. ამასთან, სულ ერთია, უკანასკნელ ფუძეს თანდებული გქნება დართული, თუ — არა.

მოქმედებითი ბრუნვის ერთ-ერთ ძირითად ფუნქციას წარმოადგენს რაიმე პუნქტიდან მოქმედების დაწყების აღნიშვნა (ეს თანაბრად ეხება როგორც ი თ, ასევე ი თ ი დაბოლოებიან ფორმებს). შის მიხედვითი, თუ ფუძის ლექსიკური მნიშვნელობა რა შინაარსისაა — ადგილზე მიუთითებს თუ დროზე — გვექნება მოქმედების დასაწყისი სიერცეში ან დროში.

ვითარებითი ბრუნვისათვის ვარკვეულ შემთხვევებში დამახასიათებელია მოქმედების საბოლოო პუნქტამდე მიღწევის პინიშვნა. ამიტომ ფორმულა მ თ ნ ა ს ტ რ ი თ ი-მ თ ნ ა ს ტ რ ა დ ნიშნავს ერთი მონასტრიდან დაწყებული და მეორე მონასტრით გათავებული, ე. ი. ერთი მონასტრიდან მეორე მონასტრამდე ანუ (რადგან „ერთი“ და „მეორე“ ზოგადი მნიშვნელობითაა ნახმარი) მონასტრებიდან მონასტრებში.

მუ სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობა დროზე მიუთითებს (შაგ. წ ე ლ), მსგავსი ვითარება გვექნება: წ ლ ი თ ი-წ ლ ა დ ნიშნავს წლიდან წლამდე, ე. ი. ყოველწლიურად.

მითქოს ყველა ამგვარი გამოთქმა დროისა და ადგილის გარემოების გამომხატველ ჯგუფებში უნდა მოექცეს, რაკი დასაწყისსა და დასასრულზეა ლაზარაკი. შაგრამ ყოველთვის არ ხერხდება საგნების მოთავსება მხოლოდ დროის ან სიერცის კატეგორიებში. ნაწაკუთრებით მაშინ, როცა კომპოზიტში შემავალი ფუძე ლექსიკურად არც დროს გამოხატავს და არც ადგილს მიუთითებს. შავალითად; შვილითი-შვილად, ძალითი-ძალად, ცხორებითი-ცხორებად, სიტყვითი-სიტყუად, საქმითი-საქმედ; თესლითი-თესლად და კიდევ ბევრი სხვა. წინადადებაში ეს გამოთქმები თითქოს ვითარების გარემოების ფუნქციას ასრულებენ (მუნიცა ეს ფუნქცია აშკარად გამოკვეთილი არაა). აქ უნდა აღვნიშნოთ შემდეგი: იმ კომპოზიტებსაც, რომელთა შემადგენელი ფუძეების ლექსი-

1 შავალითად: ერის-მთავარი (მანძთ. 11,7; სწავ. 107,22) და ნთავარი ერისა (აწტ. 44,17). მთავარნი ერისანი (სიბრძ. 6,21), მთავართა ერისათა (Sin. 11,184v,7), მთავართა თანა ერისათა (ფს. 112,8); შესაერბლის-მთავარი (შარკ. 5,22DE; ზუკ. 13,14,DE) და ნთავარსა მას შესაერბლისსა (შარკ. 5,36C), მთავარ იყო შესაერბლისა (ზუკ. 5,41DE); ეშმაკო-მთავარი (Sin. 11,179r,7; Q4რთ. 138,15), ეშმაკთა მთავარი (აწტ. 32,26) და ეშმაკთა მათ მთავარსა (ვარლ. 27,11), მთავარი ეშმაკი (აწტ. 34,35), მთავარსა ეშმაკთასა (Sin. 11,182v,9); ცის-კიდელ (შუალთ. 41,15; 43,21; ნინ. 1, 144,26) და კიდელგან ცისათ (შათ. 24,21; ზუკ. 17,24), კიდელნდე ცისა (შარკ. 13,27) და სხვა ნრავილი.



კური მნიშვნელობა ადგილსა და დროს მიუთითებს, ვითარების გარემოებები ელფერი დაჰკრავთ. საფიქრებელია, რომ თავდაპირველად ეს სიტყვები დროისა და ადგილის გარემოებას წარმოადგენდნენ, მაგრამ შემდეგ სხვა კომპოზიტების მსგავსად შეიძინეს ვითარების გარემოების ფუნქცია. ეს ფუნქცია ამგვარ სიტყვებში შეორულა.

ტლიშნული კონსტრუქციის კომპოზიტებიდან ჩვენს ძეგლში გვხვდება წლითი-წლად (24,20; 45,30) და დლითი-დღედ. ეს უკანასკნელი ცალკე აღნიშნავს საჭიროებს, რადგან მხოლოდ მისთვისაა დამახასიათებელი მეორე კომპონენტში ბრუნვის ნიშნის დაკარგვა. ამძველეს ძეგლებშიც კი დლითი-დღედ და დლითი-დღე პარალელურად იხმარება. მათთვის მატერიალურ რედაქციებში ეს უკანასკნელი ერთხელ გვხვდება, დლითი-დღედ კი — უფრო ხშირად. სხვა ძეგლებშიცაა დადასტურებული მათი ერთმანეთის გვერდით ხმარება:

- | | | |
|------------------------------|---|-------------------------|
| დლითი-დღედ (ზომ. 4,20; 8,34) | — | დლითი-დღე (იქვე, 88,36) |
| „ (სწავ. 53,23) | — | „ (იქვე, 49,9) |
| „ (ჟალ. 45,17; 55,25) | — | „ (იქვე, 6,11). |


ზოგჯერ ამ სიტყვის მართლწერა განსხვავებულია ერთი ფურცლის ფრაგმენტებშიც კი: დლითი-დღედ (სწავ. 63,11), მაგრამ: დლითი-დღე (იქვე, 63,23).

„ნტონის ცხოვრებაში“ დლითი-დღედ უფრო გავრცელებული ფორმაა (28,21; 29,27,39; 55,7; 77,37; 80,6...), დლითი-დღე კი მხოლოდ სამჯერ გვხვდება (43,2,4; 44,8. ტლანიშნავია, რომ სამივე მავალითი ბრიტანულ ხელნაწერშია დადასტურებული). მათი ბერძნული ეკვივალენტია *καθημέριον*. მხოლოდ ერთ ადგილას (43,4) დლითი-დღეს შესაბამება *ἐφ' ἡμέρας*, რაც ქართულად არის არა „დლიდან დღემდე“, „ყოველდღიური“, არამედ „ერთი დღის განმავლობაში“, „დღიური“. თავქნთ, რომ იქნებ ქართული თარგმანი ვამართლებულიცაა, რადგან აქ ეს სიტყვა ბოლშევიზმის მწყობრის ფორმებითაა გარემოცული და, ცხადია, ასეთ შემთხვევაში „ყოველდღე“ უფრო შესაფერისია, ვიდრე „მარტოდღე ერთი დღე“. შევნიშნავთ, რომ იქვე მეზობლად კიდევია ნახმარი ეს სიტყვა, რომლის ბერძნული შესატყვისი უკვე *καθημέριον* არის. შეიძლება ბერძენი ავტორისთვის განსხვავებული ფორმის ხმარება სტილისტური ხერხი იყოს, გამეორების თავიდან აცილების მიზნით გამოყენებული, რადგან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მოქმედებას გამეორებას, მრავალჯერს ჩადენას აქვს ადგილი და სხვაგვარად *ἐφ' ἡμέρας* გაუმართლებელი იქნებოდა.

ძველ ძეგლებში გვხვდება დლითი-დღედი (სინ. 47,26; 1ქუსთ. 41,7; საქმე 6,1...), რაც ჩვეულებრივ ნიშნავს „ყოველდღიურს“, მაგრამ ხანდახან ამ სიტყვის სპეციალური მნიშვნელობაც აქვს: მსახურების დღე, *ἐφ' ἡμέρας*, чередა (მავალითად: ზუკ. 1,5,8) ¹.

საინტერესოა, რომ ამ უძველესი კონსტრუქციის მქონე აღნიშნული გამოთქმებიდან ამჟამად მხოლოდ დლითი-დღე შემორჩა. შანარჩენები ენა

¹ Тодювая библѣя, т. 10, С.-Петербург. 1914, стр. 117.



დაკარგა. **ღღითი-დღე** ხშირად გამოიყენება სალიტერატურო ენაში, განსაკუთრებით ვალითად:

შათი ორთაბრძოლა **ღღითი-დღე** სულ უფრო მძაფრი ხდება (გაზ. „სომუნისტი“, № 109 (14409), 13. V. 1969: „სეკუნდანტის თვალთ“).

ამ შემორჩენის მიზეზი შეიძლება ის იყოს, რომ აღნიშნული ყალიბის სიტყვებიდან **ღღითი-დღედ** (**ღღითი-დღე**) ყველაზე უფრო ფართოდ გამოიყენებოდა ენაში.

ჩითარებითი ბრუნვა

ჩითარებითბრუნვიანი კომპოზიტები ცოტაა როგორც ძველ ქართულში, ასევე ახალშიც.

ესე ყრმამანცა ვინმე მალე-მსრბოლმან ყოფად შემიძლო და წინააღმართ უსწრო მძიმედ მავალსა (36,35).

შალე-მსრბოლი აშკარა კომპოზიტია, მძიმედ მავალის რთულ სიტყვად მიჩნევა კი სათუთა. **შალე-მსრბოლი** სხვა ძველებშიცაა დადასტურებული: სწავ. 256,34; საქ. წ. II. 115,1. ეს სიტყვა ნიშნავს შიშვანს და მისი ბერძნული შესატყვისია **παχάμπριος**. ძველ ქართულში **შალე-მსრბოლი** გვერდით გვხვდება სინონიმური ზნაშენელობის მატარებელი სხვა სიტყვებშიც:

შალიად-მსრბოლი (ქართ. 17,5).

შალე-მსრბოლი (ღარსჯ. 238,15,19,31; ზიტ. ქრ. I. 336,32; 409,37...).

შალე-მორბედი (Sin. 35,34rb,21).

ჩითარებითბრუნვიანი კომპოზიტების უმეტესი ნაწილი ფუძეგაორკეცებულია, ამიტომ მათ ცალკე განვიხილავთ.

კომპოზიტებაჲ მივიჩნევთ ისეთ რთულ სახელებსაც, რომლებიც ფუძის გაორკეცებით არის მიღებული. ქართულისაგან განსხვავებით, ბერძნულ ტექსტში ასეთ სიტყვებს ძალზე იშვიათად აქვთ ანალოგიური აღნიშვნა — მათი ფუძე ჩვეულებრივ არ მგორდება. ქართულ ფუძეგაორკეცებულ კომპოზიტებს შემადგენელი ნაწილები სხვადასხვა ბრუნვებში შეიძლება ჰქონდეთ. სირველი კომპონენტის ბრუნვის მიხედვით ეს კომპოზიტები ასე დალაგდება:

1. **ქრფელობითი** (ფუძე): **დიდ-დიდი** (32,27) ნიშნავს ძალიან დიდს;

2. **შიცემითი**: **წუსწუთ** (6,23; 12,27...).

3. **ნათესაობითი**: **სწორის-სწორად** (28,26). უშვიათი კომპოზიტია. ჯე ნახმარი აქვს ღერემ შიკრესაც: **სწორის-სწორ** (ზიტ. ქრ. I, 369,30). ამავე მნიშვნელობისაა აგრეთვე **სწორ-სწორ** (ღამ. 30,34). ყველას ერთი ბერძნული შესატყვისი აქვს **σῶσι σω**.

გნობილი კომპოზიტია **ზედა-ს-ზედა** (25,29; 26,12; 28,4...). ნიშნავს: ზედიზედ, მუდამ, ხშირად, შეუწყვეტლივ. **ღენდა** აღნიშნოს, რომ **ზედა-ს-ზედა** გვხვდება მხოლოდ **ღ ხელნაწერში**. **ღ** და **ღ** ხელნაწერებში ყველგან მის ნაცვლად **წუსწუთ** იხმარება. **ზედა-ს-ზედა** ხმნიზედაა და ჩვეულებრივ იგი ფარმაუცვლელ სიტყვას წარმოადგენს, მაგრამ ზოგიერთ ძველში ეს კომპოზიტი იბრუნვის და მრავლობით რიცხვსაც აწარმოებს: **ზედა-ს-ზედა** (ქრონ. 212,4), **ზედა-ს-ზედანი** (ქრონ. 150,15; ჯტ. VI, 208,2), **ზედა-ს-ზედათა** (ქრონ. 230,4). უღსანიშნავია, რომ ამგვარი



უჩვეულო ფორმები „ქრონოლოგია“ დადასტურებული, სადაც შეიმჩნევა ანალოგიური ფორმების ხმარებისადმი მიდრეკილება.

4. **წითარებით:** თ უ ე დ-თ უ ე დ (46,3) ღრის გარემოებას წარმოადგენს; ხოლო ქ ა ლ ა ქ ა დ-ქ ა ლ ა ქ ა ლ (56,14) — ადვილისას. **მ 46** ზა აღნიშნათ, რომ ამ სიტყვებისთვის გამოსადგეია ის მსჯელობა, რაც მონასტრით ი-თ ი-მონასტრად; წ ლ ი თ ი-წ ლ ა დ ტიპის გამოთქმების განხილვისას ვეჭონდა. ამდენად, თ უ ე დ-თ უ ე დ, ქ ა ლ ა ქ ა დ-ქ ა ლ ა ქ ა ლ ვითარების გარემოებადაც შეიძლება გავიგოთ.

სამაგიეროდ, ისეთი ნაწარმოები ფორმები, რომლებიც ვითარებითბრუნვიანი კომპოზიტიბიდან არის მიღებული (კომპოზიტის ხელმეორედ ბრუნვაში გაფორმებით), თავისი ფუნქციით ზედსართავ საბელს უტოლდება:

ქ ე რ ა დ-ფ ე რ ა დ ი (12,11; 38,10) — სხვადასხვა, მრავალნაირი, მრავალფერი. **ტ ქ ე დ ა ნ ა მ ი** მიღებული **ფ ე რ ა დ-ფ ე რ ა დ ე ბ ა ე** (31,18).

ზ ა ც ა ლ-ქ ა ც ა ლ ი (9,25; 11,18; 48,14...) ნიშნავს თითოეულს, ყოველს. **თქმის** ადამიანზე.

ზემოჩამოთვლილ კომპოზიტთაგან წ უ ხ ს წ უ თ, თ უ ე დ-თ უ ე დ, ქ ა ლ ა ქ ა დ-ქ ა ლ ა ქ ა ლ საერთოდ უბრუნველი სიტყვებია.

კომპოზიტთა ერთ დიდ ჯგუფს ქმნის ისეთი რთული სახელები, რომელთა შემადგენელი პირველი ნაწილი ფუძის სახითაა წარმოდგენილი. **ქ უ ძ ეს** შეიძლება მოსდევდეს არსებითი, ზედსართავი, მინდობა...

შ ა მ ა-დ ე დ ა ნ ი (7,9,21,30; 8,1,8) ნიშნავს მშობლებს. ეს კომპოზიტი ჩვეულებრივ მრავლობით რიცხვში იხმარება, მაგრამ იშვიათად მხოლოდითის ფორმითაც გვხვდება: **შ ა მ ა-დ ე დ ა ე** (სახისმეტყ. 13,30; **ზ უ ტ.** 2,27; **ზ უ ე.** 8,51 L; **ზ ი მ.** II, 139,14; 2 **ზ ი მ.** 3,2). **შ ა მ ა-დ ე დ ა ნ ი** მრავალ მამა-დედას, მამებსა და დედებს კი არ ნიშნავს, არამედ მშობლებს მხოლოდ ერთ წევრს, მამასა და დედას!

მ 46 ველს ძეგლებში გავრცელებული იყო **შ ა მ ა-დ ე დ ა ნ ი**, მაგრამ შემდეგ იგი თანდათან შეიცვალა შებრუნებული წყობით: **დ ე დ ა-შ ა მ ა ნ ი** (**შ ა თ.** 20,21 C; **ზ ი მ.** 77,13; 77,16 S; **ზ ი მ.** I. 144,4; **Sin.** 11. 322r,19; **ტ ლ წ.** 243,18). **მ 46** ველის ძეგლი, რომელშიც **დ ე დ ა-შ ა მ ა ნ ი** არის დადასტურებული, **ტ ლ ი მის** თხოთავია², ე. ი. ახალი წყობა, რომელშიც ჯერ მდებრობითი სქესის აღმნიშვნელი სიტყვაა, ხოლო მის მომდევნოდ — მამრობითისა, უკვე IX საუკუნიდან გვხვდება. შრი თავისებურებაც არის აღსანიშნავი: თუკი **შ ა მ ა-დ ე დ ა ნ ის** გვერდით **შ ა მ ა-დ ე დ ა ე** ც გვხვდება, შებრუნებული წყობისას კომპოზიტი მხოლოდ მრავლობითი რიცხვის ფორმით იხმარება: **დ ე დ ა-შ ა მ ა ე** ძველ ძეგლებში არაა დადასტურებული.

შ ე დ ა ქ ა ც ი (13,8; 59,7).
შ ი დ ქ ა ლ ი (9,6).
შ თ ა ვ ა რ ა ნ გ ე ლ ო ზ ი (39,8) ისეთივე აგებულებისაა, როგორისაც

¹ **ტ. შ ა ნ ე ძ ე.** ღისა და ბიძაშვილი თუ ბიძაშვილები: შეფხია ტყაოსნის საკითხები, I, 1966, გვ. 148.

² **ტ. შ ა ნ ე ძ ე ლ ი,** **ტ ლ ი მის** თხოთავი რედაქციულად: **ც ს უ მ.** XXXII—XXXIII. 1947, გვ. 187; **ტ. წ ი რ ე თ ე ლ ი,** **მ 46** ველის ქართული წარწერები **ს ა ლ ე ს ტ ი ნ ი** და, 1960, გვ. 38.



ბერძნული ἀρχαγγελοσ. ჴი უძველესი კომპოზიტია და, სხვათა შორის, მის წარწერებშია დადასტურებული. შთავარანგელოზი ჩვეულებრივ ორი ანგელოზის — შიქაელის და ჴაბრიელის — მიმართ ითქმის, Ⴒლსანიშნავია, რომ ძველ ქართულში შთავარანგელოზის გვერდით ვკვდება სინონიმური სიტყვა, რომელშიც კომპონენტები გადაადგილებულია: ანგელოზთ-შთავარი (სინ. 42,10; სვან. 379r; Ⴒ4დაბნ. 65rხ...).

ქალწული (9,17; 49,18; 51,5,8).

* ქათული სიტყვების ერთ ნაწილს საერთო უკანასკნელ კომპონენტად აქვს წული. წული თავისთავად ნიშნავს ვაჟიშვილს. ჴი იხმარება როგორც დამოუკიდებლად (შათ. 17,18C; ჴუკ. 2,23; ჴიტ. ქრ. I. 257,33...), ასევე კომპოზიტის მეორე შემადგენელ ნაწილად. Ⴒ4ნდა აღინიშნოს, რომ ხანდახან წულის ეს ჴოგადი მნიშვნელობა შინაარსობრივად არ შეეფერება კომპოზიტში შემავალ წულს. შაგალითად, თუ ძმის-წული¹, დის-წული, ძის-წული, შვილის-წული, უფლის-წული, სეფე-წული... გულისხმობს მამრობითი სქესის წარმომადგენელს, თითქოს სხვა ვითარებაა ქალწულის შემთხვევაში. Ⴒმ უკანასკნელს ისეთივე აგებულება აქვს, როგორც დედაკაცს, სადაც კაცი არაა საქმარისი იმისთვის, რომ კომპოზიტის სქესი განსაზღვროს. Ⴒ4კანასკნელი ორი მაგალითის შემთხვევაში პირველი კომპონენტია წამყვანი (მნიშვნელობის მხრივ). ქალწულიცა და დედაკაციც მდებრობითი სქესის წარმომადგენლებზე ითქმის². შაგრამ ახლა ამით დაუპირისპირდება დედა-წული, რომელიც ნიშნავს ერთი მხრივ, ქონებას, შეძლებას, მეორე მხრივ კი — ოჯახის წევრებს, ცოლ-შვილს³ და, ამდენად, ორივე სქესის წარმომადგენელს გულისხმობს, ე. ი. ფაქტიურად სქესი განუსაზღვრელია.

ქალწულიდანაა ნაწარმოები ქალწულება (9,18; 47,22; 66,30 ჴ; 76,23) და საქალწულე (9,18 ჴ).

შოვა-ღამე (19,5 Ⴒ), შუვა-ღამე 4, შოა-ღამე 4.
ყელმწიფებაა (36,4,7,8).

სასთ-წარკუთილი (33,30) ნიშნავს იმედდაკარგულს. Ⴒლსანიშნავია, რომ უძველეს ძეგლებში სიტყვა „იმედი“ არა გვხვდება — ყველგან სასო (სასოება) იხმარება. შაგრამ X საუკუნის ერთ სინურ ხელნაწერში და-

¹ Ⴒლ. გაგარელი შეცდომით თვლის, რომ ტერმინ ძმის-წულაკით „ქებაა ქებათას“ ტექსტში ერთნაირად აღინიშნება რუს. племянник და племянница და შესაბამისად ბერძ. ძმელჴმძე და ძმელჴმჴ (A. A. Цагарели, Сведения о памятниках грузинской письменности, вып. первый, С.-Пб., 1886. გვ. 27—28, №53. 21). ჴაგრამ უნდა შევნიშნოთ, რომ ძმელჴმჴ საერთოდ არ ვკვდება ჴიბლიან ტექსტში, ძმელჴმძე კი მრავალადა. ძმის-წულაკი მხოლოდ და მხოლოდ ვაჟს, მამაკაცს ვტლისხმობს და არავითარ შემთხვევაში — ქალს.

² ჴეპითად ქალწული მამაკაცის მიმართაც ითქმის: ქალწული კაცი განქრწეს (Sin. 35,39ra,2); ქალწულ არიან (ვაიოცხ. 14,4). ჴს ნათქვამია მამაკაცებზე. შდრ. რუკ. ОНИ ДЕСТВЕННИКИ; (ფოთზეც) სწწიდე და ქალწულებაა შეუხებელი და უბიწოა დაემარბა (ფოთ. 47,11).

³ Ⴒ. ყათხჩიშვილი, კომპოზიტები ძველ ქართულში; Ⴒსლ შრომები; ტ. 47, 1952, გვ 65.



კანონებელი სასო-წარკუთილება შეცვლილია შესიტყვებების მიხედვით დისა წარკუთთა:

7შმაკმან შეგიყვანოს უსასობებსა¹ და იმედისა წარკუთთასა² (Sin. 35,153ra,7).

სახელ-მტყუვარი (39,14) იწინავს ცრუსახელიანს (ბერძნული *ψαδῶνσμοც*).

სახელ-ხენეში (74,12). ღერძულშია *δυσωσιας*: ვისი სახელიც ზიზღს იწვევს, საზიზღარი; ბოროტი, დაწყველილი, უბედური, ცუდსახელიანი. წინააღსწარ-ცნობაა (40,25), წინააღსწარ-მცნობელი (37,17; 65,14), წინააღსწარ-თხრობაა (37,22).

ცნობილი კომპოზიტია წინააღსწარმეტყუელი, რომლის პირველი კომპონენტი ძველ ქართულში სხვადასხვა ფორმით გვხვდება: წინააღსწარ, წინასწარ, წინააწარ, წინაწარ, წინარ³. ამათგან ყველაზე გავრცელებულია წინაწარ და წინააღსწარ. ამოსავალა, თავდაპირველი ფორმა არის წინააღსწარ, ყველა დანარჩენი კი მისი გამარტივებით არის მიღებული⁴. ამ დისკენის საფუძველს ისიც იძლევა, რომ სხვა კომპოზიტებში, რომელთაც პირველ წევრად წინააღსწარ აქვთ, ეს კომპონენტი ყოველთვის სრული სახით არის წარმოდგენილი. შემოადინებული გამარტივება (ალბათ ფონეტიკურ ნიადაგზე მომხდარი) ამ სიტყვას, როგორც ჩანს, მხოლოდ წინააღსწარმეტყუელში განუცდია. შამსადამე, ძველ ქართულში ბუნებრივი და გავრცელებულია წინააღსწარ ფორმა. თავუპატებთ, რომ, როცა ეს სიტყვა დამოუკიდებლად იხმარება, იგი აუცილებლად სრული სახით, გაუმარტივებლად იქნება მოცემული. შავ: წინააღსწარ (30,10; 32,14; 36,28; 71,7).

ჩვეულებრივ ერთი რედაქცია გარკვეულ წარმოებას ამჯობინებს და მხოლოდ ამ არჩეულ ფორმას ხმარობს. შავალითად: „ნტონის ცხოვრების“ სამრევე ხელნაწერი წინაწარმეტყუელს ხმარობს (14,31; 17,24; 32,32; 33,33; 79,2). შავრამ ხშირად ერთი თხზულების ფურცლებზე სიჭრელს აქვს აღგილი, ამ სიტყვის წერისას ერთ გარკვეულ წესს არ იცავენ. შავალითად, ათხთავის, „შამათა სწავლანის“, „ოვანეს გამოცხადების“ და სხვათა ტექსტებში ადვილად ვიბოვით პარალელურ ფორმებს.


ტონიზულ კომპოზიტში შემადგენელი კომპონენტები ისე მკიდროდ არის ერთმანეთთან შერწყმული, რომ იმ შემთხვევაში, როცა ეს მიმღეობა პირიანი ფორმითაა წარმოდგენილი, პირის ნიშანი მთლიან კომპოზიტს უდგას წინ, იმის მაგივრად, რომ მხოლოდ მეორე ნაწილს დაერთოს: ვწინაწარმეტყუელედიო (შათ. 7,22 BCDEM), ვწინააღსწარმეტყუელედიო (შათ. 7,22 AK), სწინააღსწარმეტყუელედიო (შრავ. 256,28; A—95,14b). შეიძლება დავუმატოთ, რომ, ასევე, დანიშნულების სა—ო აფიქსები ამ რთული სიტყვის მეორე ნაწილს კი არ მოუდის, არამედ ორივე

¹ ხელნაწერშია ვსასობებსა.

² ხელნაწერშია წარკოეთასა.

³ S. ძეგზაძე, „ათული ზმნები ძველ ქართულში: სტუკინის სახ. პედ. ინსტიტუტის შრომები, ტ. 13, 1959, გვ. 405—406.

⁴ შ. ძიძიშვილი, „ფონეტიკური პროცესები ძველ ქართულში“, გვ. 47.



წევრს ერთად: საწინაწარმეტყუელოა (ტბო 57,14 CE; **საწინაწარმეტყუელო** 164,6).

ყარკალ-სხელი (75,6). ძველი ქართლის სხელი ახალ ქართულში მსხელით შეიცვალა. ამ მოვლენის ჩანასახი ჩანს ჩვენს ძეგლში: ბარკალ-მსხელი (46,34). ძველსავე ძეგლებში ბარკალ-სხელის პარალელურად იხმარებოდა სხელ-ბარკალი (ფს. 146,10 წ; შიტ. ქრ. I. 232,41; ძრონ. 240,18). ყარკალ-სხელი არის ბერძ. *μηρός*, რუს. *бедро, ляжка, стегно*, გერმ. *Lende*. ქართულში მას ბარძაყი შეესაბამება. „ესე არს მუქლის ზედეთ თეომდისი“ (საბა). სხვათა შორის, „ფსალმუნში“ დადსტურებულ ფორმას ბერძნულში შეესატყვისება არა *μηρός*, არამედ *αχημη*, რაც წვივს, კანკს ნიშნავს. ზოგჯერ *μηρός* ქართულში გადმოთარგმნილია როგორც ბარკალი (შაბ. 32,25,31,32; ქებაჲ 3,8; წიგნ. 7,17; 21,7); ანდა წყვილნი (შაბ. 24,29; 46,26; 47,49...).

სირუტყუ. „ნტონის ცხოვრებაში“ ამ სიტყვით გადმოცემულია ბერძნული *αχγος* (32,40; 36,3; 70,27) და *ჭლიცის* (61,31; 63,18; 70,22...). შათ შორის შინაარსობრივად ის განსხვავებაა, რომ პირველი აღნიშნავს უფრო საქონელს; ცხოველს, ჯოგს, მეორე კი — უტყვეს. სხვა ტექსტებში პირუტყუს შეესაბამება აგრეთვე *წიფი*.

სულგრძელი (48,31,35) ნიშნავს მომთმენს, ამტანს. ტქედანაა ნაწარმოები სულგრძელებაჲ (11,12).

საწინააღმდეგოდ, სულმოკლე (29,23; 48,35; 77,34...) არის მოუომენელი, აჩქარებული. შავრამ ჩვენს ტექსტში მისი ბერძნული შესატყვისია ინფინიტივი *ἀλκυραειν* და შესაბამისი ზმნა *ἀλκυραειν*, რაც ნიშნავს უყურადღებობას, არაფრად მიჩნევას, არად ჩაგდებას, ზიზღს. შითქოს შეუსაბამობა ჩანს ბერძნულ სიტყვასა და მის ქართულ თარგმანს შორის. ორთგან (47,8) სულმოკლე წარმოადგენს *απργια*-ს თარგმანს, რაც არის იმედის დაკარგვა, უიმედობა, სასოწარკვეთილება. ამ მნიშვნელობათა დაკავშირება სულმოკლე-ს ძირითად მნიშვნელობასთან ერთგვარად მაინც შესაძლებელია.

წარმოქმნილი ფორმაჲ სულმოკლებაჲ (29,38; 38,35; 42,24).

შორად გვხვდება ნაცვალსახელიანი კომპოზიტები, სადაც, ჩვეულებრივ, ნაცვალსახელი პირველი კომპონენტია. შორე ნაწილად უმეტესად გვაქვს ვითარ, ოდენ, ყამ, სახე... ამთგან ოდენ შეიძლება ფონეტიკური ვარიანტით იყოს მოცემული: ვდენ. შავალითები: ეგოდენნი 18,28; 27,2; 46,12...), ეგევიტარი (16,30), ესევიტარი (22,27, 42,7...), ესოდენ (52,9; 74,14; 75,19...), თავდენ (28,25; 52,10; 53,7) მიღებულია რაოდენ-ისაგან ოსრედუქციის შედეგად¹.

ცალკე გამოიყოფა კომპოზიტები, რომელთა პირველი ნაწილი ფორმაუცულებელი სიტყვებია, კერძოდ, ზმნიზედები. ამთგან განსაკუთრებით ხშირად იხმარება წინა, გარე, ქუე, ზედა. შავალითები:

წინა: წინა-აღმდგომი (46,6), წინა-ადგომი (53,19),

¹ Н. Я. Марр, Грамматика... გვ 104, წ. შანიძე, საფუძვლები, გვ. 158.



წინა-აღდგომა (53,19 ლ), წინამძღვარი (27,5; 47,22; 52,29);
წინამორბედი (57,30 ლ).

ღარე: გარე-მოქცევა (33,35; 36,25; 76,24), გარე-მიმოქცე-
ველი (25,25); გარე-წარსლვა (53,8; 54,37), გარე-უკმოქცე-
ვა (30,18).

ქუე: ქუე-მდგომარე (37,6), ქუეყანა (29,3,9; 81,23),
ქუეწარმავალი (20,14; 24,2,6).

ხედა: ხედა-მისლვა (46,13; 76,19), ხედა-მოსლვა
(34,23).

წიად: წიადსლვა (50,19,22), წიადსწობილად (50,25).

თანა: თანა-მდებ (52,26; 73,1) ნიშნავს მეგაღეს; თანა-
-მსხდომი (19,7 ლ, თანა-მსხდომარე 74), თანა-წარსლვა
(34,25; 54,35); თანა-წარმავალი (53,15), თანა-შეკრული (44,4).

სომპოზიტთა ერთ ჯგუფს პირველ წევრად აქვს უარყოფითი ნაცვალსა-
ხელი, რომელსაც, ჩვეულებრივ, სხვა ნაცვალსახელი მოსდევს: არავინ
(81,24), არარა (7,11; 58,7; 72,3); არარამან (19,21), არლარა
(9,13; 22,16; 81,12), არლარავინ (9,2), ვერას (—ვერ-რას—ვერ-
-რას: 52,34), ვერვინ (19,25), ვერლარა (40,34), ნუვის (51,21),
ნურარა (18,2), ნურარასქურას (—ნურ-რას—ნურა-რას: 27,15 4).

ტრა აუცილებელი ნაცვალსახელს კვლავ ნაცვალსახელი მოსდევდეს.
ზოგჯერ ზმნიხედა, არსებითი სახელი ან ნეტყველების სხვა ნაწილებიც
შეგვხვდება მეორე კომპონენტად: არასადა (41,17; 58,37; 66,14), არა-
-არსი (57,33), არაწმიდა (42,28; 59,20).

ცალკე უნდა გამოვყოთ რთული სიტყვების ის ჯგუფი, რომლის მეორე
კომპონენტად არის ყოფა ან მისგან ნაწარმოები მიმღეობა მოქმედებითი თუ
ცნებითი გვარისა: შეურაცხ-ყოფა (36,8), შეურაცხ-საყოფე-
ლი (35,26). შეურაცხ-ყოფა ნიშნავს არაფრად მიჩნევას, არად ჩადგე-
ბას, მხედველობაში არ მიღებას. აღნდა აღინიშნოს, რომ როცა მეორე კომპო-
ნენტი მიმღეობაა, ასეთ შემთხვევაში პირველი ნაწილი უფრო ხშირად ნათესა-
ობითი ბრუნვის ფორმით იხმარება: შეურაცხის-მყოფელთა (66,36),
შეურაცხის-საყოფელ (15,4 4; 35,39). სირიან ფორმებში კი პირველი
ნაწილი ფუძის სახით იქნება წარმოდგენილი: შეურაცხ-პყოფდა (75-76).

შავდაპირველად ალბათ პირველ კომპონენტად მარტივი, ფუძის სახით
წარმოდგენილი ფორმები უნდა გვექნოდა, ნათესაობითბრუნვიანა ფორმეპი
კი შედარებით მოგვიანო ხანისად უნდა ვივარაუდოთ.

სეთთა კიდევ:

გულისხმის-ყოფა (იხ. გვ. 114), ამბორის-ნყოფელი (27,2),
კმა-ყოფა (39,38), სათნო-ყოფა (48,26).

მეორე კომპონენტად კომპოზიტებში შეიძლება შეგვხვდეს ცემა ან
მისგან ნაწარმოები მიმღეობაც: ნუგეშინის-ცემა (38,17; 47,20; 77,9),
ნუგეშინის-საცემელი (45,29; 55,20), ნუგეშინის-ცემული
(42,25; 46,19; 77,7...).

სომპოზიტებს წარმოადგენენ რთული რიცხვითი სახელები: აცამეტი
(—ათ-სამ-მეტი: 50,12; 51,1), ათხუთმეტი (79,28), ათრვამეტი



(8,4); სამასი (8,39) და სხვა, რომელთა შესახებ უკვე ბევრი თქმულებაა ჩვენც არას დაეუმატებთ.

სიციხეთი სახელი შეიძლება კომპოზიციის პირველ ნაწილად შეგვხვდეს: ერთ-გზის (16,17,20), ორ-გზის (24,21; 36,1), ერთგული (37,31), ოთხგერჯი (46,14; 61,32; 62,3).

სინტაქსი

1. ლექსში ხშირად გვხვდება ა და მე კითხვითი ნაწილაკები:

ა) ლანვასემდითა (39,33), გულისხმა-ჰყავა (54,29), არიანა (58,39) და სხვ. ბ) შითარ-მე ანუ რაბამ-მე... დამარხულ არს (8,21); ვინ-მე ცოდაც (48,18) და სხვ.

2. ძალზე იშვიათად იხმარება სხვათა სიტყვის ო: იყო (57,37), უსწავიესო (60,17), შესცთაო (62,1 ლ).

3. წინაშე, ზედა, თანა თანდებულებთან სულიერი საგნის სახელი ნათესაობით ბრუნვაში დგას, უსულოსი კი — მიცემითში¹.

ა) წინაშე მამისა (28,17), რომლისა [უფლისა] წინაშე (17,24 ლ), წინაშე ვლგა მისა (17,27 ლ), წინაშე მისსა (18,15), მაგრამ: წინაშე ცეცხლსა (23,14; 26,3), დალიჭსა წინაშე (43,31).

ბ) შის [წნტონის] ზედა (21,19), მის [ლობის] ზედა (35,34), მაგრამ: ქუეყანასა ზედა (18,36), ვზასა ზედა (22,31), უდაბნოსა ზედა (22,38), მთასა ზედა (27,26), მას ზედა (22,37).

გ) მათუკისა თანა (12,1), მის თანა (17,8), მამისა თანა (57,38), მაგრამ: საუკუნესა მას თანა (28,24), სასუფეველსა თანა (29,5); ჰეშმარტსა თანა (33,39).

მაგრამ აქვე გვხვდება საწინააღმდეგო ფორმა: ბნელისა თანა (58,2). უტყობა, უკვე იწყება რღვევა დადგენილი წესისა. ამ აღრევამ შემდგომში გამოიწვია ის, რომ სულ მოისპო აღნიშნული დიფერენციაცია და თანდებულმა ერთ ბრუნვაზე შეაჩერა არჩევანი².

4. შითარებით ბრუნვაში დასმულ საწყისთან პირდაპირი დამატება აღრე სახელობით ან მიცემით ბრუნვაში იყო³. შემდეგ კი ნათესაობითს მიანიჭა უპირატესობა. ძველი ფორმების ნიშნები ბლომად გვაქვს ჩვენს ძეგლშიც, მაგალითად: ამცნო... შირთუმად მისა პური (18,13); ვერ შემძლებელ არს დაყენებად მონაზონებასა ჩუენსა (33,7). სამივე ვარიანტია წარმოდგენილი შემდეგ მაგალითში:

ჩებბად ზეთი არა თავს-იდვა (16,32 ლ).

ჩებბად ზეთსა არა თავს-იდებლა ლ.

ჩებბად ზეთსა არა თავს-იდვა ტ.

სოგორც ჩანს, მოცემულ შემთხვევაში სამივე ხელნაწერი განსხვავებულ ვითარებას გვიჩვენებს.

5. წრის შემთხვევები, როცა მოქმედებითი გვარის მიმღეობა მიცემითში ითხოვს პირდაპირ დამატებას.

1 ს. ხეცილიძე, უტიულები, I, 1956, გვ. 300—308.

2 ცანამ და ზედამ — მიცემითზე, ზოლო წინაშე-მ — ნათესაობითზე.

3 ტ. შარტიროსოვი, შასღარული კონსტრუქციის ვენეზისისათვის, გვ. 43—60.

9. ცხორება წმიდისა წნტონისი.



იერ შემსრულებელ არიან ეგოდენ ცემასა და გუენასა (18,28) და
 ტქ უპირო ზმნას (მიმღეობას) შენარჩუნებული აქვს პირიანი ზმნის თვისება —
 შეიწყოს პირდაპირი ობიექტი მიცემითში: ვერ შეუძლებენ ცემასა და
 გუენასა; და აქედან გამომდინარე: ვერ შემსრულებელ არიან ცემასა და
 გუენასა. შიმღეობის კავშირი პირიან ფორმებთან ჯერ კიდევ მჭიდროა¹.

6. სამდენიმე სიტყვა შეთანხმების შესახებ. როცა აღვიღოთ გვგვდება მსაზ-
 ლერელ-საზღვრულის შეთანხმება ებიან მრავლობითში: მღგომარეები ჯორები
 (70,24). ასეთი სახის შეთანხმება ძველ ქართულში იშვიათია.

სახელებს შორის შეთანხმებისას გვაქვს კიდევ ერთი თავისებურება —
 როცა ებიანი მრავლობითი ნარიანს ითანხმებს:

ტქუნდა მას მამა-დედათა მისთა მოკვებული ყანები სამასი ნაყო-
 ფიერნი და ფრიად კეთილნი (8—9 ლ).

იუენეს მათა შინა მონასტრები, ვითარცა კარვები, აღ-
 საესენი საღმრთოთა კრებულითა (42,29).

სახელსა და ზმნას შორის შეთანხმების დროსაც აღინუსხა რამდენიმე
 თავისებურება. ჩვეულებრივ, ებიანი მრავლობითით გამოხატულ სახელს არ
 შესწევს ძალა ზმნის რიცხვში შეთანხმებისა. შავალითად: ისილა მონასტრები
 (42,37); მონასტრები და მონაზონთა სახლები ითქუმების (5,13); მიერთგან
 იყო მთასა ზედა მონასტრები (27,26 ლ). შავრამ: მიერთგან იუენეს მთა-
 თა ზედა მონასტრები (27,26 ტ4), იუენეს მათა შინა მონასტრები, ვითარცა
 კარვები (42,29).

ჩინ დასმული მართული მსაზღვრელი ეთანხმება თავის საზღვრულს:
 სხვასა მწინკულეყანებასა (30,9); უხაროდა მასცა, ხედვიდა რაა მონაზონთასა
 მას გულს-მოდგინებასა (47,20).

შოულოდნელია შეთანხმების დარღვევის ორი შემთხვევა, როცა საკითხი
 ეხება სულიერი არსებისა და ზმნის შეთანხმებას რიცხვში.

ტლიწერებოდეს იგი ცათა შინა მოქალაქედ (27,29 ლ).

ყოგორც კონტექსტიდან და პარალელური ტექსტიდან ჩანს, მოსალოდნელი
 იყო „იგინი“.

ტრა თუ მე, არანედ იგი თავით თვისით იურვიან (41,11).

ასეთი შეუთანხმებლობა სხვა ძეგლებშიც შეინიშნება და ირკვევა, რომ ნა-
 ცვალსახელი „იგი“ მრავლობითის ფუნქციითაც იხმარება².

7. ძველ ქართულში ფართოდ იყო გავრცელებული ე. წ. პარონომაზია³,
 რომელიც დღევანდელ ქართულში ნაკლებად გვხვდება. ჩვენს ძეგლში დადას-
 ტურებულია პარონომაზიის რამდენიმე ნიმუშიც: და ესოდენ გუემეს ცე-
 მითა ნეტარი ტნტონი. (18,22); რაათა რწმუნებით მათ არწმუნონ
 (36,23); არცალა სლვით ვიდოდა (50,32).

8. ზვხვდება სინტაქსური ასიმილაციის შემთხვევებიც. მოცა მთავარი წი-
 ნადადების ქვემდებარე თავისი შემასმენლისაგან გათიშულია დამოკიდებული

1 ნ. აის შესახებ: ლ. ლენაიშვილი, სახელი ბრუნება, გვ. 689—694; ნ. შა-
 ნელია, ურემიაა წინაწარმეტყველებს ზოგიერთი სინტაქსურა თავისებურება: ძსუ შრო-
 ნები, 105, 1965, გვ. 78—79.

2 ლ. ლენაიშვილი, ქართული ენის ისტორიული გრესტომათა, 11, 1963, გვ. 210.

3 ნ. ჭერეთელი, პარონომაზია ქართულში: სკ, VI, 1954.



წინადადებით, მაშინ ამ უკანასკნელის შემასმენელი იგუებს მთავრის ქვეშევრდობას, რადგან უფრო ახლოს იმყოფება მასთან და მეტი გავლენაც აქვს: მრავალთა ვნებულთა რომელთა გან- ვე არა -უღის კარი, გარეშე მონასტერსა დაადგრიან (44,27); კაცად-კაცადსა რომელსა უნდა თავისა თვისსა კრძალვად, არა თუ შორსა დაბასა თვისსა განყენის, არამედ მახლობელად ზინ და იმარ- ხავნ (9,25); ყოველმან რომელმან გამოიჩინოს კეთილი, შეეწიოს ღმერთი კეთილისათვის (29,36); ყოველსა რომელსა ჯელმწიფებდა აქუნ, არა თუ უცნებით მოვალს, არცა ერთთა ამინებნ, არამედ მყის, ვითარცა უნებნ, ჯელმწიფებდა აჩუენის (35,21); რაცდენთა ქალწულთა თხოვილთა ვითარცა იხილიან წმიდაჲ წნტონი მიერ მდინარესა, და დაადგრიან იგინი ჭრისტმსთვს ქალწულებასავე (76,33).

9. **სოგორც ცნობილია**, ძველ ქართულ ტექსტებში შეიმჩნევა ერთი სინტაქსური თავისებურება და კავშირისა. სახელდობრ: თუ დამოკიდებული წინადადება წინ უსწრებს მთავარს, მაშინ მთავარი წინადადება „და“, „ხოლო“... კავშირებით იწყება. „წნტონის ცხოვრებაში“ მოიპოვება აღნიშნული მოვლენის დამადასტურებელი რამდენიმე ნიმუში:

„ვითარცა ესმა მას სახელი მაცხოვრისა ჩუენისაჲ, და ვერ თავს-იდვა ამის-გან დაწუვაჲ და უჩინო იქმნა (41,19).

სავედენთა ქალწულთა თხოვილთა, ვითარცა იხილიან წმიდაჲ წნტონი მიერ მდინარესა, და დაადგრიან იგინი ჭრისტმსთვს ქალწულებასავე (76,33):

სავედენთა უნდა სიწმიდის, და ვაცოუენნ (14,28 ლ).

10. თავისებურებას გვიჩვენებს „შეპრისხნა“ ზმნა. შას სუბიექტი შეიძლება შეეწყოს როგორც სახელობითში, ასევე მოთხრობითში, ე. ი. ხან გარდაუღეალ ზმნად მიაჩნიათ, ხან — გარდამავლად. ჩვენს ძეგლში ამ ზმნის ხმარების 5 შემთხვევიდან ორში აშკარად ჩანს, რომ სუბიექტი მოთხრობითში დგას:

სომელმან-იგი ამით ესრტ შეპრისხნა მათ (39,21); სამეთუ შეპრისხნა მის უფალმან (51,41).

შანარჩენ 3 შემთხვევაში კი გაუტკვეველია, სუბიექტად იგი უნდა ვიგულისხმოთ, თუ მან:

საჯამს-იგი ესევითართა მისა მიმართ უცნებათა ჰყოფდა, შეპრისხნა და ჰრქუთა (39,15); და ვითარ მყის ჯმა-ყო, შეპრისხნა ეშმაკსა მას წნტონი სახელითა ჴესუ ჭრისტმსითა (51,30); ხოლო რომელნი-იგი წინა-უძოდდეს მას, შეპრისხნეს მათ (52,23 ლ). მღრ. აშკარა სახელობითები ოთხთავიდან: თავადი შეპრისხნა მათ (ზუჯ. 9,21 CE); მოწაფენი მათ შეპრისხნეს (შათ. 19,13 C).

11. ძველ ტექსტებში მსაზღვრელ-საზღვრული უმთავრესად პოსტპოზიციური წყობით იხმარება. სოცა მართული მსაზღვრელის როლში საკუთარი სახელი გამოდის, ძველი ქართულის ძეგლთა მონაცემები უფლებას გვაძლევენ

1 ჩ. შონდუა, შიშართებით ნაცვალსახელისა და მისამართი სიტყვის ერთიგვარობისათვის იველ ქართულში: წინძის მოამბე, V-VI, 1940, გვ. 329-336; ტ. შანიძე, ძველი ქართული ენა: ძველი ქართული ენა და ლიტერატურა, ქრისტომათია სპუალო სკოლის IX კლასისათვის, 1953, გვ. 312-313; ფ. შრთელიშვილი, ათული წინადადების ისტორიისათვის ქართულში, I, ჰობრეჟისა საკითხები, 1963, გვ. 19.

2 ს. ვაუხჩიშვილი, შრთი უცნობი სინტაქსური მოვლენისათვის ძველ ქართულში: ქუთაისის პედ. ინსტიტუტის შრომები, IX, 1949, გვ. 111-119.



დავსცნათ, რომ ამ კერძო შემთხვევაში საკუთარი სახელის აღვლინების საზღვრულს შემდეგ. ეს არ უნდა გავიგოთ ისე, თითქოს ურყევი კანონი გვექონდეს. ყედარებით იშვიათად წყობა შებრუნებულია. ტლსანიშნავია ის გარემოებაც, რომ წინ მდგომი საკუთარი სახელი ბრუნვაში შეთანხმებულია მომდევნო საზღვრულთან. თი რამდენიმე ნიმუში: **ნტონისი მოჯსენება** (5,31), **ნტონისი ესე მოჯსენება** (5,32); **ნტონისი ცხორება** (6,3 **ნტ**), **ნტონისი იგი ცხორება** **ნ**; **ესე ქრისტესი სარწმუნობა** (21,16 **ნ**; **მდრ. ესე ქრისტესი სარწმუნობა** **ნტ**); **ნტონისი გულს-მოდვინება** (45,19); **ნტონისი სიტყუა** (68,18); **ნტონისი... ლოცვა** (72,22 **ნ**, **მდრ. ნტონის ლოცვა** **ნ**); **ნტონისი ნეტარისა ცხორება** (83,35)...

12. **ქავორც სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნული**¹, ძველ ქართულში წარმოშობით სამიბრიანი ზნების ერთ ნაწილს, რომლებიც ა-გმ აფიქსებით იწარმოებან, ერთი პირი, კერძოდ, პირდაპირი ობიექტის ფარდი, დაცარგული აქვს. **ნმ** ზნებს ახალ ქართულში ძველსაგან განსხვავებით პირდაპირი ობიექტი შენარჩუნებული აქვთ, ირიბი კი აღარ უჩანთ. **ნაჩვენებთ** რამდენიმე მაგალითს.

ქათა არავის დაამძიმოს ამისთვის (45,31); **ქაბუკი იგი მყის ზედა-მოუტდა ნტონის და აქენა მას** (51,38). **ნტენა მან მას და არა მან იგი. ნმყამად ეს ზმნა გა ზმნისწინს დაირთავს და სხვა მნიშვნელობა აქვს.**

ქათა [ქმათა] რწმუნებით მათ არწმუნონ (36,23); **აწ უკუე ამათგან არწმუნენ თავსა თვსა** (29,23); ვითარ აიძლიან **ქათა და ყოველთა მონაზონთა [ნტონის] მიღება წიგნისა** (68,39).

„**ნიძულა**“ „**ამხილა**“ ტიპის ზმნაა. **ნრიბი ობიექტი — „ნტონის“ — იგულისხმება, პირდაპირი კი არის: მიღება წიგნისა. ნმ შემთხვევაში შედარებით ძველი ვითარება არის წარმოდგენილი. ნმ ზმნას სხვების მსგავსად შეიძლება პირდაპირი ობიექტი არც ახლდეს. ნავიმოწმებთ სხვა ძველს: აიძულა მონაზონსა (ზიმ. 85,8).**

13. **ქაშინ მოსწერდეს მისა, ვითარცა მამისა** (68,22).

წღვეანდელი ქართულისგან განსხვავებით ძველ ქართულში „მოსწერა“ (მიწერა) ზმნა ობიბრიანია: მოსწერდეს იგი მას მისა — მოწერა მან იგი მისა. „მოსწერდეს“ ფორმაში ს პირდაპირი ობიექტის ნიშანია. ნმის მიზეზია ის, რომ I სერიაში პირდაპირი ობიექტი მიცემით ბრუნვაშია და ზმნას ზმნისწინი ახლავს. II სერიის ფორმებში პირდაპირი ობიექტი სახელობით ბრუნვაში დვას და ამიტომ მისი ფარდი პირის ნიშანი ზმნაში აღარ გვაქვს.

ქად გიკვრს, უკუეთუ მოსწერს მეფე ჩუენდა? (68,31); **ლმერთმან რჩული კაცთა მოწერა** (68,34); **მიაღლინა მისა ნტონი და მიწერა მისა ებისტოლშ** (74,17); **რამე გამოვიკითხე მათგან და სრულად თქუენდა მიცწერე** (6,25 **ნტ**).

1 **ნ. ნიბაიშვილი, ქართული ენის ისტორიული გრესატომია, II, გვ. 181—182.**

ლექსიკონი

ც

აკითხეთი ნაწილი. არა სსხელითა შენითა
ენშიაკთა განესხემლითა 29,33; ნუ უნრავ-
ლშს არიანა ესენი მათსა 58,39.
აგარაკი 8,39; 29,10 საანავ-სათესი მიწა, უანა.
ადრე 23,32 ზქარა.
ანაუთრი 7,5 მაღალი საზოგადოებრივი წრის
წარმომადგენელი, კეთლშობილი.
ანაუთრება-ი 34,2 თაფლ-ქულები.
აიარებდეს 5. აღსაარება.
აილაგ-ი 30,33; 32,1 ბილიკი.
აილაღება თავხედობა, სითამაზე. ნ: აქლაღ-
ნით 64,12.
ამბორის-ყოფა კონცია. ი/უ—(3)2: ამბორს-
-უყო ნით 81,14. ამბორის-ს-ყოფ-
-ელთაგან 27,2.
ამენ 39,34; 83,34,40 ნამდვილად, ქეწნაჩტად.
ამიერ 6,14 აქედან.
ამიერთგან 5,13 ამ დროიდან, ამია შემდეგ.
ამისოხვ 37,18 ამის გამო.
ამრენავი 78,30 ბინის ქაოვილი, ტილი. შდრ.
საქ. წ. 11, 45,20. სადაც არ მენაკი იყო-
-თხება.
არასადა არასოდეს. ხოლო მან არასადა
მოიხსენის წარსულნი ეგი ემნი 17,14 წ.
ასპიტ-ი 20,18 შხაიანი გველი.
აფთარ-ი 46,22 პუნა.
აქლემი 47,2.
აღგზებულ-ი 32,22 ანთებული.
აღდგინება აყენება. ა—შ: დადაცათუ ლოც-
-ვად აღგუადგინებდენ 33,26.
აღოქმფოფული-ი 33,34 აოქვეფილი, ერთმანეთში
არეული, მღვრიე.
აღოქმუმა-ი 28,26 აღოქმა, დაძირება. აღნა-
-ოქმუმა 34,7 დაწაბრება
აღნართება აღნართვა, აყენება, ფხვნი დაყენ-
-ბა. 0—(3)2: სული ნიდრევილი აქმარ-
-თი 30,13. ე: აღეშართნეს 67,28.
აღმოგონა ამოსვლა. 0—1: წყაროა აღმოჭ-
-და 47,11 ამოვიდა.
აღმრღვევა ამღვრევა. ი/უ: რაათა. ვულო აღ-
-უმრღვონ კაცთა 33,31.

აღმტკობა გაღება, დაღება. ა—შ: აღამტკ-
-ნეს პირები მათი 46,26.
აღმცირება წემცირება, შემატებულია. დ: აღ-
-მცირდა იგი საღმობათაგან 21,36 შე-
-უქსუბუქლა ტკივილები.
აღორძინება გაზრდა, გამრავლება. ა—შ: არა-
-მედ უფროას დლითა-დღედ ვიწყებდეთ
გულს-მოდგინებასა და აღვართძინებ-
-დეთ 28,22. უფროაად აღართძინ-
-ნაინ უცნებია 39,11. დ: აღორძინდა
და ივნა ქაბუცე 7,12.
აღსაარება აღიარება, ცნობა, ნართლის თქმა, გა-
-მოტყდომა. ი: ამბორს-უყოფდეს ნეტარსა
წნტონის და აღიარებდესა სარგე-
-ბელ ყოფასა მისგან 60,15 წ. ი/უ—(3)2:
... აღეგარებდეს იმგე წ; აღსაარ-
-რება 63,13; აღმსაარებელი 44,4.
აღსახრული-ი 5,23 ბოლო.
აღსაშენებელი-ი დაამოძღვრავი, დაარაგებ-
-ლი, კუის სასწავლი, სიტყუასა აღსაშ-
-ნებელსა უთხრობნ 55,31.
აღსრულება 1. შესრულება, დასრულება. ა—
-შ(2): იგი წელი აღსრულა ესრმა
26,9. ე: აღსრულენეს ექსენი თთუ-
-ენი სცედილისა შემდგომად 8,7; აღს-
-რულება 77,11. 2. სიკვდილი. ე: აწ
აღესრულა წმონ 50,15; აღსრულ-
-ებად 78,23; აღსრულებული
75,26 მკვდარი, გარდაცვლილი.
აღტაცება ნოტაცება, წყაცება, წაღება. ივნ: რა-
-მეთუ აღიტაცა ცანენებია 52,13; აღ-
-ტაცებასა ქალისასა ქუეყანათ 63,22.
აღვება გაღება. ა—(3)2: ვითარცა უტყუებნდა
არა აღაღის პირი თვისი 34,17 რა-
-გორც მუწვი ვერ გააღებს ხოლმე თავის
პირს.
აღშენება ნ. აღსაშენებელი.
აღძრვა აღშოთება, შეძება; წაქეზება, აღელ-
-ვება. 0—2: ყოველსაგე აღსძრვენ დი-
-ხნებას ჩუენი დაბრკოლებია 31,26; არღარა
გულთა-სიტყუთა აღძსძრვიდა 14,11.
ივნ: წნტონი, რეკა თუ ღმრთით, აღიძ-

განკვეთილი
განკვეთილი

რა და შეიყუარა ადგილი იგი; აღძრ-
ვა 32,34.
აღწერილობა მიწვედონა. 0—2: რომელი აღწ-
ერილები და, ვიდრე დარღვევადღე
54,18.
აღწერილობა (პირდ. თბ. მრ-ში) აღება ი: დაშთი-
მილი გვერტნი აღვიხუნიე 32,34.
აღწერილობა ასვლა. 0—1: აღწერილობა 31,27,

აღწერილობა იგი (ნავსა) 51,24; აღწერილობა
27,36 ოღ.
აწდა 49,35 აი ახლა, აი ეს-ეს არის.
აწოცა მოსაობა, გავრობა, აღმოცხება. 0—2:
უფალმან შესუ აწოცნა ცოდვანი მა-
გისნი 52,30.
ამა ნესეა 33,6 აი.
ამართა ნ. აღმართება.

ღ

ბაკი ნაბაკევი 24,1.
ბანაკი 19,28.
ბარაკალ-სხული-ი 75,6 ბარაკი.
ბასრობა დაიცნა, გმობა, გიცხვა. ბასრო-
ბითა ეტყოდა მით 20-21.
ბეგრა-ა 24,27; 39,4; 46,8 ხმა, ხმაური.
ბზე-ა 32,25.
ბოჟულიად 45,4 ჯოგში, იხ. გვ. 110.
ბოროტი-ი 1. ცული. დღესა მის ბოროტსა
53,19.
2. მიიმე, სასტაი. ვნებად იყო ფიცხელი
და ფრიად ბოროტი მის თანა 49,9.
ბრალეა ბრალის დადება, დადანაშაულება.
ა—2: წინაწარმეტყუელი აბრალეა
დაცემულთა მით 14,31; 32,33.

ბრალეული-ი 1. 54,35 დამნაშავე. 2 60,21 მი-
ხუნი, საფუძველი.
ბრძანება ნების დართვა, დანებება. ი/უ: და
მან არა უბრძანა 49,20.
ბრძნობა 0—2: ვბრძნობთ 62,12 ლ ვამ-
ტყვიებთ, ვამბობთ.
ბრძოლა 0—(მ): მთასა ზედა ვბრძავ ეწ-
მათა 59,1 გებრძვი.
ბრძლეუნი მუობ: ლომი იბრძლენენ
20,21.
ბუფე-ა 71,21 ბუნაგი.
ბუნი-ი 49,12 ბუდე (თვალისა).
ბუე-ა 59,6 კარი.

ღ

გამოქუმა 6,17 თქმა, თხრობა.
გამოსლვა 0—1: გამოკედ და ხხილე (ბრძ.)
54,12 გამოლი.
გამოჩინება 64,18 გამოჩენა.
გამოჩინებულ-ი 20,27 ლ; 36,24; 61,38 გამოჩე-
ნილი (რომელიც გამოჩნდა).
გამოწერა (ჯუარისა) პირჯვარის გადაწერა. ი:
გამოწერეთ ჯუარი თავთა თქუნე-
თა 38,7.
გამოხატვა წარმოდგენა, ჩვენება ი: გამო-
ხატავ 13,19 ლ. ე: ეშაიკი, ვითარკა
დღეიკი, დამე ყოველ გამოხატე-
ბოდა 13,19 ოღ.
განება გამოკეთება, მორჩენა. ე: კაცი იგი გ-
ნეგო მისგან მყის 51,31.
განება (სახისა). 35,5; 39,25 საქმის მოწესრი-
გება, მოკვარება, გამოწორება.
განზიდვა 0—(მ): განკვიდა 46,31 ვას-
წია.
განკითხვა განსჯა, გასამართლება. ი: ნუცა გ-
ნიკით ხანენ მოყუასა 48,7; თავკა
თუსსა განკითხვიდეთ 48,13;
თავნი თუსნი განკითხნიე 48,3 იენ:
რომლითა სარჩელითა პვიდეთ, მითვე

განიკითხეთ 73,13 რა სამართლითაც
(სხვა) გასამართლებთ, მითვე გასამართ-
ლებთ. არავინ ჩუნგანა განკითხვად
არს 37,29.
განკითხვა 61,6 დაიცნა. 0—2: განკითხეს
60,16 ლ დასცენს.
განკრძალვა ა—2: განაკრძალენდა 43,27
ამტყვიებდა, გულს უმავრებდა, ამხნევე-
და. ე: განკრძალის 43,2 ენერგიუ-
ლად ჰკიდებდა ხელს, იცავდა, ანავრუ-
და. განკრძალვა 31,36 გაფრთხი-
ლება, მოფრთხილება.
განლაღება ნ: განლაღნის 27,3.
განმაქარებელი ნ. განქარება.
განმწნობა გამწნეება, გამამცეება, გავლ-
დება. დ: თითოეულად ყოველნივე განმ-
წნდე ბოდეს მისგან 76,27.
განპოვებულ-ი 60,31 განპრილი (ღრმა სიბე-
რენდე) (ნ. კ. პოხება).
განრთხმა გოლა, გაქიმვა. ი: განირთხნ
ფრქნი თუსნი 81,14.
განრღუეული-ი 49,11; 63,3 მარღებში დარღვე-
ული, დავარდნილი, საყარი.

განცხება გარეცხვა. ი: მან განცხება სა-
მოსელი თვისი 43,34.

განსლვა- სიკვდილი. უამი არს განსლვი-
სა ჩემისა 77,26.

განსუნება 23,23 დასვენება, მოსვენება. გან-
სასუნებულები 45,35 მოსასვენებელი,

განსმა (პირდ. თბ. მრ.-ში) გაყრა, განდევნა,
გაგდება. ა-ჰ: არა სახელითა შენითა ეშ-
მაკთა განვასხემდითა 39,33; გან-
სსმაა 39,30; განსსმელი 39,23.

განტყვება გაშვება. ი/უ—(ჰ): არა განცო-
ტოე, ეიდრე პირველად მითხრა მე 50,28
არ გაგიშვებ, სანამ არ მტყყვი; განტყ-
ვეგის 47,7.

განქარება გაქრობა, მოსპობა. დ: კერპთა უც-
ნებაჲ განქარდების 65,20.

განქარვება გაქრობა, მოსპობა. ა-ჰ: რომელ-
მან... ეშმაკნი განაქარვნა 35,15; გა-
ნაქარვის გემოა 30,12; განმაქარ-
ვებელი 40,40; განქარვებული 66,9.

განქიქება სააშკარაოზე გამოტანა, გაწბილება,
გაკირტვება, შერცხვება. ა-ჰ: განცე-
ქიქა იგი უფალმან 32,27; რამეთუ მათ
განაშიშლნა და განაქიქნა მაცხო-
ვარმან 38,9.

განყვრება 9,28 განწორება, მოწორება. ა-ჰ:
გერენი განმაყვროს მე სიუჟარულსა
ჟრისტესსა 40,37 მომაწორებს, მომაცილებს;
განყვრებადი 83,16.

განყოფა 0-ჰ: განყოფთ სამოსელი ჩემი
81,3 განაწილეთ.

განცდა 1. 11,4; 18,3 ლ. დანახვა. ჰ. 53,14 კა-
მოცდა, ИСКУСИТЬ.

განცვალება შეცვლა. იგნ.: განიცვალ-
ბის 28,26 იცვლება.

განცოცხლებული ნ. ცოცხალი.

განცტმა შიგ გაყრა (საბა). ა-ჰ: სრატუკი გა-
ნაცტა ბაგეთა 33,1.

განცხრომა მხიარულება, ვართობა, ლხენა. ენ.
(0—(ჰ)1): ნუცა განცხრობით 43,17;
განცხრობით 45,36.

განძარცვა მოცილება. ი: მერმე ხრწნილი
განვიძტარცნეთ ჟორენი 28,33.

განძება გაძევა, გაგდება, განდევნა. იგნ.: თი-
თოეული იგი მართლუკუნიკევის და გა-
ნიძების 31,32; განძებული 14,7.12.

განწვალება გაყოფა. 0-ჰ: გონებითა სულსა
განსწვალებთ 61,39.

განწმედა ენ.: ილოკვედ გულითად და გან-
წმდიანა 44,29 იწმინდებიან ხოლმე.

განწყობა შებრძოლება, ბრძოლა. ე: ჩუენ... მათ

ზედა განვეწყვებოდი 33,32 საბრძოლველად მო-
წყობილი 33,32 საბრძოლველად მო-
მზადებული, დარაზმული.

განხეთქა გავლევა. 0-ჰ: განხეთქენს
20,11; დ: განხეთქდებოდა 19,32.

განხეთქლი 57,31; 78,2 მწვალეუბლი, ერუტა-
კოსი.

გარდამატებულად 66,16 გადამეტებით, გადა-
ქარებით.

გარდამოგრდომლი 41,1 ვადმოვარდნილი.

გარდამოქუმა ი: კბილითა გარდამოქულია
ჴალაკოს 75,3 კბილით ვადმოილო ჴალა-
კოსი. შდრ. წარქუმა.

გარდამოქლი 0-1: გარდამოქდა 53,29
ვადმოვიდა.

გარდაცვალება შეცვლა. 0-ჰ: ხუროთ-მოძღუ-
რისა მის პატევსა... სახელად გარდას-
ცვალებთ 64,1. იგნ.: გარდაი-
ცვალე ამიერ 72,1 ვადლიანაცვლე, ვა-
მოცვალე ადგილი; გარდაიცვალის
72,2; გარდაიცვალნიან და მიემ-
სვასნიან დედათა და შვეთა 32,8.

გარდაქრა აოხრება, აკლება, განადგურება.

0-ჰ: მო-მე-ვიდეს ეშმაკი და გარდამ-
ქრნეს ჩუენ 41,27 მოვი ეშმაკი და გა-
გვანადგურებს ჩვენ.

გარე თანდებული. მთასა გარე 53,35 ლ:
69,32 მთაში, მთაზე. შდრ. გარეშე.

გარე-შიქცევა მიბრუნება, აცილება, გვერდის
აღება. ა-ჰ: გარე-შიქცევენ სარწ-
მუნობითა და დასცემს 12,26. ი: ხოლო იგი
გარე-შიქცევენ ბირსა მთვან 72,36 ლ
პირს მიიბრუნებს ხოლმე; გარე-შიქ-
ცევენლა 25,25.

გარე-მოღგომა ა-ჰ: გარე-მომაღგა 25,6
შემომეტყა, თავს დამება, მომიცევა. გა-
რე-მოღგომილი 38,2 გარეშეობრტყ-
მული.

გარე-მოქცევა 30,10 უკან მობრუნება.

გარეშე 1. საერო, საერისკაცო. გარეშე
სიბრძნითა 82,27; 2. თანდებული. შეემო-
ვნეს გარეშე ნთასა 60,15 მთაზე. შდრ.
გარე.

გარე-წარდრინვა 0-ჰ: რომელნიმე გარე-
წარტყრინვიდეს 54,23 ზოგიერთ-
ნი ფრენით გვერდს აუგლიდნენ.

გარე-წარტყევა უკან გაბრუნება, აცილება. იგნ.:
გარე-წარტყევენ სარწმუნოებითა
12,26 ლ.

გარე-წარტლობა აცილება, აშორება. 0-ჰ: რა-
თმეცა გარე-წარტდა მათ 51,21;
გარე-წარტლის უცნებულად 13,22.



გარნი 1. 35,8 მხოლოდ, მარტო. 2. 30,18 თუ არა.

გება (1) არსებობა, ყოფნა. სტატ. ჰგეიენ 61,25 არის, არსებობს; ჰგეიენ 27,6.

გება (2) ქონება. ე: თუალისცა ცოცხლად ეგენეს 82,7 თულები ჯანსაღად მქონდა.

გება (3) დაცვა, დლოდება 0—2: მგებდ მცირედ 59,11 ცოტა მომიცაჯე; ჰგებულ მას 72,39 ლ.

გებულად 31,4 უცვლელად, ხელუბლებლად. გლახკ-ი 69,15; 75,37 ღარიბი. სივლახკ-ი 76,2 სლორიბე.

გლახობა 5. სავლახობელი.

გონება-შეკრებულ-ი 59,26 ლ მცოდნე, დავიროგებული.

გრგენა-ა 13,2; 14,25 აღძვრა; აღლეგება, აღზნება, ვალიზაანება.

გრძილ-ი 82,9 ღრძილი.

გრძნება-ა 65,38; 67,19 მისნობა, გრძნეულება. ჯადოქრობა.

გრძნეულ-ი 66,3 გრძნების მოქმედი, მისანი, ჯადოქარი.

გრძნობა გავება, შეტუობა, მხევედრა, გრძნობა. 0—2: აგრძენით სამე, ვითარ-იგი სულთ-ცოქეუმდ 70,31 ლ (კვიანთ C).

გუამი 13,6 ლ სხეული. ეარქანული

გუმეა ცემა, ტანჯვა, წყალება. 0—2: ჯალღუკა

თა და მონაზონთა ჰგეუმენ იგი მიუხედა 74,16. იენა: სნტონი იგუენენ-ზოდა და დამწერლებოდა მათგან 20,29; იგუემეზის 59,10 ლ.

გულემა დაბრება. ე: რომელთა ეგეულე-ბოდა წარსულია მას გზასა 45,7 რომელიც იმ გზაზე წასკლას აბრებდა; ეგულეზოდა იდენ თბრობად ქალწულისა მისთვის 49,17.

გულითად 45,5 გულით, სულით და გულით: ნამდვილად, უმკვლად, აუცილებლად.

გულით-თქუმა სურვილი, ნატვრა, წადილი, ნდობა. ი/უ—(8)2: გული-გიოთქენისა 62,22; არცაღა ამისთვის გული-ოთქუამენ 7,32. ე: გული ეტყუან 29,15; გული-ს-თქუმა 12,11.

გული-სიტყუა 14,11 აზრი, ფიქრი, განზრახვა.

გული-სხმ-ს-ყოფა 51,32; 54,32 გავება, მიხედვრა, შეტუობა. 0—2: გული-ს-ს-ყოფის 35,36 გაავოს. გული-ს-ს-ყოფა 54,29 გაიგე? მიხედა? გული-ს-ს-ს-ყოფელი 59,27 ლ.

6

და 40,26 რომ.

დაბა 18,9 სოფელი. იხ. მდობური.

დაბადებულ-ი 57,32; 58,5 ვახეზილა, შექმნილა. დამბადებელი 58,9,12 ვამხენი.

დაგება შერაგება. 0—2: ნრავალთა ლალულია დააგებენ (დააგებდა ლ) სიყვარულით 27,14 (ნეპარბეზდა სოლმე).

დადგრობა 9,36 ვაჩერება, დარჩენა, დადგონა. 0—(2)1: დაეადგრებით 29,30 დადგრომილი 5,7.

დათმენა მოთმენა, ატანა, გაძლება. ი: რადენთა დაითმენდა იგი ბროლიათა 46,5; დათმენა 45,4; 62,27.

დათმობა მოთმენა, ატანა, გაძლება. ი/უ—(8)2: დაუთმე დაბრა იძლეე 22,8.

დათრგუნვა ჯვრით შედგომად გათვლეა. 0—2: არამედ დ-ც-ს-თ-რ-გ-უნ-ვენ და გან-ც-ა-ს-მ-ენ 83,32; დათრგუნვა 33,3; დათრგუნვად 36,19; დამთრგუნველი 36,17.

დაუ-ი 22,16.

დაკადა დგრა, კრა; დაუძლურება (?). 0—2: რადენ-გზის დამკოდეს გეგეობა 40,37. იენა: იენი ამისა შემდგომად დაიკოდებოდეს ურთაერთას 40,39.

დაკრევა 5,34 გავიკრება. ი/უ—2: დაუკრდა 51,1 გაუკვარდა. დაკრკებული 11,12 გავიკრებული.

დაკრავა დაცვა. დ-უ-კ-რ-ა-ლ-ე-ლ-ე-ლ-ა-ღ 41,38 დაუცველად.

დალაგა 43,31 დიდებულთა დასაქდომელი. უმთავრეაად მისამართლეთა ტახტი, трон, престои.

დამარხვა დაცვა, შენახვა. 0—(8)2: დამარბეთ მამათა მოცენული 78,13. ი/უ: დამარხნეთ უფალსა სულნი ზუენისა 31,6 დიდებუთ, შეუენახით. ი: რომელმან-იგი არა დამარხნა თვის წესი 34,3; დამარხველი 7,28; დამარხული 80,39.

დამტყვილ 30,28 დამტყვიებული.

დამშუაღვა დაღურება, მიჭდება. ი/უ: კარ-შაკითა დ-უ-მ-შ-უ-ა-ლ-ნ-ა-ღ-უ-ენი 32,1.

დამომება წყენა, წყენაება, მძინე მდგომარეობაში ჩაყენება. 0—(8)2: რათა არავის დამომობს ამისთვის 45,31; დაუმძამებელი 45,32.

დანაკისკული 45,21 ჯინჯი. აქედან: დანაკისკული ბონი 45,13 ჯინჯით ვაშენებული ადგილი (ბაღი).

ზანიღლი-ი 69,25 ზანიღლის წინასწარმეტყველები წიგნი.

დარცა დაგება, დღენა. ი: რომელი-იგი დავირეცი სიმოსელი 81,6.

დასლვა ჩასვლა (მზისა, მთავრისა). 0-(2)1: დაჰვალნ მზმ 47,35,38; რაათა ნუშეა ზმშ დაჰვალს 47,38; ჰამის მან ერთ-გზის დღესა შინა დასლვასა თდგნ მზისასა 16,21 დღეში მხოლოდ ერთხელ ჰამდა მზის ჩაველს დროა.

დატევება დატოვება, ნიტოვება, ი/უ-(4)2: რეცა თუ დიდსა რასზე დაუტევებთ 29,2; მოციქულთა სოველივე დაუტევებეს 8,14 დატოვებს; დატევენელი 71,21 (=დატევებული) დატოვებული.

დაუცხრომიღად 45,30 შეუწყვეტლად, შეუხვეწებლად.

დაუტოვობა 0-(2)1: დაჰტოვთხა ჰმისა მისგან მისისა 15,12 ლ.

დაღათუ 15,26; 34,29 თუმეცა.

დაღაცათუ 19,20 კიდევ რომ, თუნდაც.

დაყენება 35,7 გაბერება, შეგერება. ეამი ნავთა სლეისი დაყენებულ იყო 6,26 ლ ნოსნობის დრო შეგერებული (ვათაგებული, დახურული) იყო.

დაყოვნება 73,29,39 დიდხანს დარბენა, გაჩერება. 0-(2)1: დაყოვნა 55,9; დაყოვნონ 73,34; დაყოვნება 73,32.

დაყოლა 1. დაკეტვა, დახურვა. 0-2: ხოლო მან გზა იგი დაყო 24,3. 2. (პარისა) გაჩერება. ი/უ: პირი დაქუთ ვშმავთა 34,12 პირი დაუხურა, დაუკეტა. ე. ი. გაჩუმა, ნმა ჩაუწყობა.

დაყოლება 1. გაჩერება, დაწყნარება; მყუდროება, წყნარად, მშვიდად ყოფნა. 6: დაღათუ დაყო, არავე დაყო დნა 34,29. 2. 45,5 (ჩერის) განმარტოებით ყოფნა, განდგეობა.

დაშობა დაჩება. 0-1: დაშობა 8,2 დარბა.

დაშრება ჩაქრობა. 0-2: ესრეთ დაშრეტნ ჩაყოცრებალსა მას ნათურისასა. 13,5 ო4. დაშრეტის ექვე ლ. ვნ: ნეცხელად დაშრეტა სათელი 40,15 ჩქარა.

ეხისტოლე-ა 68,26 წერალი.

ერლო-ა 24,21 სახლის სახურავში დატანებულ სკეამტრა.

ერთამად 11,10 ლ; 51,7 ერთად.

ერთაულად 52,7 სწორად.

ერთი იგი... ერთი იგი 49,30,55,38 ერთი... მეორე.

ერთი ჯერი 61,9 მკარე ხანს, ცოტა ხანს.

დაშურომა შრომა, გარჯა, დაღლა. ეგრეთვე დანაშაულებანი. ვნ: დაშურებინ 25,22; დაშურებობდა 44,5; დაშურებთან 45,24.

დაცადება შეწყვეტა, გაჩერება, დაგვიანება, დაყოვნება. ა-(3)2: ხოლო თქვენ ნუ დაცადებთ ამიერ ნავთა მიმაგალთა კინთავად 6,14 ლ; ნუ დაცადებთ 23,33; დაცადება 50,35.

დაცხრობა შეწყვეტა, გაჩერება, დაწყნარება. ა-(4)2: საღმობანი ჩენნი დაცხრებენ 22,5; დამაცხრობელი 40,39.

დაცხრობა შეწყვეტა, გაჩერება, დაწყნარება. ვნ. 0-(2)1: დასცხრობა ბერილად მას მიმართ 6,13.

დაძინება იუთობ: მას ეამსა დაძინა სმონ 50,39 მაინც ნოკედა სმონი.

დაწერება დაჩხვლება. იენ: წეტონი იფუნებოდა და დაიწერებოდა მათგან 20,30.

დაწუთობა დაწვეთება. 0-2: (ცრემლი მისა) და წყალი... გუეყანასა დასწუთებან 49,10 ნიწუხე წყუთებოდა ხოლმე.

დაწუხება (თულისა) დახუჭვა. ი: ხოლო მე დავიწუხენ თელნი 40,14.

დაჭირვებული 72,33; 75,20 გაჭირვებული, შევიწროებული.

დაჯნა დამლა, დარღვევა, გაუქმება, გაჯრობა, მოსპობა. 0-(4)2: დავჰქნსით თქუენსა ეშმაკო-უცნებსა 65,27. დ: დაჯნდენ 73,36 დაიბოცებან.

დაქნვა დაქება, დახურვა, დახშვა. 0-(4)2: დაჰქნა კარი სმარისა 13,14. ე: ეამი ნავის ალღისა დაქნვეოდა 6,27 ნოსნობის სეზონი იხერებოდა.

დემა 0-1: რამ ძეს შენი და უღაბნობა 24,30 რა გინდა შენ უღაბნობან.

დირღვა-ა 50,20 წყალდიდობა.

დირტვნა 48,30 ბუნდუნე, უკმაყოფილება, პროტესტი (ჩვეულებრივ ჩუმად გამოხატული).

დუქს-ი 73,26 მთავარი, წინანძოლი, სარდალი.

დლით-დღედ 29,27 სოფელდღობად, სულ მუდამ.

ერისაგან-ი 64,2 ლ ჯარისკაცი.

ერისთავ-ი 64,2 მთავარსარდალი.

ერქუანი-ი 30,17 გუთანი.

ესვენ 5. ს-ავ.

ესთენ 74,10,13 ლ; ესოდენ 52,9 იმდენად.

ესრეთ 69,19 ასე, აგვარად, აშნაირად.

ესრინ 6. სრეცა.

ე

ე (სუბ. მხ.-ში) ი/უ—2: უცის მას 32,1 ჰყავს.
ვალიდება-ა 24,27 გოდება, ვაება.
ვან-ა 11,14 ლ ბანა, სადგომი, საცხოვრებელი
ადგილი.
ვეფხი 20,17 ლეობარდი.
ვეც ნ. ცე მ ა.
ვიდრე 44,37 სდ, სათ, ყუდა.
ვიდრეცა 47,8 ადაც.
ვიდრევე 15,4; 31,1; 36,8.
ვიეთ „ვინ“ ნაცვალსახელის შრ. რიცხვის
ფუტე. ვეეთ ნიძე 58,34 ზოგაერთობა;
მერვე უტყუავეს ვიეთ მ გ არიანთხთა
მას 57,20 ვილაც (ზოგეერთობა) არიანთხებ-
მა; ვიეთ ი მ ე 49,12; ვიეთ ს ა მ ე
39,7; ვიეთ ი მ ე 6,21 ლ.

ვითარ 8,24 როცა.
ვითარ-იგი 5,21 როცორც.
ვითარმედ 15,32 რომ.
ვითარცა 1. 7,29 როცორც. 2. 12,22, როცა,
როცორც ცი.
